

ლიტერატურული გაზეთი

№99 21 ივნისი - 4 ივლისი 2013

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

დიანა ანფიმიადი

ETC

მკვდარს — თაფლი,
ხოლო ძველ სიყვარულს სიტყვა ინახავს —
მასსოვდეს.
სამკაულების ზარდახშა პანდორას ყუთიც —
გოგოების იაფი განძი —
გახსნამდე.

თვალემა საქმე შეიცვალეს,
წვერნამახულს თლიან წამნამებს
და ჭამენ ბუზებს.

ტუჩებმაც საქმე შეიცვალეს —
დაბზუიან კოცნის ბუტკოებს,
მტვერს და ბუსუსებს.

სიტყვა უვნებლად ინახავს ცხედარს —
გაუხრწნელს, ლამაზს —
სწორედ ისეთს, როგორც ვხედავდი,
სულეთის ვზიდან მოვაბრუნე
ცხენიც, მხედარიც.

ადამიანი შევინახე სიტყვებში —
ცეცხლში —
სციოდა, ალში გავახვიე.
და ვერცხლისფერი ფერფლი ცვივა
და კვამლის თევზების ფარფლებია
და კვამლის ჩიტები ფარფარებენ
და მაინც შუქია არნახული.

თითქოს წარწერა წავიკითხე
ტაძრის ძველი ქვის,
თითქოს ფორთოხლის ყვავილებით აყვავდა
ძელქვა.
მესამე ცდაზე შევინახე
თვალეების წყალში
და საგულეში გულის ნაცვლად წყალი ჩამიდგა

და წყლის ზედაპირს ნაფეხურებს ამოდ ვაშლი,
მაინც გავიდა სამი ღამე და მესამე დღეს
თვალის სიღრმეში ჩაიძირა — თავსხმა — ემბაზი.
და თავნაჭრილი ქათამივით ფართხალებს გული
ყოველ მორიგ გახსენებაზე.

როგორ, რა ძალით დავივიწყო —
სულს მოვიტყვამდი...
მოვიჭერი ძირში ენა და
ვფიქრობ, ჩემივე სისხლის დენას
თავდაღმა დავყვე
ხორხამდე,
ანდა ფილტვებამდე
ან მკვდარ სიტყვამდე.

მკვდარს — თაფლი,
ხოლო ძველ სიყვარულს სიტყვა ინახავს —
მასსოვდეს.

XI



როსტომ ჩხეიძე

კრისტოფერ კოპოლა:

შეკონება რეკავს გაბაშვილისა

«თქვენგან ბევრი გვაქვს სასწაული»

X

XIII

ერთი პირობით

კატეგორიული ალტერნატივის წინაშე რომ დავყენებინეთ და არჩევანის „შანსი“ მოეცათ, წერას, კალმისა და სუფთა ფურცლის წვალვას, ბუნების ხილზე ბარბაცს და სიტყვის უსიერ სივრცეებში მსხემობას ერთი პირობით, ერთადერთ შემთხვევაში შევეშვებოდი — თუკი შევძლებდი ჩანაწერის იმგვარი გენიალური უბრალოებით გადმოცემას (ერთხელ მაინც!), როგორც ამას სახელისა და სრა-სასახლეების საცდურზე დაბადების დღიდანვე უარის მოტყევი ანონიმი ხალხური მეტყველება ახერხებს:


დალაშქარ, ჩიტი დაღონდა, გათენდა, გაიხარაო!..

მაღლი მინისა

გუდალეთისკენ (თუ გუდალეთიდან კავთისხევისკენ) მიმავალი ვახტანგ კოტეტიშვილი ხოდაბუნებში სამუშაოდ გასულ გლეხებს რომ გადაეყრება, გამოელაპარაკება და მათ დინჯ, თავშეკავებულ სიტყვა-პასუხში პირადი „უპირატესობის“ (სხვაგვარად: უმალესდამთავრებულობის, ინტელიგენტობის მეტობის) კვალს დალანდავს (არადა, მათთან სულიერი სიახლოვის, განდობის, ალალი საუბრის, მათნაირობის ნადილი ჰქვავას!), ფხვიერ მინას მოფხოჭნის, ღვინიან ჯამში ჩაყრის, სასმისს შეანჯღრევს და სულუქცევრად გამოცლის...

ამირან არაბული

სულუქცევრად საკითხავნი



სადღაც სამოცდაათიან წლებში ქართული მინის უსიტყვო და უპირობო სიყვარულს დაახლოებით ამგვარივე ფორმით გაათვალსაზიარებენ კავთისხევი, კოტეტიშვილების უბანში, სტუმრად მყოფნი: იურა ჯაფარიძე, ზურაბ ცხვედიანი, გრიგორ ფარულავა და ვახუშტი კოტეტიშვილი (მაშინ გადაღებულ ფოტოსურათზე კარგად ჩანს ღვინიანი ჭიქის ფსკერზე დაღეჭილი ტავარის — „ფეხთ ანაკრავი ტალახის“ (საბა) — მუქი მასა)...

ერთხელაც თეთრწყაროს ცენტრში, სამარშრუტო მიკროავტობუსების სადგურში, ხევსური მეტყევე ზაქრო გიგაური საუბარში რომ შეგვიყოლიებს, კარადიდან ადესით სავესე მინას გამოდგამს, პურს, ყველსა და ღორს დაჭრის, უმუშაბო მაგიდაზე დაალაგებს და მეშვიდე სადღეგრძელოზე (საკრალური რიცხვი როა, ამიტომ?) გარეთ გავა, იასამნის ბუჩქის ძირში დანის წვერით მინას მოთხრის, სიღრმიდან ამოიღებს, ღვინით გაცამცემულ ხარის რქაში ჩააპნევს, დიდგორიდან ვიდრე ასპინძამდე ჩოქმოყრილი „მოივლის“ საქართველოს და დაგემოვნებით დალევს, დააპირქვავებს...

P.S. არ ვიცი (მაშინ არ გამხსენებია და არ მიკითხავს), ჰქონდა თუ არა ნაკითხული ზაქრო გიგაურს ვახუშტი კოტეტიშვილის ავტობიოგრაფიული „ჩემი წუთი-

სოფელი“, ამ წიგნში მოთხრობილი ვახტანგისებრი შესტით რომ გამოხატა მშობლიური მიწის მიმართ თავისი დიდად ემოციური და, ცოტა არ იყოს, ჭარბად პათეტიკური დამოკიდებულება...

მონაწერი ახირება

მოხვევს ულიზლო, უბოროტო, ბაღლობიდან გულის ჯამში ჩაბეჭდილი უწყინარი შური სჭირს ხევსურებისა.

უცხოელ ტურისტებს მიუძღვება საკუთარ კარმიდამოსავით ნაცნობ აღმართ-დაღმართებში და ხევის ძველი დიდების ნაშთსა და ნამუხრევს აცნობს, ათვალიერებინებს.

სიონის ეკლესია და არშის ციხე, ლელთ ღუნიას გაიბოტენი და წყალათ ხიდი, ფანშეტის ძველთაძველი ნასოფლარი მზვარეში და რკინისფერი ქაბარჯინა, ჯიხვების სავანე-საბუდარი ყურთ და სამების მადლიანი ტაძარი, ღუდუშაურების ბებური ციხე და ახალციხის ყოვლადმშინდა...

წარმოსადგე მთების ვრცელ უბე-კალთაში ჩამსხდარი სოფლები: ყანობი და ხურთისი, ვარდისუბანი და სიონი, არშა და აჩხოტი, სნო და ქოსელთა (სპარსულად „მზის გორას“ ნიშნავს!), ახალციხე და კარკუჩა...

სიმღერის შინაარსს უყვება (ხანდახან ლილინსაც გამოურევს): „კარკუჩით ნამიყვანეს ქალი მაიკო თმანი...“

კარკუჩიდან ოთხიოდ ვერსის სიშორეზე, სნოს კალმახიანი წყლის სათავეებში, მდებარეობს ჯუთა — ხევსურების

ერთადერთი (ართხმო კაიხნის გაუკაცრიელეზულია), წლის ნებისმიერ დროს თავისებურად ანდამატიანი სოფელი.

ხევის სოფლების სილამაზით მოხიბლულ ერთ-ერთ ტურისტს კიდევ უფრო მეტის ნახვა და გაგება სწადია. დაუფარავი ცნობისნადილით შეპყრობილი და სასურველი პასუხის მოლოდინით აღვსილი მეგზურს ეკითხება:

— ამის იქით რა სოფელია?

— ამის იქით არაფერი! — წყალს უწურავს უბრალო და უდანაშაულო ხევსურებზე უმიზეზოდ შემომწყრალი სიტყვანწყლიანი მოხვევა...

P.S. ისტორიკოსი ვახტანგ გურული, თუკი შეხვდებით და შეახსენებთ, ბევრად უკეთ მოგიყვებათ ამ ამბავს.

ასპანური აპიტაფია

ეპიტაფიის მთელი ხიბლი, მაღლი და მარილი იმაში მდგომარეობს, რომ სათქმელს მაქსიმალურად მოკლე, უაღრესად დანაშაულო, სანიმუშოდ ლაკონური ფორმით გვანგვდის.

და ყველაზე ფესვეული, არსებითი, ფუძისეული შტრიხებით ხატავს უორნამენტო თუ ხელმარჯვედ ამონარბული ლოდის ქვეშ საუკუნოდ მდებარე ადამიანის ამსოფლიურ ღვანლს, დამსახურებას, ცხოვრების წესს...

გავცდეთ სვედით სავსე ქართულ სამაროვანთა სამანებს და ვნახოთ (ვიხილოთ!), როგორ აზროვნებს ლაპიდარული სამგლოვიარო ლექსის უსახელო ესპანელი ავტორი:

აქ განისვენებს კალდერონ რუტი, მან დაგვიტოვა ფიქრად და დარდად: კარგს აკეთებდა ძალიან ცუდად, ცუდს აკეთებდა ძალიან კარგად!..

შურნალისტმა ბონდო მძინარაშვილმა მოიხმო რადიოგადაცემაში და ძალმიუტანებლად ჩამრჩა გონებაში...

მხოლოდ გვარსახელის შეცვლა და... რამდენი ჩვენი „რჩეული“ ხელსუფალისა თუ პარლამენტარის (ღმერთმა ყველა დალაშქრე აცოცხლოს!) სამარის ქვას დაამვენებდა ეს მოხდენილი, ტყეადი ეპიტაფია...

გენიალურია!..

სამასხმორი

ძია გიორგი — ნატახტარელი ხელოსანი, მღვსავი და „მალიარი“ — გვეუბნება: „ცივი წყალი არაფრით არ უნდა დალიო დალილზედა. ოფლიანი თუ ხარ, ჯერ მჯეები უნდა დაისველო, დაიბანო და

მერე დაენაფო... ერთხელა ცხვარს მივდექ, ოფლი ჩამომდის წრიალითა და დევნაფე წყაროსა; დევნაფე და ისე ფინთად გავხდი, რო სუ ქორორზე მატრიალა...“

მცნობი

მეცხვარე, ვისაც შესწევს საიმისო უნარი, ათასსულიან ფარაში დაკარგული, მეძუძური ბატკანი თავის მშობელ დედას მიჰგვაროს...

ამგვარი შინაარსის მატარებელია ჩანაწერის სათაურად გატანილი ლექსემა „მცნობი“.

სხარტად მოქმედ მოკლე სიტყვაში იგულისხმება ის ზეგარდმო ძალა, ერთეულებისთვის, ცხვარ-ბატკნის გულითადი სიყვარულითა და გაუბზარავი ერთგულებით ნიშანდებული მეცხვარეებისთვის რომ გაუმეტებია განგებას...

ივ. ქავთარაძის მონოგრაფიაში „ქართული ენის მოხეური დიალექტი“ (თბ., 1985) გაკვირვების გამომხატველ ფრაზებს შორის ვხვდებით ასეთსაც: „ვაიმე, რაი ყოფილა, არ გიკვირსთ, ეგე, მეცხორეც ეგეთი უნდა, ბატკანს [მაზე სცნობს თურმე, რომლის დედისაა!..“

მცნობია უტყუარი ენობრივი ალღოს მქონე მწერალიც, ვისაც ძალუძს ისეთი აზრიანი სინტაგმისა თუ ზეპური ფრაზის „აგება“, რომლის კომპონენტებს ნამდვილად „დედაშვილური“, გნებავთ, სისხლისმიერი მიზიდულობა და სიახლოვე აკავშირებთ ერთერთთან.

დიდი ხელოვნებაა წინადადების ნევრებს შორის ბუნებრივი ბმის მიღწევა; ისეთი შესატყვისობისა თუ აზრობრივი ჰარმონიის შექმნა, უფლის ხელქმნილი ნიმუშის შთაბეჭდილება რომ შეიძლება მოახდინოს მკითხველზე...

უახლეს ქართულ მწერლობაში ჩემთვის, ერთი რიგითი მკითხველისთვის, მცნობებია: რევაზ ინანიშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ოთარ ჩხეიძე, გოდერძი ჩოხელი, ნუგზარ შატაიძე (ამ შემთხვევაში ნათარგმნ ლიტერატურაზე ყურადღების შეჩერება, ცოტა არ იყოს, გაუმართლებელია).

მცნობია ვაჟა-ფშაველას წერა-კითხვის მცირედმცოდნე (!) შვილი გულქან რაზიკაშვილი; მცნობი რომ არ იყოს, ამას ვერ იტყვია: „მე ისე ვარ, კედელს რო ვაშენებდე და ქვას სხვა მანვდიდეს. რალაცა მანვდის სიტყვასა, რალაცა... როგორც ფერადი შეახამო ფერადსა, ისე სიტყვას უნდა სცნობდე, სიტყვას სიტყვა უნდა დაატოლო, რო გულს მოგხვდეს, აზრიანი გამოგივიდეს ნათქვამი...“

მკრთალდებთან ინტელექტუალთა გონებრივი ვარჯიშები თუ რაციონალური თეორიები გულქანის მიამიტურად წრფელი მსჯელობის შუქზე!

ენობრივი ალღო ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა და არა განათლების გზით მიღებული ზეინდივიდუალური მადლი...

მეცხვარეობაში მცნობობის საპატიო სტატუსი თუ ტიტული თითქმის დაკარგულია.

ღმერთმა დაგვიფაროს, მწერლობაც ამგვარსავე დღეში აღმოჩნდეს!

„საბებრო“

ასე რქმევია ერთ მიმყუდროებულ ადგილს ხევში, სახელდობრ, ყუროს მიდამოებში; ადგილს, სადაც მზეთუქან მაღალი ქარაფებიდან ჯიხვები ჩამოდოდნენ ხოლმე და, რაკი ადვილად მიისვლებოდა, ხანმოთეული, დაძაბუნებული მონადირეებისთვის ყოფილა განკუთვნილი.

სირცხვილად ითვლებოდა, ჯანღონიან ახალგაზრდას რომ ენადირა „საბებროში“; აუტი დაეთქმოდა და ტოლ-სწორებისგან მთელი ცხოვრების განმავლობაში საყვედურების სიმძიმის ზიდვა მოუწევდა...

იყენენ ხევში მგლის მუხლით ცნობილი ბედიანი მონადირეები, რომელთაც სიბერეშიც ერჩოდათ გული და უჭირდათ მონადირული აზარტის ძლევა... ჰოდა, აი, ხევის უფროსებს მათთვის მოუნიშნავთ უწრიაპოდ სავალი ქვიშიანი გორები, „ყელყურით ლამაზ“ ჯიხვებს რომ ჰქონიათ ათეგრებულნი...

— შალვა ქირიკაშვილი ეხლაც ცეცხლს შაიყრის-კე, „საბებროში“ თავისზე უმცროსს რო შაასწერას თვალი. მამაჩე-

მი, გივი ბედოშვილი, იყო მაგარი მონადირე. როცა ასაკი წამაეპარა, მაშინდა დაიწყო „საბებროში“ სიარული...

ეს ამბავი გაიხსენა პოეტმა ლია ბედოშვილმა, როცა საპატრიარქოს უნივერსიტეტის დოქტორანტებთან სამონადირეო ციკლის ხალხურ პოეზიასა და მონადირულ წეს-ჩვეულებებზე ვსაუბრობდი.

„შეპეურის“ გამირილი ნათქვამი

„ქართული ერი არა მარტო სტკება ლექსით:

იგი ავადმყოფებსაც არჩენს მით“.

გ. რობაქიძე

„ულექსოდ ადამიანი არარაობა იყო, ლექსით კი თითქმის ღმერთად იქცეოდა“.

ნიცქე

„შესაძლოა, ადამიანს სწორედ დღეს, ისე როგორც

არასდროს, სჭირდება პოეზიის

დახმარება“.

გ. ასათიანი



აკად. გიორგი ჩიტაიას შრომების III ტომში დაფიქსირებულია შუაფხოველი უგემურ თვარელაშვილის ერთი (ერთადერთი!) ფრაზა: „ლექსით ეური მამაცობს“.

ავისგორზე, იახსრობას ვნახე უკვე ხნოვანი უგემური: მესერთან შექუჩებულ საკლავში საკუთარი ქედლა გამოარჩია, რქაში წაავლო ხელი და ხატის საკურთხეველთან პირით აღმოსავლეთისკენ მდგომ ხევისბერთან მიიყვანა. მერე ერთ-ერთ მეზღვენე-მეხვეწურს მიმართა: „კეთილად შაინროს შენი შანაზღვენი“.

წლების ხავსი მორეოდა და მაინც მწარედ იკენწლემოდა: ახალგაზრდებს სიმთვრალის გამო კიცხავდა, ხოლო ქალებს „დიდი ბატონის“ კარზე ჩადენილ კადნიერებას უწუნებდა...

თხოვნაზე უარი არ უთქვამს: გაიხსენა და ჩაგვანერინა ცნობილი ბალადის დასაწყისის საინტერესო ვარიანტი:

შატის მოიდა ხოხობი, ფხვ უდგა მუზარად ზედა: შვიდი დავზარედ ვაჟყაცი არნივის ნაბუდარზედა...

გაბრიელ ჯაბუშანურის ერთ პირად ბართში, რომელშიც დიდი მხატვრული მგზნებარებით და მარილიანი იუმორითაა ამეტყველებული შუაფხოველი დილა-სალამოები, ნავანყდი ასეთ ბაზაცს: „დღეს დილით რომ გარეთ გავედი, ელიზბარი დამხვდა აივანზე. გავიხედეთ ხატისკენ და მისი ცხენი გემრიელად ძოვდა უგემურის ყანას. მე აღვნიშნე ეს უკუპროპორციული ამბავი. მან ვერ გამიგო და იმის შესახებ დამინოვო ლაპარაკი, რომ გუშინდელი დიდი სიცხის შემდეგ წუხანდელი წვიმა ძალიან გემრიელი იყო ყანებისათვის“...

უგემურის შვილი გახლდათ მჯობნთა მჯობი მოკაფიავე ვახტანგ თვარელაშვილი.

მისია:

მკვდარს ლექსით მამიგონებენ, ცოცხალსა მთვლიან ყუნჭადა, ხანდახან მიყვარს კაფია მეტოქის მოსაკუნჭადა...

ორბისფრთიანი ისარივით მართალი

და მიზანშეწონილი ერთი ლექსიც კმარა იმისათვის, რომ პოეტად იხსენიებოდე (ვაჟა: „პოეტად ვიხსენიებ, თუმცა ხარი ვარ ლაბაო...“).

ბევრ მდარეს და, გნებავთ, საშუალოს, ერთი კარგი ჯობს.

და, სხვათა შორის, ეს მხოლოდ ლექსებს არ ეხება:

ბევრი რად უნდა დედასა, ერთი ჯობ შალურბლებული...

უგემურებსაც შესძლებიათ გემრიელად მეტყველება!

„ლექსით გული მამაცობს“...

მოსმენ და გაგახსენდება: „სამამაცონი ზენი“; „მკლავი გაიმამაცურა“...

ფსალმუნის სიტყვებიც: „ღვინომან ახარის გულსა კაცისასა... პურმან განამტკიცის გული კაცისა“ (103,15-15).

და, პირველ რიგში, უნიჭიერესი მხატვრისა და პოეტის ესმა ონიანის ფასეული ფრაზა: „პოეტებო, ჩვენ ერთმანეთი ვმავრობთ“ (და აქვე ბიბლიური პარადიგმა: „უფალი თავის წმიდათა ნაბიჯებს იცავს, უკეთურები ბნელში ინთქმებიან, რადგან საკუთარი ძალით ვერ მავრობს კაცი“ — I მეფ. 2.9).

მაინც რამდენი საფიქრალის აღმძვრელია ზოგიერთი უბრალო, ტრივიალური, თითქოსდა ისე, სასხვათაშორისოდ ნათქვამი!..

„რომორც გაფრთხილება“

ამონარიდი ჯუმბერ თითმერისა სხარტი და საქმიანი მონასმებით დასამახსოვრებელი ნარკვევიდან „ფშავ-ხევსურეთში“ (გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 11.09.1964): „...მამუკა ჭინჭარაული.

თორმეტი წლის. შავგვრემანი. საოცარი გულმოდგინებით დავარცხნილი ქორი.

სილოს ძვალეობით მშვენიერი კბილები.

უკან გადაგდებული თავი. სიტყვაძვირი.

გიყურებს და გისმენს, როგორც გაფრთხილება.

ხევსურებსაც და ქალაქლებსაც რაღაცნაირი ირონიით უცქერს შორიდან:

ხევსურებს იმიტომ, რომ იგი ბარისახოში სწავლობს, თითქმის ქალაქელია,

ქალაქლებს კი იმიტომ, რომ ხევსურია!..“

მაინც რამდენმა მგრძობიარე მოგზაურმა თუ ანალიტიკურად მოაზროვნე მეცნიერმა „დაიჭირა“ და დააფიქსირა ასე მარჯვედ და მოხდენილად, სწორად და დამაჯერებლად მთიელ ყმანვილთა ხასიათები?!

ჯუმბერ თითმერია, შესანიშნავი პიროვნება და ერუდირებული კრიტიკოსი, მთაში ნავალი, მთის იდუმალებას ნაზიარები კაცი გახლდათ და იცოდა, რომ ნამეტანი თუ დაუმსახურებელი სიტყვა დანერისთანავე გასცემდა თავს და გაარაფრებოდა ფშავ-ხევსურეთთან მიმართებაში...

„გიყურებს და გისმენს, როგორც გაფრთხილება“.

მკითხველის სუბიექტურ მიდგომაზეა დამოკიდებული, მოვლენათა შესაძლო განვითარების რა პერსპექტივას დალანდავს და ამოიცნობს ამ სიტყვებში...

რწმუნის ქალა

„ღმრთისმოსიშობა სრულყოფილების საყრდენი და საფუძველია“.

წმიდა ბასილი დიდი

ისტორიკოს პლატონ იოსელიანის მამის ეგნატი იოსელიანის თქმით, საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XIII ეგრეთ ყოფილა „საღმრთოთა წერილებითა დაუნჯებული, ვითარცა მინა წვიმითა დამთვრალი და განპოხილი“.

მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის სანატრელი სისავსე და სრულყოფა რწმენაში!

ამიტომაც შეეგება მშვიდად და უშიშრად ამიერ სოფლით „მას სოფელსა მზედაუვალსა“ გარდასვლას: დილით ქვეყნიურ ანგელოზად ხმობილ მოძღვარ ევთიმის მოხუცად, ლოცვანი და დაუჯდომელი აკითხა, ეზიარა... ხოლო მწუხრის ლოცვის წინ, სულთახდის ჟამს, გულშეწუხებულ მსახურთა და მხლებელთა გასაგონად განაცხადა (იფიქრებ, ნეტარსხენებულ შუშანიკ დედოფლის სიტყვებს იმეორებსო): „ნუ სტირიან... ილოცონ ჩემთვის, რათა კეთილად და სათნოდ წარვსდგე ღმერთთან!“

თანაბრძობა

მესხეთი.

სოფელ-სოფელ დავდივართ და გაუქმებულ თუ კვლავაც მოქმედ ძველ სამაროვნებს ვეძებთ.

ძვალმალის სამუდამო სავანეები წლების ხანებით და ბალახით ზოგან ისეა გადაფარული, კვალის პოვნაც ჭირს...

გზადაგზა ჩერდებით და გამვლელებს ვეკითხებით, სად ეგულებათ ყველაზე ხნოვანი და ნახატებით მდიდარი საფლავის ქვები.

კადრს კადრი ემატება. თანდათან იცვება მომავალი წიგნისთვის გამიზნული უნიკალური ფოტოკოლექცია...

საფლავის ქვა და ეპიტაფია. — ამჯერად ესაა ჩვენი ინტერესისა და მოუწყინარი ძიების სვერი.

ასპინძაში, გზების შესაყარზე, ჯოხს დანდობილი, დაჩოღფოტებული, წელში მოკაული ბერიკაცი დგას.

ეთერი ეკითხება: — ძია, საითაა ასპინძის ძველი სასაფლაო?

მობუცი გულდასმით გვიყურებს, გვაკვირდება და, რაკი უცნობები ვჩანვართ, კითხვას გვიბრუნებს: — ვის საფლავზე მიდისხართ?

ვუხსნით, რომ წარწერებიან-ნახატებიანი საფლავის ქვების გადაღება გვინდა და კონკრეტულად ვინმეს სამარე არ გვაინტერესებს...

ბოლომდე, როგორც ვატყობთ, მაინც ვერ ხვდება ჩვენს სურვილს და გვასწავლის გზას, რომელიც ასპინძის სასაფლაოზე მიგვიყვანს...


მადლობას ვუხდით. მონაღვლეული სახით მოგვჩერებია.

ადგილიდან უნდა დავიძრაოთ და ამ დროს... ალალი თანაგრძობის სიტყვები გვესმის: — შვილებო, ასეთ საქმეზე ამ დღის მერე აღარ გატაროთ!

ფარეხიდან

„იქნებ დღევანდელმა ქართველობამ უცხოეთში გადახვენილი ჩვენი თანამემამულეებისაგან მაინც ვისწავლოთ დიდი ხნის წინათ დავინწყებული ზნეობა, გონიერება, უღალატობა და ერთმანეთის გატანა“.

ნ. შატაძე



ნ. შატაძე

ერთი ასაკოვანი ქალი ახლდათ, ესმეთი ერქვა, დიდებიც „დედეს“ ეძახოდნენ. თავადის ასულივით თავმომწონედ იჯდა და კმაყოფილების ღიმილით ავლებდა თვალს ოთხი საუკუნის წინათ ფერეიდანში (სადაც ქართული სახელის მატარებელი კიდევ რამდენიმე სოფელია: რუისპირი, ჩულღურეთი, ვაშლოვანი) გადახაფრული ქართველების მეობადაბრუნებულ, გულაჩუყებულ, სევდიანად ხალისიან შთამომავლებს...

მართლაც, „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ!..“

ვაჟა და შარინი ხევისჭირი (გოგი ოჩიაურის ნაამბობი)

კეოსგორ, ლიქოკის ხეობაში, ცხოვრობდა ტანდაბალი ხევსური ბაბუა ლიქოკელი. კეთილი კაცი იყო, წერილი, მონკურული თვალები და დაკენკილი, ნაცვავილარი სახე ჰქონდა.

მე ბარისახოს სკოლა-ინტერნატში ვსწავლობდი. მერვე თუ მეცხრე კლასში ვიქნებოდი, როცა ბაბუამ დამპატიჟა (ჩემს მშობლებს იცნობდა და პატივს მცემდა).

დათვისელ შიშა არაბულთან ერთად სასწავლებლიდან გავიპარე და სახლში ვეწვიე. თიპიტაური გვასვა, მოგვეკიდა და თოვლიანი დაღმართი სულ სიმღერით ჩამოვათავეთ...

გული გახსნა და მაშინ გვიამბო: **ერთხელაც არავის ხეობაზე ცხენით ხევსურეთისკენ მივდილი. კაი ხასიათზე ვიყავი და შარს ვეძებდი. რატომღაც ფშავლების ჯავრი მჭირდა...**

ორწყლის ქვემოთ, მწვანე ქალაში, მოქიფეებს მივადექი. ფშავლები ჩანდნენ.

— აქ რას აკეთებთ?! — დაძახებ მამა-ლლა.

— ჩამოდი და დავგვეწვიე! — მიმინვიეს ზრდილობიანად.

— განა ფშაველი ვარ, ბალახი რო ვჭამო! — შევეპასუხე ქედმაღლურად და ბრტყელ ქვაზე დაყრილ მწვანეებს დავეცქერდი.

მივედი ახლოს და ჩამოვქვიეთიდი. უცებ თვალთ დამიბნელდა, გონი ამღდა და გავითიშე...

თვალნი რო ვავატყერე, თავს დამბრუნავდნენ, სახეზე წყალს მასხამდნენ, მასულიერებდნენ...

ჩვენსკენ გამოემართა...

მოდოდოდა, იღებდა და ღვარად სდიოდა ცრემლი. ბავშვივით სლუკუნებდა, შმიკშიკებდა... გვარად სეფიანვილი იყო. სტუმრებში სხვა გვარისანიც ერივნენ: მიქელაძეები, ასპანაშვილები, დავითაშვილები, ონიკაშვილები, პავლიაშვილები...

მონასტრის მონესე დედების ხელით სანიმუშოდ მოვილილ ეზო-ბაღში ყოფნა დაუტკბათ. ღვთაების მონასტერში ნასვლა სხვა დროისთვის გადადეს.

მოიტანეს „სანათი“ — თავიანთი მუსიკალური ინსტრუმენტი.

იცეკვეს და რა იცეკვეს! — კრძალვაში ჩაქსოვილი და ჩაპკურებული თავმოყვარეობის სრული შეგნებით...

— ჩვენთან, ფერეიდანის მარტყოფში, ღვინის სმა გვეკრძალება, მაგრამ ტკბილ სტუმართან მაინც ვახერხებთ ქართული სუფრის განწყობას... ნავიპარავთ — მოვიპარავთ და ჩუმ-ჩუმად ვსინჯავთ ნანა-ატრ ნუნუნას...

ვაზსაც უვლიან, ევლებიან, ეფერებიან და არც მინის დამუშავების ქართულ წესს გულმავინებენ შაჰ-აბასის მიერ ირანში გადასახლებული გურჯების შთამომავლები...

ფერეიდანის მინას ვხნავ, ავერ, ოთხასი წელია, ავერ, ოთხასი წელია. გამხმარი ფიქრი ჩავთესე, ხმელი ხობალი ვრია. სამშობლოს მონატრული ვარ, ავერ, ოთხასი წელია, ავერ ოთხასი წელია...

მონასტრის ეზოდან იღუმენია ქეთევანის თანხლებით სოფლის ცენტრში, საბანკეტო დარბაზში გადავიწვევლეთ.

შოთი გატყეხეს, ღვინო დააგემოვნეს, ლექსები თქვეს და... როცა ეთერმა თუმურ დიალექტზე „დე, მომიკითხი“ წაიკითხა, ანდრიამ, ქართულის ყველაზე უკეთ მცოდნემ, ინატრა: — ნეტა ვიცოდე, სად ცხოვრობთ, მოვიდოდი და მაგ წიგნს მოვიტაცავდი!..

ერთი ასაკოვანი ქალი ახლდათ, ესმეთი ერქვა, დიდებიც „დედეს“ ეძახოდნენ. თავადის ასულივით თავმომწონედ იჯდა და კმაყოფილების ღიმილით ავლებდა თვალს ოთხი საუკუნის წინათ ფერეიდანში (სადაც ქართული სახელის მატარებელი კიდევ რამდენიმე სოფელია: რუისპირი, ჩულღურეთი, ვაშლოვანი) გადახაფრული ქართველების მეობადაბრუნებულ, გულაჩუყებულ, სევდიანად ხალისიან შთამომავლებს...

მართლაც, „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ!..“

ვაჟა და შარინი ხევისჭირი (გოგი ოჩიაურის ნაამბობი)

კეოსგორ, ლიქოკის ხეობაში, ცხოვრობდა ტანდაბალი ხევსური ბაბუა ლიქოკელი. კეთილი კაცი იყო, წერილი, მონკურული თვალები და დაკენკილი, ნაცვავილარი სახე ჰქონდა.

მე ბარისახოს სკოლა-ინტერნატში ვსწავლობდი. მერვე თუ მეცხრე კლასში ვიქნებოდი, როცა ბაბუამ დამპატიჟა (ჩემს მშობლებს იცნობდა და პატივს მცემდა).

დათვისელ შიშა არაბულთან ერთად სასწავლებლიდან გავიპარე და სახლში ვეწვიე. თიპიტაური გვასვა, მოგვეკიდა და თოვლიანი დაღმართი სულ სიმღერით ჩამოვათავეთ...

გული გახსნა და მაშინ გვიამბო: **ერთხელაც არავის ხეობაზე ცხენით ხევსურეთისკენ მივდილი. კაი ხასიათზე ვიყავი და შარს ვეძებდი. რატომღაც ფშავლების ჯავრი მჭირდა...**

ორწყლის ქვემოთ, მწვანე ქალაში, მოქიფეებს მივადექი. ფშავლები ჩანდნენ.

— აქ რას აკეთებთ?! — დაძახებ მამა-ლლა.

— ჩამოდი და დავგვეწვიე! — მიმინვიეს ზრდილობიანად.

— განა ფშაველი ვარ, ბალახი რო ვჭამო! — შევეპასუხე ქედმაღლურად და ბრტყელ ქვაზე დაყრილ მწვანეებს დავეცქერდი.

მივედი ახლოს და ჩამოვქვიეთიდი. უცებ თვალთ დამიბნელდა, გონი ამღდა და გავითიშე...

თვალნი რო ვავატყერე, თავს დამბრუნავდნენ, სახეზე წყალს მასხამდნენ, მასულიერებდნენ...

დავაკვირდი და... ვაჟა-ფშაველა ვიცანი.

შენუხებული დამყურებდა. მერე წამოდგომაში მშველოდა.

მიკვირდა: ისე სწრაფად როგორ დამარცხა, რომ ვერაფერი გავიგე, ვერც დავინახე და არც ტკივილი მიგრძენია!

მოვგონდი. შევჯექი ცხენზე და თავისი ქარსოტული სიუჭკოვით შარ-ხათაბალაში გახვეულმა შინისკენ გავავრძელე გზა...

„მეჯობის ვარსკვლავი“

ჯოყოლო თათარაიძე, — ავეტოს მამა, — დანოს გორზე, თავისი მიწური სახლის წამოფარებულ წინკარში ზის, ნაბდის თუ-შური ქუდი, ჭრელ წინდებში ჩატანებული შარვლის ტოტები და სიძველისგან გადახუნებული, ალაგ-ალაგ ამოკემსილი გრძელი შინარლი „წინაყმის“ მამრთა იერს სძენს, აცხცხაბებულ თავს მალლა სწევს, ახედავს ქალთვაკის ნილ ცას და თავგამეტებით მოკაშკაშე, სხვებთან შედარებით დიდი ზომის ვარსკვლავზე ამბობს: „მეჯობის ვარსკვლავი, — იტყვიან. ევ ვარსკვლავ რო ჩავიდის, მემრია შეყარან მეჯოგეებმ ბაკში ცხენებ, იქამდინ აძოვიან...“

აი, ახლა, 1980 წლის 4 აგვისტოს, აქ — პირიქითის ხეობის სოფელ დანოში, როგორი შეუბღალავი სიმშვიდე და სულფონობაა, კაცი წამის შეჩერებას რომ ინატრებს, სწორედ ისეთი და, წარმოიდგინეთ, რამდენად მაღალი „ხარისხის“ უმფოთველობა იქნებოდა მაშინ (თუკი, ცხადია, გადამთიელ მომხდურთა პერიოდულ თავდასხმებს არ მივიღებთ მხედველობაში), როცა ლალიან იალაღებზე „ყალაღად“ მყოფი ძილფხიზელი მეჯოგეები თავიანთ ვარსკვლავს უთვალთვალებდნენ და უსაათოები მისი ჩახდომით საზღვრავდნენ მოლობილში ცხენ-კვიცთა რემის შერეკვის ჟამს...

დღეს არათუ ბარში (მითუფრო — ქალაქებში), მთაშიც აღარვის ცხენლა და სცალია ვარსკვლავთა საჭერება.

ალარცვინ ამის გამემორებელი და გამგონ-გამგებია:

ვა, ის მასკვლავა ჩემია, მარტო რო დავა ცაზედა...

თქმა მართლია

ხევსურეთ სახელ აღარ ას, არც ხალიზნია ცდისანი, მამალეს საკარგყოფი, კომნ აღარ უდგან რელისანი...

რა წყალღვარსა და მენყერს უნდა მისცე თავი, როცა შენს თვალწინ იშლება და იხაფრება საუკუნეებამოვლილი იმედის ციხე; ხედავ ნათოსს, ნამუსრევს და ვერ შევლი, ვერაფრით ამარებ: ვერც ეხიდები და ვერც ესაძირკვლები!

მიდის დაუთაკრავი დროის ტალახიანი მდინარე; მოუსვალეთისკენ მისასვსავებს მთიელთა თავისთავადობის საგნობრივ განსახიერებათა თვალხილული სამყაროს უკანასკნელ ნარჩენებს: თვალსანიერიდან ქრებიან ვადაჯვრისანი ხმალი და შავხლის ხანჯალი, სევადიანი ბეჭედი და საყურ-სამკაული, ბარძიმი და სახუცო კოჭობი, გაჟეკარის ბუნი და საარაყე ქვაბ-ზარფუში, ნაურვარი ცხენის აღვირ-ავშარა და უნაგირი, სათაურა, სადიაცო და ქოქლოქათიბი, მაისის ცასავით აყვავებული მამაკაცის მძივანი პერანგი და თათ-პაჭიჭი, შუაცეცხლის ჯაჭვ-საკიდი და სპილენძის სალუდე ქვაბი, სახვნიელი და უღელი ხარის ტაბიკ-პეურთი, ჯიხვის დამაშრული რქა და „ქერიგოს ქვიშათ ფერი“ ჯაჭვის პერანგი...

მიდის მღვრიე, არდოლაგი მდინარე, რომელშიაც ორჯერ ვერ შეხვალ!

გინდაც შეხვიდე, აღარაფერს დაგანებებს, მოწყალეობას აღარ მოიღებს, ლალას აღარ გამოიმეტებს.

ასეთია წესი და სამართალი ღნიოში, უწესო წუთისოფლისა.

ხევსურეთ სახელ აღარ ას...

სამწუხაროდ, აღარც ხევსა და მთიულეთ-გულდაწყარშია „სახელი“.

არც ფშავსა და თუშეთში.

იქაც განელებულა ხალისი ცდისა, საქვეყნო საქმეში ერთურთის მჯობინობისა, სიკეთის ქმნაში მემეტეობისა.

შინი-შინ შეკრეფილან ყურნადებული

დასასრული მე-5 გვერდზე

შემინდე ყველა ცოდვა, უფალო,
რადგან ამქვეყნად ცოდვილი გავჩნდი.
მე ვარ უხმლო და მე ვარ უფარო,
მე ვარ პატარა, მინას არც ვაჩნდი.

რადგანაც ქრისტემ გამოიხიდა
ჩვენი ცოდვები, მე დამსჯი ნულარ!
როგორ ამაღლდა, როგორ გაბრწყინდა,
სულს გვიმსუბუქებს, სულს დაუდულარს.

სიცოცხლე ჩემი მოედინება
ფართოდ გაშლილი, უკალაპოტო.
ახალგაზრდული შემინდე ვნება
მორევად ქმნილი მღელვარე პონტო!

ვცოდვ ნებისთავ და უნებლიედ
და რა შევცოდვ, აღარც კი ვიცი.
ბევრი ვიხარე და ვინებივრე
ადამის შვილმა – გვარზე ხტის კვიცი.

გემსახურები დაუღალავად,
უფალო ჩემო, მოწყალე იყავ!
სადაც შენა ხარ, მე იქ ვერ არ ვარ,
მოვდივარ შენსკენ და მომაქვს სიტყვა.

მთვარე ჭალარა პიანისტი
და სხივების თითებით უკრავს
ვარსკვლავების კლავიშებზე.
ღამე შავი როიალია
და მე ვუსმენ ღამეულ ჰანგებს
და პიანისტის ახალგაზრდობა მაგონდება,
როცა უკრავდა მაჟორულ გამებს
და მინორი ჯერ არ ჰქონდა ნასწავლი,
როცა მისი თითები კოცნიდნენ კლავიშებს
და ეფერებოდნენ
და როცა ის თრთოდა მუსიკის ზვირთით გატაცებული.
დაბერდა ჩემი პიანისტი,
შავ როიალს შეაბერდა
და ახლა, როცა კარგად იცის,
რომ მაჟორს თავისი მინორი მოჰყვება და
მინორს – მაჟორი,
ნასვლის დრომაც მოუკაკუნა.
მთვარე ჭალარა პიანისტი.
მთავრდება კონცერტი,
მთავრდება და
ოვაციები ჰგვანან წეროთა ფრთების შრიალს,
როცა ისინი სხვა ქვეყნისაკენ გასწევენ ხოლმე.



დრო გადის ტაატიტ,
ფეხს ითრევს საათი.
და აღარ წიკნიკებს,
დუმს.
ღამეა უმთვარო,
მთვარეა უთვალო,
მე ღამეს შევერთვი
ჩუმს.
სული მეურჩება
და აღარ ყურდება
ჭრილობა, ატყვია
გულს,
და ვარ გაცრეცილი,
ხატთან ჩაკეცილი

დალილა ბედიანიძე

ლოცვისას და თავი
მძულს.
სიცოცხლე მწარეა,
მოკლედ მოარეა,
იმედით ავეყურებ
ცას.
სიკვდილო უგულო,
უშვილო გუგულო,
დაგაფრქვევ ცრემლების
ცვარს.

ისე წვიმს, ისე, რომ მე მგონია
ალარასოდეს გამოიდარებს.
უფროსებისგან გამიგონია,
აქ არის მხოლოდ წვიმათა მხარე.

ვინ იცის, იქნებ წვიმათა უკან
მზე იბრძვის, რათა გააპოს ბნელი,
თუმცა წვიმის გაბზამ დახლართა რუკა
და მოლოდინი მზისაა ძნელი.

წვიმების მხარე არის ჩემს სულში,
გადაუღებლად, ბეჯითად მანვიმს.
ფიქრების ზღვაზე აფრა ავუშვი
და ზღვა შავია, ვით მნიფე ანწლი.

გამომწყვდეული წვიმების კომპი
მე ვარ მძინარე მზეთუნახავი,
მზის კოცნას ველი და ოქროს ქოში
კიბეზე მრჩება, შეუნახავი.

ისე წვიმს, ვეღარ მივდივარ ვერსად
საკუთარ თავში გამოკეტილი
და წვიმის მესსა და წვიმის კენესა
მესმის, ვით დღეთა მრავალწერტილი.


მზე დამიმატე, უფალო!
ერთი მზე არ მყოფნის თვალის სინათლედ.
თოვლი დამიმატე, უფალო!
ერთი თოვა არ მყოფნის ჭრილობების დასაფარავად.
წვიმა დამიმატე, უფალო!
ერთი წვიმა არ მყოფნის წყურვილის მოსაკლავად.
ფიქრები დამიმატე, უფალო!
ერთი ფიქრი არ მყოფნის ლექსის დასაწერად.
ცეცხლი დამიმატე, უფალო!
ერთი კოცონი არ მყოფნის გასათბობად.
სიყვარული დამიმატე, უფალო!
ერთი სიყვარული არ მყოფნის სიცოცხლის
გასაგრძელებლად.
სიტყვა დამიმატე, უფალო!
ერთი სიტყვა არ მყოფნის, რათა გელაპარაკო,
გული გადაგიშალო.
ლოცვა დამიმატე, უფალო!
ერთი ლოცვა არ მყოფნის სულის განსანმენდად.
მზე დამიმატე, უფალო,
რათა გამოვჩნდე შენს წინაშე
და წყვიადმა არ მტაცოს პირი!

ფსალმუნისაჲსრი

იდიდოს, ღმერთო, შენი სახელი,
იდიდოს! იდიდოს!
შენი მხევალი ვარ დაუზრახველი.
განთიადიდან დაღამებამდე აღვივლენ ლოცვას,
გემუდარები, ისმინე ჩემი
და გულისხმაჰყავ ჩემი სიტყვები!
მარტო ვარ, როგორც ალვა ტრიალ მინდორში.
უცხო ვარ, როგორც მშრალი ქვა ზღვაში.
დღეები მიიპარებთან,
როგორც ნაკადულები უდაბნოს ქვიშაში
და კვალიც არ რჩებათ.
ოდესმე ასე წაიშლება ჩემი კვალი, უფალო.
და რაც დრო გადის, უფრო და უფრო გიახლოვდები
და რაც დრო გადის, უფრო და უფრო
მნამხარ, მიყვარხარ.
ნასულთათვის ცხონებას შეგთხოვ, უფალო ჩემო!
აქა მყოფთათვის შეგთხოვ შენდობას!
გამინახევრდა ცოცხალთა რიცხვი,
ჩემი ახლობლების ნახევარი უკვე შენთანაა
და მათ შენი ფსალმუნებით ვეხმინები.
იდიდოს, ღმერთო, შენი სახელი!
მომეცი ძალა, რომ ვიცოცხლო,
ავიტანო წუთისოფელი –
მავედრებელი გიგალობ, ღმერთო!

მინდორი ყვავილებით მიყურებს
და მინდვრის თვალეში მზე ირეკლება,

რომელიც არ ჩანს.
და სხივები ჩამოშლილია ღრუბლის მხრებზე.
მტრედევით ლულუნებს ნაკადული
და სიმშვიდე ისეთი ძლიერია,
რომ ვერ არღვევს სადღაც შორს, ცაზე
გაელვება და დაქუხება.
ჩემს გულშიც ქუხს
უცნაური და უტკბესი გრძობა,
რომლითაც მინას ვუერთდები
ისე, თითქოს ფესვები გამომსხმოდეს
და მინის გულს
ჩასწვენოდეს ალერსით,
როგორც შვილი დედას ეკვრის გულში.
მინდორი ყვავილებით მიყურებს,
მიყურებს გაკვირვებული ბავშვივით,
ახლა რომ აეხილა თვალი.



წუხელ უსიზმროდ მეძინა,
ნეტავ, დედავ, რაო?
თითქოს ვიჯექ ბნელ ორმოში,
ნეტავ, დედავ, რაო?
ცრემლის წვიმით ვიყავ სველი,
ნეტავ, დედავ, რაო?
და მზეც ცრემლში ბანაობდა,
ნეტავ, დედავ, რაო?
ირმის ბლავილი გულს კლავდა,
ნეტავ, დედავ, რაო?
და მახრჩობდა ვითომ დარდი,
ნეტავ, დედავ, რაო?
შვილო, საიქოს იყავ,
ვაჰ, შენს დედასაო!
ჩემი ცრემლი დაგდიოდა,
ვაჰ, შენს დედასაო!
ირემი მამაშენია
ვაჰ, შენს დედასაო!
დარდი შენი ჩემს გულშია,
ვაჰ, შენს დედასაო!
ორმო განსაცდელი არის,
ვაჰ, შენს დედასაო!
და რა ვქნა, რომ ვერ გიშველი,
ვაჰ, შენს დედასაო!
ბედი ჩემზე ძლიერია,
ვაჰ, შენს დედასაო!

ტრიალებს თოვლის კორიანტელი
და ფანტელს ციდან მოსდევს ფანტელი.
და ამ ქარბუქში გზას მივუყვები
და მომყვირიან ქარის ბუკები.
და ირგვლივ ბნელა, ვით სამარეში,
ვით საიქოს – მზეთა გარეშე.
დადუმებული და გადაღლილი
ვარ, უგზო გზათა პირას დახლილი.
ო, სულის ჩემის გაზამბახება
შეძლეს დათოვლილ ხეთა ბალებმა
და ჩემს წინაშე მთა დათოვლილი
ალმართულია ქარგამოვლილი.
არა ჩანს სხივი, არა ჩანს სხივი
და გულში მაინც იმედი ღვივის,
რომ გავალ როსმე ამ თოვლთა გაღმა
და შებრუნდება ჩემი გზა ნაღმა.
მივალ ჯიუტად, შეუსვენებლად,
არ ვუნყ, ეს თოვლი თუ ვის ენება.
და ზავთა გრუხუნს და ტყეთა ზანზარს,
მკვდარ მზეს თავზემთ ავეყურებ საზარს.
ტრიალებს თოვლის კორიანტელი,
ვანთივარ, როგორც კენტი სანთელი.
ღმერთო, შეცვალე წუთისოფელი,
გემუდარები თოვლში მყოფელი!

ლიასტურას

სახლში არ არის ლია,
მაინც ვურეკავ ლიას,

რომ ვუსახსოვრო ია, მეტი რა შემოიძლია.

სიტყვის იები ვკონე, ეკლებში გამოვკრიბე. შენთან მომიყვანს ვგონებ ღრუბლების თეთრი კიბე.

ოღონდაც დამხვდი სახლში, ოღონდაც მალე მოდი და მზე, ვით ქორა-მახვში, თავს გვადგეს სალამოდის.

მე ვამჯობინე ია, რადგანაც ჰგავხარ იას, ამ ქვეყნის რია-რია შენ ვერას გაკლებს, ლია!

რარიგად მენატრება მე შენთან საუბარი... დაე, იმძლავრონ მტრებმა – ლექსია შენი ფარი.

დავიცდი, სანამ მოხვალ სახლში და დაგირეკავ, ია ხარ – მინის ოხვრა — გადარჩენილი ეკალს!

შემოდგომამ ხეები როგორ გაამელოტა... ჩაქრა სასახლეები, სადაც შუქი მელოდა.

ახლოვდება ძილის დრო, უღმობელი ზამთარი და როგორ ავირიდო ის, ვით ავი თათარი?

სინანულში შევედი, უფალს მივეახლები. რექვიემი მე ვერდის მესმის – თრთიან ბალები.

ჩამოცვენილ ფოთოლთა ფეხქვეშ ტალღა მიღელავს. როს ფოთოლი მოთოვდა, მას თან სდევდა სიმღერა.

ახლა დამუნჯებული ვდგავართ მე და ხეები. ახლად დაუნჯებული იძინებენ დღეები.

შემოდგომის ჟამია, ჟამი ფოთოლცვენისა და ეს ლექსი ჩქამია – დამცდა გზით შეცდენილსა.

მზა ჯიბეში

მზე მიდევს ჯიბეში და ცასავით ფურცელს კალმით ვკოცნი და ვეფერები და მოულოდნელად ლექსი გამოდის – ლექსი გამოდის სცენაზე ბატონების და ქალბატონების წინაშე და ტაშის ხმაზე საზეიმოდ ყიჟინებს, როგორც მამალი – განთიადს რომ ესალმება. მზე ფეთქავს ჩემს ჯიბეში, როგორც ღრუბლებში შენახული, გამოზოგილი. ჰო, მე ვიზოგავ მზის ნათელს, სითბოს, ჰო, მე ვიზოგავ მზის ძალას და არ ვფიქრობ უმზეო დღეებზე, როგორც უშვილო ქალებზე, სხვისი შვილების დანახვაზე რომ ოხვრა აღმოხდებათ,

როგორც ოხვრა აღმოხდება ღრუბლებით შუბლმეკრულ ცას, რომელსაც ჭრილობად აჩნია მზის სხივი. მზე მიდევს ჯიბეში და ყველაზე უფრო მილიონერი ვარ და მტკივა ფიქრი, რომ მზეს ვხარჯავ და მზე მაკლდება.



დასასრული

მეწვერენი, ციხიონნი და მენაპირენი; მიუტოვებით მათა ყელეები, უღელტეხილეები და ბარული ყოფის მზნეველ ბანგს დასწავებთან; ზნენაკლული ცხოვრების ფერხულში ჩაბმულან...

გუგულის თოვლივით დამდნარა და აკრეფლა ქალის სილამაზის წინაშე ის შეუმჩნეველი თრთოლვა და ღირსეული თავშეკავება, რელიქტივით რომ შემოუნახავს ხმელი ხის გამნედლებელ ხალხურ სიტყვას:

ხან მოვა საავდაროი, ხან დადგება დარებოი, ჩამასულან წყაროზედა აბულეთის ქალბოი. იქით მიდე, მარიაო, მინანს ნუ მეფარებოი, ერთხან კიდე დამანახეთ მაგის ჭრელებ თვალბოი.

სადაც საკარგემო აღარ ილოცება, იქ ჯვარ-ხატთა მსახურებასაც მაღლი და ზენაური ნათელი აკლდება...

როცა მზაკვარმა ზურაბ არაგვის ერისთავმა ადგილობრივ მოღალატეებს მოაჭრევინა ხმელგორის ბერმუხა და ხმალას აღვის ხე, რომელთა კენწეროებზე გამობმული შიბების მეშვეობით ოქროსმხრიანი ანგელოზები ცასა და მიწას შუა მიმოდიოდნენ, ხალხურმა მეღელქემ კოსმიური განზომილების ტრაგიკული ხდომილება ამგვარად გამოთქვა:

შობ განყდა, ცისკე წავიდა, წიოდა, როგორც გველიო...

დამზრინველი მხატვრული სახეა, რომლის შუაგულს საკრალური სინმინდისგან განძარცვული, იმედნასხლეტი და დაბეჩავებული მთის უპერსპექტივობის ტივილიანი განცდა შეადგენს...

როგორი შეძრული და შენუხებული უნდა იყო რეალური მდგომარეობის უნუგეშობით, სატკივარი რომ არ დამალო, უსაშველობა არ „მოაღეგო“ და ქვეყნიერებას გააგონო და გაავებინო შენი მშობელი მხარის, შენი კუთხისა და „სიყრმიტვე ჩვეული“ მიწაწყლის გმინვა და ძნელად წასაშლელი, ძნელად ამოსაშანი ნიშანი: **ხევსურეთ სახელ აღარ ას, არც ხალიზნია ცდისანი...**

კვირივი. მაღლი და ღირსება

„ხოლო რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, დამდაბლდეს.

და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს“.

მათე, 23.12.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის საკვირაო (26.02.2012) ქადაგებიდან: **„თავი უღირსად უნდა მიგვაჩნდეს იმისთვის, რომ ასე ახლოს მივეახლოთ სინმინდეებს და, მითუფრო, შევეხოთ მათ! უნდა გვახსოვდეს ჩვენი დიდი ღირსი მამა დავით გარეჯელი, რომელიც წმინდა მინაზე ჩავიდა და თავი უღირსად მიიჩნია, რომ ქალაქში შესულიყო, ამიტომ იერუსალიმის კედელთან მივიდა, ემთხვია მას, იქვე სამი ქვა აიღო და**

ამირან არაბული

სულუქცივრად საკითხავნი



უკანვე გამობრუნდა. და ასე მიიღო მან უდიდესი მაღლი!“

თამარ პირქუშაშვილის ნაამბობი (ჩარგალი. 20.09.2011): „წინა პარასკევს გურამ დორჩანაშვილი ამოვიდა, — ფშავში არა ვარ ნამყოფი. მაშინ თქვა: ისე წავალ იმქვეყნადო, რო ჩემი ცოდვილი ფეხით არ შევლახავ მაგ სინმინდესო... არ შევიდა ვაჟას სახლ-მეზუმში... ჩემ ენაში არ არის სიტყვა, ვაჟა-ფშაველას რო შეეფერე-

ბოდესო. რა ვთქვაო, „დიადი“? „დიადი“, უბრალოდ, არ შეიძლებაო!..

თან ექიმიც ახლდა. სუ ცრემლში ჰქონდა თვალეები...“

კრძალვა საკრალური სინმინდეების მიმართ — სანუთროული სურვილებით დამძიმებული სულელების განწმენდისა და გადარჩენისკენ მიმავალი ბილიკი!

როგორც ჯვარ-ხატების მაღლიანი „კვირვებია“ ხორციელთათვის დახმული და შეუვალი, ასეთივე უნდა იყოს ვაჟა-ფშაველას ბადალ შემოქმედთა შინა, სახლკარი და, საერთოდ, ის გარემო, სადაც ისინი ნაცრემლ გულში გამოვლილი სიტყვეებით შედევრებს ქმნიდნენ...

გურამ დორჩანაშვილი ორი სამყაროს

უშიშა და თამარა მოვიკვეთოთ, ერთურთს გადავაბათ, დავხოცოთ ანდა სოფლისძირულ მდინარეს გავატანოთო...

იმ დროს, ამლიცნები რომ ბჭობდნენ, უშიშა სულნახეურთ „მაღალბან“ ავიდა. აილო თოფი და ამონმინდა. ძირს ტყავი დაიგო და მხარნაგდებით შემონვა. გარკვევით ეყურებოდა, რაზე საუბრობდნენ საფეხვნოს შეკრებილი მისი თანასოფლელები.

მოულოდნელად ამლის თავზე არწივი შემოხინდა.

უშიშამ თვალი ჰკიდა, წამოჯდა, თოფი „წამოიბრუნა“ და ესროლა.

მზევიწართ „კარში“ ჩამოვარდნილ უწურთნ ფრთოსანს „შიგ მქართუში“ სჭირდა ნატყვიარი.

ჩუბინმა ძირს დადო ძმასავით საიმედო იარაღი...

ამლიცნებმა, ეს რომ ნახეს, სიტყვის ყუვი და საქცივი შეცვალეს, გულეები მოადოდგროვეს, მრჩეულად გონებას მოუხმეს და თქვეს: **ჩვენ ასეთ კაცს ვერ მოვიკვეთოთ, ვერ მოვიშორებთ; კაცს, რომელმაც არც ცაზე მავალი ფრინველი გაუშვა და არც ამლისკენ წამოსული მტერიო!**

უმრეცხლო თამარა იმავე ღამეს გაარიდეს ამლას და ღიღილოს მღვრიე ცის ცქერა არგუნეს წილადა.

სამაგიერო

„საკვირველება აზრისა სიტყვას მიჩერებს“.

წმიდა ბასილი დიდი

შვილმკვდარი, დარდით დაღლილი და დასეტყვილი შაოსანი დედა ახლა უკვე დამშვიდებული, დაწმენდილი, ხმაჩაკრეფილი მდინარის პირას ჩამუხლულა; იმ მდინარის პირას, ცოტა ხნის წინ ერთადერთი შვილი რომ წაართვა, წაინილკერძა და უწყალოდ მოუსხიბა, დაუშრო და დაუშრიტა საამქვეყნო სურვილების სათავე... ჩახრილა, ჩამუხლულა, მარცხენა ლოყაზე გლოვისფერი ჩიქილის გახუნებული ყუა აუფარებია და უგულო ტალღებს ცრემლში გამლბალი, გატეხილი ხმით ჩასძახის: **სხვას კი რას გამოგაჯავრებ, წყალო, არ შავსომ, ტიალო!..**

მოდი და მოძებნე მრავალსაუკუნოვან ხალხურ სამართალში ამაზე მკაცრი და ორიგინალური განაჩენი!

უშიშა

„კარგს კაცთან ჩხუბი შჯობია ცუდასთან ქეიფობასა“.

ხალხური

გიორგათ აბას მორალური დანაშაული — გაჯალათ უღამაზესი თამარის „გაბიჭიანება“ — უშიშამ, მისმა შინმმა, დაიბრალა.

აბა ადგა და, რადგან სოფელი მღელვარებისგან იმდგველეოდა, რამდენიმე დღით საჯიხვეებში გადაიკარგა...

გულამღვრეული, ავად აღროფებული ამლა ძროხელათ ბანზე შეიყარა. იამბეს, ითათბირეს და გადაწყვიტეს:

ამაში სხვა ანალიტიკოსებიც მეთანხმებიან. მე ვერა და შენ ნამდვილად მოესწრები რუსეთის დაშლას. არ ვიცი, მსოფლიოს და კონკრეტულად შენს ქვეყანას რას მოუტანს ეს პროცესი, მაგრამ მოესწრები და მომიგონებ. ამიტომაც სულ უფრო ცოტა ხალხი სწავლობს რუსულს. ესლა როცა ახალგაზრდები რჩევას მეკითხებიან, ვურჩევ ჩინური და არაბული ისწავლონ. ეს აქტუალური მიმართულებებია...

— გუშინ ღამე ის თქვენი მოცემული ფურცლები წავიკითხე...

— მართლა? გამახსენე, რომელი მოგეცია.

— ციხე...
— მერე, რას იტყვი ამ ყველაფერზე?
— შთამბეჭდავია...

— ბრიტანეთში მე ერთი ოპონენტი მყავდა — ოქსფორდელი პროფესორი. ჩემს საბჭოთა მანკიერებების მამხილებელ წერილებს ხშირად პასუხობდა. სხვათა შორის, საქართველოშიც რამდენჯერმე იყო ნამყოფი. ჩვენი დაპირისპირება წლები გრძელდებოდა. გადაბირებული ჰყავდათ. ფაქტიურად აგენტი იყო და მემარცხენე ინტელექტუალად მოჰქონდა თავი. ამას ვერ ვუმტკიცებდით, მაგრამ რაც მოხდა, ცხადზე ცხადი იყო. ბრიტანეთში მას ცოლ-შვილი ჰყავდა, მაგრამ ჰომოსექსუალი იყო, ეტყობა აქ ვიღაც მიუგზავნეს, იმ კაცის მსგავსი, ვინც ეს წერილი დანერგა, შეიძლება თავად ისიც. დამთხვევები არ უნდა გაგიკვირდეს, მსოფლიო იმაზე პატარაა, ჩვენ რომ ვგვგონია, ცხოვრება კი სურპრიზებითაა სავსე. სხვათა შორის, დასავლეთი მაშინ საკმაოდ პატრიარქალური იყო... მოკლედ, მასზე კომპრომატები ჰქონდათ, ალბათ ფოტოები, შეი-



ძლება, სექსუალური აქტი კინოფორზეც გადაიღეს...

— რითი დამთავრდა თქვენი დაპირისპირება?

— მან თავი მოიკლა. ერთდერითი სწორი გამოსავალი ნახა. ოლონდ, ვშიშობ, რომ დააგვიანა.

— ესე იგი, ეგრე ხდებოდა ყველაფერი...

— დიახ, ასე ხდებოდა. დიდი თამაში ხისტი რამ იყო. საბჭოელებს კი ჯენტლმენობას ვერ მოთხოვდი.

ოპ, როგორი მოსაწყვეტი კისერი აქვს ამ ნორმანების ჩამომავალს, რომელიც საკუთარ გვარიშვილობას 1066 წლიდან ითვლის, როცა ჰასტინგის ბრძოლის მერე მის დიდ წინაპარს დევიონში ებოძა მამული...

გზა, გზა, გზა... გზა საშველია.

პანტიშარის პოსტი მეხუთე კვადრატს მაგონებს. ოლონდ ამათ ეროვნული ქვეწარმავლები აღარ იკმარეს. „კობრა“ ჩვენს ნებართვას ათვალეობს და მერე რაციით „ანაკონდას“ ეკითხება, გაგვატაროს თუ არა... გვატარებს.

ჯერ კიდევ სამოციან წლებში სამუხის ველზე ფარა-ფარა დადიოდნენ ქურციკები. აქედან აზერბაიჯანამდე ხელის ერთი განვდენაა. ამ დაცემულ ველზე ვერც მიხვდები, სად მთავრდება ერთი ქვეყანა და სად იწყება მერე. ამბობენ, რომ საზღვრის იქით ქურციკები ჯერ კიდევ შემორჩნენ. არ ვიცი. არ ვყოფილვარ.

სამუხის ველი ახლა ცარიელია. ბინები — გამოკეტილი. სულ მალე აქაურობა ცხვრით გაივსება. მთიდან დაძრული ცხვარი უკვე გზაშია, ჩვენ მას ყველგან ვხვდებით. მალე ცხვარიც და მეცხვარეც აქ იქნება...

— თებერვლის თვეში ამ ველზე სარსარაკებს ვხედავთ ხოლმე.

— მართლა?! მე ისინი ესპანეთში მიწახავს. კიდევ მისი ბიძაშვილი არაბული სავაითი მინახავს, როცა სრულიად ახალგაზრდა საჰარაში მოვხდი. დილა იყო. უდაბნოში გასაოცარი განთიადი იცის და სავაითები ჩვენი ჯიბის წინ მირბოდნენ. უკვე რამდენიმე თვე ვცხოვრობდი ალჟირში და უდაბნო ჯერ არ მენახა. არ დამავიწყდება ის დღე, როცა საჰარა გამოჩნდა. მგონი, მას მერე ეგეთი ძლიერი შთაბეჭდილება არც მიმიღია...

— თებერვალში, როცა ამინდი ირევა, შეიძლება გაგიმართლოს და სარსარაკების რამდენიმე ათასიანი გუნდი ნახო. მე მიწახავს...

— აქ?

— აქ არა. აქ თითო ოროლა თუ მეყოლება ნახაბი. ერთხელ მეხუთე კვადრატში ვნახე უზარმაზარი გუნდი. ათი ათასი ფრთა მანაც იქნებოდა...

— ისევ ეს დაკარგული სამოთხე. შენ ამ ადგილს დიდი ნოსტალგიით აღწერ. უკეთ რომ წარმოვიდგინო, შეგიძლია დაახლოებით მითხრა, რას ჰგავს იქაურობა?

— მგონი, ნიუ მექსიკოს...

— ?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ავტორის ფოტოები

რეჟისორი

სახლში გვექონდა ჩაის სმის რიტუალი, ანუ დილა-სალამოს ვსვამდით ჩაის. საუზმობისას რძე რომ დაგვევლია ან კაკაო, მანაც ვამბობდით არა „ვისაუზმომო“, არამედ „ჩაი დავლიოთ“. ზაფხულში და თბილ დღეებში ჩაის სმის რიტუალი ტარდებოდა სამზარეულოში. მე ვიჯექი ბეზიასა და ბაბუას შორის, დედა და მამა — ჩემი დები — მაგიდის ერთ ბოლოში. მისატანებელი უმეტესად იყო პური — ჯემიანი ან მურაბიანი, იშვიათად — თავლიანი და კიდევ უფრო იშვიათად — კარაქიანი. გამონაკლის შემთხვევებში, როცა ბებია შინ არ იყო, თავს ნებას ვაძლევდით, პურისთვის მიგვეტანებინა ყველიც (ბებია ლომისთვის ინახავდა).

ზამთრობით კი ბებიას სასადილო ოთახში „ფოთნოზით“ შემოჰქონდა ფინჯნები, საშაქრე, ჩაი, საპურე სუფრის თავში — ბაბუა, მარცხნივ — ბებია, მერე — მე, ჩემი დები, დედა, მამა.

ჩაის ბაბუა კრეფდა და აყენებდა. ალბათ ამიტომ არის, რომ ჩაი დღემდე განსაკუთრებულად მიყვარს. ჩაი და ქვეყნები, სადაც დღემდე ინარჩუნებენ ასეთ ურთიერთობებს. ამიტომ მიყვარს იაპონია, ქალაქის ნერო და ტანკა.

ერთხელ ჩემი მეგობრის ფეისბუქის კედელზე ვინმე იაკი კაბეს ისეთ ტანკას წავანყდი, სასწრაფოდ დავინყე ძებნა ამ ავტორის სხვა ტანკების მოსაპოვებლად. არც ერთმა საძიებო სისტემამ არც ერთ ენაზე არაფერი უწყოდა ამ იაპონელის შესახებ. მეც, რაღა მექნა, დავჯერდი ჩემი მეგობრის კედელზე სტატუსებად ქცეულ ხუთსტრიქონედებს.

„ჩემს სამშობლოში, სადაც ამდენი ღვთისმსახური და პოეტიკა, ჩალად არა ღირს სიცოცხლე კაცის“.

ეს ტანკა რომ წავიკითხე, კიდევ ერთხელ გადავწყვიტე, რომ დედამინაზე საზღვრები არ არსებობს და ყველგან შეიძლება იპოვო შენი თავი, შენი ქვეყანა, შენი სამშობლო. ერთ მზიან დღით კი ეს დამხვდა:

„დილით ავდექი ძალიან ადრე, გამოვალე ყველა ფანჯარა, მზეს შევეგებე და მხოლოდ ერთი ლოცვა ვთქვი გულში — ჩემი სამშობლო, ჩემი სამშობლო, სამშობლო ჩემი“.

საკვირველი ის იყო, რომ ყველა ტან-

მალინა საჯაია ჩაი იაპონურად, ჩაი თურქულად



კა საოცარი სიზუსტით ეხმიანებოდა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. თითქოს 21-ე საუკუნის საქართველოში ცხოვრობდა იაკი კაბე. ჰოდა, როცა ნიგნის პრეზენტაციის ანონსში ვერ ვიპოვე მთარგმნელის გვარი, მაშინლა მივხვდი, რომ „იაპონელი“ თავად ამ სტატუსების ავტორი ირაკლი კაკაბაძე იყო.

ციცინათელების სასაფლაოს მომვლელი ბიჭის ნიგნის პრეზენტაციაზე კომონოში გამოწყობილი მისი მეგობრები ხელის გრაციოზული მოძრაობით ასხამდნენ ფიალაში მწვანე ჩაის. „დიდი იასუნარი კაკაბაძე კი გვასწავლის, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ იხრება გეიშა და ხელს როგორ ამოძრავებს ჩაის დასხმისას“ (სალომე ბენიძე).

პატარა ნიგნია, სულ 100 ლექსით, შიგნით კი — დიდი სიყვარული, სიხარული, ადამიანური ურთიერთობები, სამშობლო, ტკივილი, იმედგაცრუება, ღალატი, სევდა, გარდაცვალება, შვილები და მომავლის იმედი გამომწყვდეულა ხუთსტრიქონის შორის და თითქოს ავტორთან სტუმრად მისული ჩაისავით ნელ-ნელა აგემოვნებ.

ერთ დღესაც ირაკლი კაკაბაძე სოციალური ქსელიდან გაქრა, მერე ისევ დაბრუნდა და თურქი მწერლის ისქანდერ ბალთაზარ ქირმიზის ნიგნიდან გაგვაცნო ნაწყვეტები. არ მახსოვს, პირველად რომელი წავიკითხე, მაგრამ მოუთმენლად ველოდი გაგრძელებას. ისევ ვეძებე ინტერნეტში და ისევ უშედეგოდ. ეტყობა,

ძალიან მიამიტი ვარ და „შეცდომებზე“ ვერ ვსწავლობ. მერე ისქანდერის სიტყვები დაიდო: „...იაპონიაში ყოფნის დროს ახალგაზრდა ქართველი პოეტი, ირაკლი კაკაბაძე გავიცანი. ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად, ადვილად დავმეგობრდით და სიამოვნებით ვუზიარებდით ერთმანეთს ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას. იგი განათლების სისტემას იკვლევდა, მე კი იაპონურ ლიტერატურას. ჩვენი ინტერესები და სასაუბრო თემა ძირითადად იაპონიას არ სცილდებოდა, მაგრამ ძალზე ხშირად ვსაუბრობდით თურქეთსა და საქართველოზე, ჩვენი ხალხების ბევრ საერთო თვისებაზე და, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთსა და დასავლეთზე — სხვა რა უნდა აღვლევდეს თურქსა და ქართველს?.. ირაკლი ამბობდა, მეზობლობის მიუხედავად, საერთოდ არ ვიცნობთ ერთმანეთსო, დღემდე შუა საუკუნეების ჩარჩოებიდან და სტიგმებიდან ვიციქირებითო...“

...ზია ბეი, ამ ჩანაწერების ნიგნად გამოცემა თქვენი გადასაწყვეტია, მაგრამ თუ დაბეჭდავთ, სადაც არ უნდა ვიყო, გავიგებ და ძლიერ გამიხარდება, რადგან, დარწმუნებული ვარ, თუ სადმე ნიგნზე ჩემს სახელსა და გვარს შენიშნავს ჩემი ქართველი მეგობარი, აუცილებლად გადაშლის და წაიკითხავს. ვიცი, შეიძლება, სულაც არ ჰგავს ჩემს ნაწერს და სუსტ ტექსტადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ერთ დღე-ღამეში, გაუსაძლისი ტკივილების დროს შეიქმნა მოხუცი მწერლის მიერ“.

მოკლედ, 2013 წლის 22 მაისის თბილ საღამოს თურქული ჩაის, ტკბილეულისა და ტრადიციული აღმოსავლური მუსიკის თანხლებით ირაკლი კაკაბაძემ გაგვაცნო „თურქული სიმღერების გზამკვლევი“. ნიგნი იმ დღესვე დავაჭაშნიკე და პირველი ორი გვერდის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ნელ-ნელა, გამობოვით მეკითხა.

„ადამიანის სული თუ გინახავთ?“ — ამ წინადადებით იწყება „თურქული გზამკვლევი“. ნიგნის სული თუ გინახავთ? მე მინახავს. ირაკლი კაკაბაძის ნიგნებს სული აქვს.


„...თურქში იმდენი დასავლეთია, რამდენიც აღმოსავლეთი, მაგრამ აღ-

მოსავლეთი იმდენად ძლიერია, რომ უმრავლეს შემთხვევაში, დასავლეთი არსად არ ჩანს — იმ მსახიობსა ჰგავს, რომელსაც სცენაზე გამოჩენის რცხვენია და კულისებიდან რომ გამოვიდეს, მუდმივად სხვების დახმარება სჭირდება...“

ირაკლი კაკაბაძე ამ ნიგნშიც ცხოვრებაზე, მის შავ-თეთრ მხარეებზე გვიყვება, ოლონდ ამჯერად შავი ჩაით გვიმასპინძლებდა. დედის კალთაზე გამობმული 30 წლის ბიჭები, აბანოში ნასვლის ტრადიცია, სტამბოლის ძველი, წითელი კონკა, სხვისი ცხოვრებით მცხოვრები თურქები, რომლებსაც ალაჰი მხოლოდ ერთ სიცოცხლეს აძლევს და იმასაც „უქმ ლაყაფსა და ჭორაობაში“ ფლანგავენ, სამშობლოს მიერ დევნილი, ბურსის საპრობილეში გამოწყვეტილი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი.

„მე თუ არ დავინვი, შენ თუ არ დაინვი, ჩვენ თუ არ დავინვით, ბნელს ვინ გაანათებს?!“

„მაჯუბი რომ გადავიჭრათ, სისხლის მაგივრად ჩაი წამოგვივა“, — წერს ისქანდერ ბალთაზარ ქირმიზი. „თურქული სიმღერების გზამკვლევი“ ჰგავს საყვარელ ადამიანთან ერთად შემოდგომის თბილ საღამოს აივანზე სავარძელში ჩასვენებას, კარგი ჩაის დალევას და რაჰათ-ლუქუმის მიტანებას.



ცვილის ფრთები

ჩვენ წინ გველოდა სასტიკი ომი — ცხოვრება
ათას ხიფათით სავესე!
შეტქმულელებს ვგავდით მაშინ ჩვენ ორნიც
ჩვენი ბავშვობის გორაკის თავზე.
ნამდვილი იყო მზეცა და მთვარეც, თან აღმა ცურვაც
იყო ადვილი

და ვერ ვხვდებოდით
დიდი ხნით ადრე,
სხვასაც რომ ჰქონდა ეს გზა გავლილი.
მაშინ გვეგონა, რომ მთის გადადგმაც შეგვეძლო
ჩვენი რწმენით და ძალით,

გვსურდა,
აგვეხსნა ყველა ქარაგმა,
გვსურდა,
დაგვეპყრო ყველა მწვერვალი...
მაგრამ უეცრად ვიღაც უცნობმა შეცვალა სცენაც,
დეკორაციაც

და მბრძანებლური ტონით გვაცნობა,
ცხოვრება ფარსად რატომ აქცია.
მას ყველაფერი ჰქონდა გათვლილი და მის სცენაზე
იაც ჰყვოდა,

მაგრამ არც ცრემლი იყო
ნამდვილი,
გულს ხელოვნური ჰქონდა აორტაც...
და ჩვენი გზებიც გაიყო მაშინ, ჩვენი აზრებიც
მაშინ გაორდა,

აკრობატი კი —
ხელოვნურ ცაში,
ზურგზე მიბმული თოკით დაქროდა...
მაგრამ შენ უკვე მოგწონდა ფარსი,
რადგან რეჟისორს ასე მოუნდა

და სხვებთან ერთად „ცრუ გმირთა დასში“
შენც გამზადდებდნენ ცირკის
კლოუნად.
მეც შემიკვებეს თეთრი აფრები,
მეც ბევრი მარცხი შემხვდა თავიდან,

იკარუსივით მზისკენ გაფრენილს
ის ცვილის ფრთებიც ბევრჯერ გამიძნა.
მაგრამ კვლავ მწამდა,
რომ მზეც და მთვარეც
და ვარსკვლავებიც იყო
ნამდვილი

და არ მჯეროდა, დიდი ხნით ადრე სხვასაც
რომ ჰქონდა ეს გზა გავლილი.
შენ კი იგუე ხელოვნურ ცაში ფრენა
ხელოვნურ მეტეორებთან,

შეძახილები
და ხშირი ტაში
არც გბეზრდებოდა, არც გაღონებდა...
მაგრამ ერთხელაც, როცა დაღლილმა
თქვი: „ყველაფერი იყო გათვლილი,“
უეცრად

ცრემლი მოგწყდა თვალიდან,
მაგრამ არც ცრემლი იყო
ნამდვილი.
და გაგახსენდა, რომ მთის გადადგმას
ერთად ვცდილობდით რწმენით და ძალით.

გვსურდა,
აგვეხსნა ყველა ქარაგმა,
გვსურდა,
დაგვეპყრო ყველა მწვერვალი!



არასრულებულ სურვილთა გამო
არ ჩაძირულა არცერთი გემი.
რა ვუყოთ, თუკი ცხოვრება გადის
დაღლილი ჩვენი ცოდვების თრევით.

თემურ გაბუნია

ლაღად ვერავინ გაიტანს ლელოს,
ისე რომ ბოლოს არ იგრძნოს დაღლა,
თუ არ იწვინა დაცემის გემო
და არ იფრინა ღრუბლებზე მაღლა.

თუკი არ იშვა მეორედ კაცი,
ყოველდღე თუ არ გაეკრა ჯვარზე,
ბოლოს იშვილებს გრძნობისგან დაცლილს
უფსკრული ავი სულებით სავესე.

ახალი გაბილონი

ვაი, ბაბილონი!
შენი ბრწყინვა თვალებს აბრმავებს,
თეთრს შავად აქცევს,
შავს კი – თეთრად.
შენს ლაბირინთში
ახლაც ყმუიან
უგზოუკლოდ დაკარგულები.

ვაი, ბაბილონი!
რამდენი უმანკო შეაცდინე,
რამდენი გაალოთე,
რამდენი აიძულე სხეული გაეყიდა.
შენს სტრიპტიზ-ბარებში
ახლაც შიშვლდებიან კახპები,
მეოცნებენი კი თავს იკლავენ.

ვაი, ბაბილონი!
ვინ უწყის როდის დაგამხობენ,
როდის შეიმოსებიან ძაძით
შენი დედები.
მოვა დრო და
ოდებს აღარ დაგინერენ,
აღარც გიმღერებენ,

ვაი, ბაბილონი!
უკვე აუღესავთ მახვილები
აპოკალიფსის მხედრებს
და ნიშანს ელიან,
რომ გაგთელონ.
ვაი, ბაბილონი!
შენ ერთ დროს ღმერთს გადარებდნენ,

ახლა კი უნდა გაქრე.
ვინაა აქცევს
შენს სიბილნეს სინმინდედ,
თეთრს – შავად?
ან ვინაა იცეკვებს შენს დარბაზებში?
ვაი, ბაბილონი!
შენც ხომ იცი,
უნდა დაინთქე...

აგვიმღვრევს თვალებს სევდა ბოშათა
და კატაფალკზე დადებს იმედებს,
მაგრამ ბოლომდე ვერ ამოგვშანთავს,
მაგრამ ბოლომდე ვერ გაგვიმეტებს.
დავემსგავსებით იმ ობოლ და-ძმას,
უსიერ ტყეში რომ გადაკარგეს.
შიშით შევავლებთ თვალს უკვდავ ჯვარცმას
და რიდით – სხვების ნიჭს და სიკარგეს.
გვიან მივხვდებით, რომ ეს სოფელი
არ ღირდა ამდენ ტანჯვა-წვალებად,
რომ შიში ბნელი და მათრობელი
თავგზას გვირევედა და გვამალებდა.
მერე კი ტანზე დაგვეკიდება
ბერნსიტყვაობის მრუდი ხუნდები,
დავუნყებთ ძებნას ფერმკრთალ დიდებას,
უკან კი მაინც ვერ დავბრუნდებით.

დაგეგმილი ცხოვრება

ვიღაც გვიგეგმავს
ჩვენ ცხოვრებას
შოუდან შოუმდე,
ჩვენ სიხარულს
და მწუხარებას.
თითქოს ვიღაც გვკარნახობს,
როდის უნდა გავიცინოთ
და როდის უნდა ვიტყოთ.
აქ სიტყვები კარგავენ თავიანთ წონას,
ლიმილი – გულწრფელობას,
ცა – სილურჯეს,
მზე – სიკაშკაშეს.
ყველაფერი უცებ იბადება
და მერე საპნის ბუშტივით
სკდება.
რა მოხდება,
არავინ რომ არ გვიგეგმავდეს ნუთებს და საათებს?
მაშინ ხომ დრო ჩიტივით არ გაფრინდებოდა?
მაშინ ხომ ცა უფრო ლურჯი იქნებოდა?
მზე კი – უფრო კაშკაშა?
მაშინ ხომ ჩვენც სხვანაირები ვიქნებოდით?
ო, ღმერთო!

რა მოხდება, რომ არავინ არ
გვიგეგმავდეს
ჩვენს ცრემლს და სიხარულს?
რა მოხდებოდა, თავისუფლები რომ
ვიყოთ?!

ამალეზის ლამე

მე ყველაზე მეტად
გამარჯვება მზარავს,
ოფლად გაღვრილ შუბლზე
ტოკავს კენტი ძარღვი.
დედის ძუძუს ნაცვლად
სანოვარა მომცეს,
დამშვიდება სურდათ
აკენის ნელი რწვეით
(იმ მტირალა ბავშვის
არტახებიც მახსოვს).
ნუ დამირწვევ აკვანს,
ამალეზის ლამე,
მე ყველაზე მეტად
დამშვიდება მაკროტობს.
ანგელოზთა ენა
მხოლოდ მაშინ მესმის,
როცა ძარღვი მღერის
გამონწვევის სონეტს.
მე იმ სონეტს გიძღვნი,
ამალეზის ლამე.
გაბრაზებულ სისხლის
გაბრძოლებას ვიგრძნობ
და სიცოცხლის ნიშნად
ვიღრიალებ ისევ.
რინგის კუთხეს აკრულ
დამარცხების ფასად
დამითვლიან ათჯერ
ცივი, მკაცრი ხელით,
მე ყველაზე მეტად
დამშვიდება მზარავს,
ნუ დამირწვევ აკვანს,
ამას გევედრები.

ოაზისი

მდუმარედ როკავდნენ ველური
პალმები,
ნიაფი ლერწმების ორღანებს უკრავდა,
მე ისევ ლურჯი ტბის ოაზისს ვეძებდი,
ენატრობდი პეპლების იისფერ
მასკარადს.

წყურვილი ახრჩობდა უწყინარ
აქლემებს,
მდულარე ქვიშაში დნებოდნენ გველები,
კაქტუსის ფესვები ითხრიდნენ
საფლავებს,
კვლავ არ მასვენებდა შიში და ეჭვები.

და ისევ ლურჯი ტბის კაბარეს ვეძებდი,
ენატრობდი პეპლების იისფერ
მასკარადს,
ნიაფი ლერწმების ორღანებს უკრავდა,
შიშველი ქალივით ცეკვავდნენ თევზები.

უსილავი ბრძოლა

ბავშვობაში,
როცა მთვარეს ჰქონდა
სახე
ნაკუნ-ნაკუნ აჩეხილი ქალის,
მე წარმართმა ღმერთმა გამიტაცა.
მე მელოდა საფრთხე
თალიანი დერეფნების გავლის,
სადაც
სარკისთვალა მოჩვენება იდგა
სიგიჟის და გაორების.
ხეივანში წარმართული კერპი
ხარხარებდა
და ხეები იდგნენ ცისკენ
ხელაპყრობილ მლოცველივით.
მარმარილოს სვეტებს
ლაქასავით აჩნდა
სისხლიანი ხელის
ანაბეჭდი.
სურო მინას გველებივით ეხვეოდა
და სინაზე იდო ვაშლი.
თეთრ აუზთან იდგა ქალის ქანდაკება
და ხეები დუმდნენ
ცისკენ
ხელანვდილი მლოცველივით.
ბავშვობაში,
როცა მთვარეს ჰქონდა
სახე
ნაკუნ-ნაკუნ აჩეხილი ქალის,
მე ნათლობის ანგელოზმა
დამიფარა.



ზურაბ სამადაშვილი

1. მარაბული 13, ჩემთვის, იდუმალებით მოცული ადგილი იყო. მაკვირვებდა იმის წარმოდგენა, რომ აქ დაიარებოდნენ, ფიქრობდნენ, საქმიანობდნენ მიხილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკოლოზ ბერიძე, ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურის მიმდევრებად შერაცხული „ცისფერყანწილები“... საოცრებად მეჩვენებოდა და პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა, ზემოთ ნახსენებთა უმრავლესობის მწერალთა კავშირიდან გარიცხვა, იქვე, ორიოდ ნაბიჯზე, კომკავშირულ ფუნქციონერთა სასახლის არსებობა... მორიდებით შევე-

აბიჯე მწერალთა კავშირის შენობაში, ბატონ შოთა ნიშნაიანიძეს (თავმჯდომარე გახლდათ) გავეცანი და ვთხოვე, იქნებ ცნობა მომცეთ, რომ ვიბეჭდები, წინააღმდეგ შემთხვევაში, უსაქმურობისთვის მაპატიმრებენ-მეთქი. „მსგავსი არაფერი გამიგონიაო“, - გაიცინა. არადა, სასაცილოდ არ მქონდა საქმე, მეორე დღეს, ორჯონიკიძის რაიკომში იხილებოდა ჩემი საკითხი. როგორც უმაღლესდამთავრებულს, არ მქონდა მუშა მუშაობის უფლება, სპეციალობის მიხედვით ადგილს ვერ ვმოულობდი, უსაქმურობა კი კანონით ისჯებოდა. „ძალიან ცუდ დღეში ყოფილხარო, - ღიმილით დასწვდა ბატონი შოთა კალამს და ჩაფიქრდა, - ჰო, მაგრამ ასეთი ცნობა არასოდეს დამიწერია და არ ვიცი, როგორ დავწერო“. საერთო ძალებით შევადგინეთ რამოდენიმე ტრაფარეტული წინადადება და ფურცელი მდივანთან გადავქაჩე გადასაბეჭდად. გადაბეჭდვის შემდეგ ბატონი შოთას ნაწერი მოვჭმუჭნე და შეიძლება, აქ ჩავაგდო-მეთქი, ვიკითხე. „რას აკეთებო! - ხელში მწვდა მდივანი, - შოთა ნიშნაიანიძის ხელნაწერს საწვავებში ავადებ? უეჭველად შეინახეო“.

ჭეშმარიტად, იდუმალებით მოცული ადგილი იყო მარაბულის 13... მე რე და მე რე მეც ვაგვიწინაურდი ამ შენობაში, ვესწრებოდი განხილვებს, საღამოებს... ჩემი პირველი, გამოსაცემი კრებულის განხილვაც აქ შედგა 1985 წელს. მომხსენებელი ნოდარ წულეისკირი გახლდათ. ბატონმა ნოდარმა დამიწუნა ჟარგონის სიუხვე, პოსტმოდერნულობა, კოსმოპოლიტურობა, ე.ი. ტრადიციებისა და ეროვნული ნიადაგის უარყოფა და საერთოდაც, კაცობრიობისკენ მოწოდება.

ერთი პერსონაჟი მეორეს ეუბნება ხუმრობით, თუ ძალიან გამიჭირდა, ადამიანის ხორცსაც არ დავინუნებო და ბატონი ნოდარი ალბათ ამ დიალოგს გულისხმობდა. ბატონი ელიზბარ ჯავახიძე და ბატონი თემურ ქორიძე გამომესარჩლენ - ავტორი სათქმელს მიუკიბ-მოუკიბავად, შეუნიღბავად ამბობს და ჟარგონის სიუხვეც სწორედ ასეთი მიდგომით არის გამოხვეწილი, დროა, სოცრეალიზმიდან ცხოვრებისეულ რეალიზმს დავუბრუნდეთო. კარგად მახსოვს ლაშა თაბუკაშვილის თაოსნობით ახალგაზრდა მწერალთა აღმანახის („სათავე“) მომზადების პროცესი. აქვე აღვნიშნავ, რომ ლაშა თაბუკაშვილი ერთადერთი უპარტიო მდივანი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის არსებობის ისტორიაში. მომზადდა აღმანახი, გაიგზავნა სტამბაში და მთელი ექვსი თვე აღარ დაადგა საშვები გამოცემას. როგორც მოგვიანებით პასუხისმგებელი მდივანი - ვაჟა ჩორელიც განვიგე, ცენზორებს თვალში არ მოსვლიათ ჩემი ყოვლად უპრეტენზიო მოთხრობა - „წრე“ და კატეგორიულად მოუთხოვიათ მისი ამოღება. ბატონი ვაჟა ჩორელისგანვე ვიცი, რომ ლაშა თაბუკაშვილთან ერთად სრულიად უცნობი კაცი - პოეტი იორამ ქემერტელიძე ამომდგომია გვერდში და ხსენებული მოთხრობა, როგორც იქნა, გამოქვეყნდა, მაგრამ გამოქვეყნდა შემოკლებული სახით, მანქანაზე ნაბეჭდი 140 გვერდიდან 35 გვერდი გახდა ამოსაღები. სამწუხაროდ, ბატონ იორამ ქემერტელიძის პირადად გაცნობა ვერ მოვახერხე. დაბოლოს, ერთი ეპიზოდს მინდა გავიხსენო. მე და ცხონებულ მიკა ალექსიძეს რუსთაველზე შეგვხვდა პოეტი ირაკლი ბაზაძე - მწერალთა კავშირში ომარ ხაიამის სუვენირუ-

ლი გამოცემა იყიდება და ნავიდეთ, შევიძინოთო. ნავედით, რიგშიც ჩავდექით, მაგრამ შეძენის რა მოგახსენოთ! გამყიდველმა ქალბატონმა მე და მიკა ალექსიძეს ცივი უარი გვტყვიცა, რაოდენობა შეზღუდულია და თითო-თითო კრებული მხოლოდ მწერალთა კავშირის წევრებზე გაიცემაო. უადრესად შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ეპიზოდი დღემდე ვერ დავივიწყე. ოთხმოციანი წლების მიუხედავად, მწერალთა კავშირს ჯერაც არ ჰქონდა დაკარგული მწერლების მოსათვინიერებელი ფუნქცია, კვლავ მიმდინარეობდა დისკრიმინაცია, რანგებად და ჯგუფებად დაყოფა და ეს ყოველივე დამორგუწველად მოქმედებდა. უბრალოდ, ცხოვრების მაშინდელ პირობებთან შეგუებულებს ზოგჯერ გვიჭირდა რეალობის ბოლომდე გაცნობიერება.

2. ყურადღებით მაქვს ნაკითხული მწერალთა სახლის წესდება. ფურცელზე ყველაფერი ნათლად და სამართლიანად წერილია. თუ ჩვენ, დაინტერესებული ადამიანები, წესდების იმპროვიზირებას და გადაკეთება-გადმოკეთებას არ დავინწყებთ, მწერალთა სახლი ზუსტად იმ ადგილად გადაიქცევა, სადაც ყოფნა და თავის წარმოჩენა შეეძლება ნებისმიერ შემოქმედს. აღარ იარსებებს მწერლური დისკრიმინაცია, კაბინეტურ-ტრაფარეტული იერარქია, ბინების, აგარაკების, ზეთისა და ბრინჯის დარიცხვა. მწერალთა სახლი იქნება მწერალთა და საერთოდ, შემოქმედ ადამიანთა სახლი და მეტი არაფერი. ჯერჯერობით, მიმდინარეობს რემონტი და რემონტის დამთავრებამდე მზა სამოთახში რისი გაკეთებაც შესაძლებელია, მაქსიმალურად კეთდება.



1. პირველად 1997 წლის 1 ივნისი გამახსენდება, როცა აქ ჩემი საბავშვო წარმოდგენა გაიმართა 123-ე ეკოსკოლის მოსწავლეების მონაწილეობით. გემასპინძლობდა ქეთევან ჭილაშვილი და მისი დაარსებული „ძია შიოს დარბაზი“. საბავშვო მწერლები ესწრებოდნენ, გივი ჭიჭინაძემ ერთი ლექსიც კი შემიქო და უურნალ „დილისკენ“ გამამგზავრა... მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ ამ დღის 13 წლის თავზე, გადმომცემდნენ ჩემი სათაყვანო მავალა მრეწველობის სახელობის პრემიას. მოგონებებისა და აზრდების მუხუმივითაა ეს შენობა, რომელშიც წარმოსახავ სურათებს: როგორ კითხულობს სარაჯიშვილის მიერ გამართულ ვახშამზე ილია ჭავჭავაძე „განდეგის“, როგორ იქმნება „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“ და იქვე აკაკი თავის საყვარელ ირანულ ოთახში. კიბე, რომელიც პირველი სართულის ბუხრიან ფოიეს აერთებს მეორე სართულთან. ამ კიბის ყოველი საფეხურის განაპირა მხარეებზე ორი-ორი შემკული ქალიშვილი მდგარა, როცა მასზე აუვლია თბილისში ჩამობრძანებულ რუსეთის იმპერატორს.

ერთი თამამი პოეტესა... აქ — გადასახლებიდან დაბრუნებული ლევან გოთუა ახალგაზრდებით გარშემორტყმული. აქ — გალაკტიონი, ცინიკურ-ბოჰემური ნიღბით, მაგრამ მაინც აქ! რადგან კომუნისტებმა სხვაგან არსად, მხოლოდ აქ დააფოკუსირეს მთელი ინტელექტუალური ძალთა ერთობა (უნივერსიტეტთან ერთად). უცნაურია, მაგრამ ის ერთდროულად ავანგარდშიც იდგა, კულტურასაც ქმნიდა და ნებისმიერ თამამ მოაზროვნესაც რიცხავდა თავის რიგებიდან. თუმცა ეს დატუქსავ მოფრებდა ჩანდა იმ სისხლიანი რეპრესიების მერე, როცა ლიტერატურას პროლეტარული ცოფის დიქტატი მართავდა. ეს ყველაფერი მხოლოდ წარმოდგენებით. მე რე დანყნარდა ვნებათაღელვა ქვეყანაში, დათბა, მწერალთა კავშირი ცეკვას დონის პრივილეგიებით სარგებლობდა. სასათბურე პირობები ზოგისთვის მეტი იყო, ზოგისთვის ნაკლები, მაგრამ მაინც ხომ იყო? ხომ ეცალა მწერალს შემოქმედებითი შრომისთვის და დღევანდელი მწერლებივით ცხრა ადგილს არ იყვენ მიდებულ-მოდებულები ორი კაპიკის საშოვნელად. მაშინ უფრო მეტად ფიქრობდა სახელმწიფო იმაზე, რომ მწერალს ეწერა, ჰქონოდა ამის საშუალება. დღეს ამაზე აღარავინ ფიქრობს. ჩვენ ჯადოქრებად უნდა ვიქცეთ და ერთი დღე-ღამე ორად ვაქციოთ, ერთი სამუშაოდ, მეორე საწერად...

მე აქ ძალიან გვიან მოვედი, მაშინ, როცა უკვე ნელ-ნელა აზრს კარგავდა ძველი, ხოლო ახალი ჯერ კიდევ ვერ იმნიშვნებდა გონებას და ორიენტირებს. როცა მართლ საუკუნე კი არა, ათასწლეული იცვლებოდა.

მახსოვს, ამ ბალიდან გადაცემათა მთელი ციკლი გადიოდა თანამედროვე

„ლიტერატურული გაზეთის“ ანკეტა

- 1. რას ნიშნავს თქვენთვის მარაბულის 13?
2. როგორ წარმოვიდგენიათ მწერალთა სახლის მომავალი?



მარიამ ნიკლაური

კები“, ავეჯი, ფარდები, კედლის აბრეშუმები (რომელიც ერთ-ერთი რემონტის დროს, როგორც სამუხეუმო სახლს ეკადრებოდა, სარაჯიშვილის დროინდელი აბრეშუმის ზუსტი ასლით მოიქსოვა თბილისის აბრეშუმის ფაბრიკაში და გაიკრა კედლებზე). ეს სახლი სწორედ ადამიანით გაიღივტა, ბიბლიოთეკაც, მგონი, სადაც გაქრა და ბოლოს თავისივე კედლებიდან გამოდებული დგას და ყვება ბედნიერი და ლამაზი ახალგაზრდობის ამბავს. ცრემლიც ბევრი ახსოვს. ამ კედლებიდან ასვენებდნენ მწერლებს და მათ მიჰქონდათ თავიანთი განუმეორებელი დრო. ბოლოს ის სახლიც გამოსვენდა ამ კედლებიდან

დასასრული მე-15 გვერდზე

იმ ჩინებული წამოწყების მეორე წიგნიც გამოჩნდა უკვე: „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“.

პეტრე ხვედელიძის არქივიდან კიდევ ერთი სახეა ამონათქვამი: რევაზ გაბაშვილის.

ციცინო ჯერვალაძე ახლა ამ პიროვნების პირად წერილებს აქცევდა მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების საფუძვლად.

გამართლებდა პირველი წიგნი — უმთავრესად ლევან ზურაბიშვილის ბარათებზე აგებული, სხვა დოკუმენტური მასალებიც რომ ჩაეფინებოდა და ამის წყალობით ისტორიული გარემოც მკაფიოდ გამოიკვეთებოდა, რათა საფრანგეთში ქართული ემიგრაციის მეთაურის პიროვნული ხასიათი და ღვაწლი ამ ფონზე უფრო შთაბეჭდავად წარმომდგარიყო.

ეს ჩაფენა კი ისე მოხერხდებოდა, რომ გარდა ქალბატონი ციციკოს თავდაპირველი ჩანაფიქრისა — მიმოქცევაში შემოსულიყო მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ეპისტოლური მემკვიდრეობა — წიგნი დაემგვანებოდა დოკუმენტურ რომანს.

ეს განზრახვა იმთავითვე რომ ჰქონოდა, ცხადია, წიგნის კომპოზიციურ სრულყოფაზე კიდევ უფრო იზრუნებდა და ისტორიული გარემოც და ლევან ზურაბიშვილის პორტრეტზე უფრო ნიუანსობრივად შეივსებოდა და გადასვლებიც ყოველთვის მოხდენილი იქნებოდა, მაგრამ იმ სახითაც გვაგრძობინებდა, რომ ეს არ გახლდათ მართოდენ მასალა მკვლევართა თუ უშუალოდ ქართული ემიგრაციით დაინტერესებულ მკითხველთათვის და პირწმინდად სტრუქტურული თვალსაზრისითაც საგულისხმო მოვლენას წარმოადგენდა.

როდესაც წამოწყების ის პირველი ცდა ასეთ შეფასებას მოიპოვებდა კრიტიკული განსჯისას: რომანიაო, — მეორე წიგნის კომპოზიციური აგებულებისას კიდევ უფრო დაიხვეწებოდა ეს მხარე და რევაზ გაბაშვილის ეპისტოლეები ყოველგვარი შეღავათის გარეშე წარმოდგებოდა რომანის ქარგად.

გამოცდილება ძალდაუტანებლად გამოიწვევდა ამ მხრივ ავტორის დაოსტატებას და ის პირველი წიგნიც ხელახალი გამოცემისას უთუოდ მეტ სისრულეს შეიძენს, თორემ პროექტის მომდევნო წიგნები — წინასწარვე შეიძლება ვიგუშანოთ — ასევე დოკუმენტურ რომანთა წყებად ჩამოლაგდება.

ასე რომ, პროექტის თაოსნის გამოცდილების წყალობითაც წარმომჩნდება ჩვენს თვალწინ რევაზ გაბაშვილის მონუმენტური ფიგურა, ისედაც ერთი თვალსაჩინო სახელი ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა — აქაც, ვიდრე დაედგომებოდა, და ემიგრაციაშიც, დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებაში რომ ამოხდებოდა სული.

როსტომ ჩხეიძე

შეგონება რევაზ გაბაშვილისა

საბჭოთა საქართველოში მცხოვრებთ რევაზ გაბაშვილის აქაურ ყოფაზეც მეტად ზოგადი და ბუნდოვანი წარმოდგენა გვექონდა მათაც კი, ვინც გულდასმით ვიყავით გაცნობილი უფროსების — „კლდე“ — ნომრებს. როგორც პატრიოტსა და უფროსებისთვის ასე თუ ისე წარმოვიდგინებდით, მაგრამ სრულიად დაფარული რჩებოდა ჩვენთვის მისი ღვაწლი იმ კოოპერატიულ მოძრაობაში, რომლის შემსახიროვნებაც ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე გახლდნენ და რომლის ენერგიულმა წინსვლამაც ერთბაშად დაატყო ხელი საქართველოს ეკონომიკურ ყოფას — ლამის წყალნაღებელი ერთბაშად რომ შემოტრიალდებოდა და ისე მოლონიერდებოდა, დამოუკიდებელი საქართველო მას მოიშველიებდა თუ მოიშველიებდა თავისი არსებობის ერთ-ერთ ფუნდამენტად. და მაშინ გვენახა მისი აღმავლობა, ხელში ჩაგვშინილი თავისუფლება რომ არა!..

არადა, კოოპერატიული მოძრაობა და... რევაზ გაბაშვილის გარეშე?! მისი პრაქტიკული მონაწილეობის, მისი თეორიული განსჯის...

ეს ყოველივე მის მემუარებში უნდა ამოგვეკითხა — „რაც მასხოს“, წინა საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში რომ დატრიალდებოდა საიდუმლოდ ჩვენს საზოგადოებაში და ვის ხელში აღარ მოხვდებოდა ქსეროქსზე გადაღებული ფურცლები, სულ სხვა სიმაღლით რომ წარმოგვისახავდა რევაზ გაბაშვილის პიროვნებას — საქართველოში ყოფნისა და ჯერ თავისუფლებათვის ბრძოლის წლებს, შემდეგ კი თავგამოდებულ მცდელობას ძლიერობით ამოგებული სახელმწიფოს გადასარჩენად.

ბიოგრაფიული ამბები ბიოგრაფიულ ამბებზე, ისტორიული ეპიზოდები ისტორიულ ეპიზოდებზე და ამ მემუარული თხზულების მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, დამოუკიდებლობის დამხობის მიზეზებში რომ გვახედებს ძირისძირობამდე და თვალნათლივს ხდის, თუ როგორ უნდა მოიქცე, რა გზას დაადგე, შენი სახელმწიფო რომ შეინარჩუნო — თვითმყოფადი და მტკიცე, და არა მოკორიკავე, ყოველ წუთს დასალუჟად განწირული.

ამ ერთ-ერთი უმთავრესი ღირსების წყალობით, „რაც მასხოს“ თავისებურ პოლიტიკურ პროგრამადაც წარმოგვიდგება ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების უკეთ მოსაწყობადაც და ბუნებრივად ჩართვისთვისაც საკაცობრიო მდინარეებში.

საგულისხმოა, რომ სწორედ ამ მხრივ ამახვილებს ყურადღებას მანანა გაბაშვილი ამ პიროვნების ნაღვანისა და კერძოდ ამ ავტობიოგრაფიული რომანის დანიშნულებაზე ეპისტოლეითა ქარგაზე ამოზრდილი წიგნი-

სათვის წამდღვარებულ მოკლე, ოლონდ საკმაოდ ტევად ნარკვევში „გაბაშვილთა საგვარეულო“, სადაც რევაზ გაბაშვილის ის სიტყვებიცაა მოხმობილი, სიკვდილის წინ რომ უთქვამს: სულ სამჯერ ვიტყვი.

გრძნობ, რასაც გულისხმობს, და კიდევ:

პირველად — სიხარულის ტირილი დამოუკიდებლობის აღდგენის გამო;

მეორედ — ამ დამოუკიდებლობის დაკარგვის გულისათვის;

და მესამედ — უცხო მინაში ჩანოლის ახლო მოლოდინში.


ამასობაში ხელმისაწვდომი შეიქნებოდა ამ დიდებული მოღვაწის ემიგრანტული ხანის პუბლიცისტური და სამეცნიერო მემკვიდრეობაც და მის იქაურ წლებსაც გავისიგრძეგანებდით სხვადასხვა დოკუმენტურ წყაროზე დაყრდნობითა და ურთიერთშეჯერებით, და თითქოს უკვე მოგვეპოვებოდა უმთავრესი მასალა რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკის აღსადგენად და მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოცხადებად, მაგრამ ამ საკმაო მასალას აკლდა მისი სულიერი მოძრაობის ის მხარე, ის ინტიმური სფერო, ურომლისოდაც ბიოგრაფიული რომანი მოიკოჭლებს — არსებითად აღარც არის რომანი და ისტორიულ მატინეს ემსგავსება.

რალაც-რალაც დეტალების მოძიება არ მოხერხდებოდა ვითომ?

და ნამცეცთა შეგროვებაში რომ იყავი, უეცრად მოგველინებოდა ციციკო ჯერვალაძის პროექტის ეს მეორე წიგნი, რომელიც თვალწინ ამოგვიტანდა ამ სულიერი მოძრაობის ყველაზე ფაქიზსა და ინტიმურ რხევებს.

საქმიან მიმონერასაც კი თავისი მნიშვნელობა ენიჭება, და ზოგჯერ საკმაოდ საგულისხმოც.

მითუმეტეს — გულწრფელ ბარათებს.



ასე შეიქნებოდა ყველა ჩვენგანის მეგობარიც.

ლიზა ყიფიანი მართოდენ სახელად კი არ გაიფლავებ წიგნის ფურცლებზე, არამედ მისი ნარკვევიც — „ეკატერინე გაბაშვილის ხსოვნას“ — ჩაერთვის და კიდევ ბარათები შალვა ამირეჯიბთან, ჩვენი წარსულის კიდევ ერთ დიდებულ მოღვაწესთან და რევაზ გაბაშვილის მეგობართან.

აგერ თუნდ ეს პასაჟი გავისვენოთ 1941 წლის 1 ნოემბერს მიწერილი ეპისტოლედან, ძალიან რომ სთხოვს, ეგებ ხელაი შეუწყოთ მის გამომგზავრებას გერმანიაში, რათა ამ ოთახს მოშორდეს, თორემ ამდენი წელი ერთ ოთახში ტრიალი საშინელებაა, დანერის, ნაკითხვის, თავისუფლად ადგომა-დაჯდომის საშუალება მაინც რომ ჰქონდეს, დიდი მოთხოვნისა არ არის, მაგრამ სულ მცირეოდენი შვეება ხომ მაინც სჭირდებაო:

— ერთ ხანს რეზო ისე გახტა რომ ვერ წარმოიდგენთ შალვა, წარმოგიდგენიათ რეზოს გახტომა ძვალი და ტყავი იყო, ყბები სულ ჩაუვარდა, ძალიან შემეშინდა; ამდენი წელიწადი უფროსილდებოდი რომა ჯანსაღად და ყმანვილად მექსნოს სამშობლოსი და თავისი შვილების ნახვას და სწორედ ეს ხომ დრო თითქო მოგვიახლოვდა. გული გამიკდა, ტკივილით არაფერი სტიკოვდა, მაგრამ მორალურად ცუდათ იყო. თითქო ესლაც ისეა. ამიტომ ეჯობინება მანდეთ წამოვიდეს. მე არა მიშავს მოვახერხეფ ჩემს ცხოვრებას.

წიგნს გურამ გაბაშვილის — პირველ ცოლთან შექმნილი ვაჟის — მემუარული ჩანაწერებიც — „უშამოდ განვლილი ცხოვრება“ — რომ ავსებს, ეს კიდევ ერთი მომზიბლავი შტრიხი და ძვირფასი მასალა ბიოგრაფიული რომანისათვის, ამბავი იმისა, უშამოდ გაზრდილ ბიჭს ბოლოს-დაბოლოს რომ ეღირსებოდა მშობლის მონახულება პარიზში და შინ დაბრუნებულს დედა საათობით უსმენდა იმ ეპიზოდებს, არა ბეზრდებოდა და არ ილღებოდა მთელი არსებით ჩაფლული მონათხრობში, და შვილი მიხვდებოდა: გულის სიღრმეში მამა ძალიან უყვარს, ჩვენც ხომ ამ გრძნობით გვზრდიდაო.

მამის პორტრეტს ამ ლიტერატურულ ფორმულას რომ მიუსადაგებდა: დამოუკიდებლობანართმეული საქართველოს ჭირისუფალიო, — უზომო მადლიერებას გამოხატავდა მის მიმართ ჯერ მარტო იმისთვის, ცოლ-შვილი ემიგრაციაში რომ არ წაიყვანა და არ მოაცილა იმ სულიერებას, რაც საქართველოსა და ქართველ ხალხშია და გურამ გაბაშვილს სხვაგან არსად ეგულდება.

საფლავის ქვა გამიკეთეო, — სთხოვდა შვილს რევაზ გაბაშვილი, ბანიოს სასაფლაოზე რომ გაიყვანდა და ჯერ მხოლოდ გულში ეღვრებოდა ცრემლები. ეს კი დიდხანს არ იფიქრებდა და მცხეთის ჯვრის კონტურს გამოსახავდა.

რევაზ გაბაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა

აქა გვაქვს მისახედი, მისი ღვანლი აქა გვაქვს სრულყოფილად შესაცნობი და სამოქმედო პროგრამადაც მოსამარჯვებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი განმტკიცების ზიგზაგობრივ გზაზე... მისი საფლავი კი იქა გვაქვს შესანახი და მოსაპატრონებელი — ბანიოს სასაფლაოზე, მის ირგვლივ ჩვენი კულტურის კიდევ ერთი ცენტრი რომ შეიძლება შეიქმნას და კიდევ ერთი დასაყრდენი გაგვიჩნდეს საზღვარგარეთ, მინის ამ ნამცეცსაც რომ შემოვიერთებთ.

ხოლო მაშინ, 1968 წლის 26 მაისს კარლო ინასარიძე რადიო „თავისუფლების“ სტუდიაში რომ ჰკითხავდა რევაზ გაბაშვილს: რას ურჩევდით ქართველ ხალხსა და ახალგაზრდობასო? — იგი თავის იმ რწმენას გაგვიზიარებდა, ხანგრძლივი გამოცდილებით, მეტადრე კი ხუთი-ათასწლოვანი ისტორიის მეცნიერული შესწავლით რომ ჩამოყალიბებოდა, შესწავლით — არქეოლოგიური და ენათმეცნიერული საშუალებებით:

— ყოველი პატარა ერი, რომელიც ებრძვის თავის მოძალადეს და მონინალმდეგეს, უფრო მეტს იგებს, ვიდრე როდესაც ის შეურიგდება და წაუწევა დამპყრობელს.

ესეც ამ წიგნის იდეური ქვაკუთხედი. ესეც ყველა იმ წიგნის იდეური საყრდენი, რევაზ გაბაშვილზე რაც შეიქმნება, იმ შთამბეჭდავ პორტრეტს რომ მოგვიახლოებს, რომელსაც ასე მკაფიოდ აჩვენია სამჯერ ტირილის კვალი...

პატრე ხვედელიძის არქივი კი...

ეს არქივი კვლავაც მიმზიდველად გადახსნილა და ჩვენი ცნობისნადილიც სულ უფრო და უფრო მატულობს მის მიმართ, და მატულობს იმიტომაც, რომ არქივად კი არ გვიბრუნდება, არამედ უშუალოდ ჩაერთვის ქართული სალიტერატურო პროცესის მდინარეებში, რაც უჩვეულო მოვლენაა და საგულისხმო გაკვეთილიც მკვლევართათვის — მართოდ მასალებად კი არ დანაწიონ საზღვარგარეთ თუ ჩვენშივე მოპოვებული საარქივო მემკვიდრეობა და ამით კი არ მიიჩნიონ საკუთარი ვალი მოხდილად, არამედ იმთავითვე აქციონ სამწერლო ცხოვრების მონაწილედ.

ყველა არქივი ერთნაირი რანგისა და მნიშვნელობისა ვერ იქნება?

ყველასგან ვერ ამოიზიდება მხატვრულ-დოკუმენტურ რომანთა წყება? ან კი რა აუცილებელია.

მთავარია, წყაროდ დაბეჭდულად არა რჩებოდეს ის მასალები, ისედაც მოუთმენლად რომ მოელოდნენ ხელის შეხებასა და დღის სინათლის ხილვას.

მზისათვის წამიერი თვალის მოკვრა რა ბედენაა!..

ის კი არა, კიდევ უფრო საცოდაობაა ეს ხელახალი ჩაძირვა მიტოვებულობაში. პეტრე ხვედელიძის არქივი კი...

არ არის ეს მართოდ ისტორიულ სურათთა აღსადგენად თუ ისტორიულ პერსონაჟთა პორტრეტების შესავსებად გამომწვევი ნამოწყება, რადგანაც იმ სულიერებითაც გაჟღერებულია, ამ პიროვნების ცხოვრებისეული გამოცდილების თანაზიარადაც რომ გვაქცევს, თანაზიარად იმ მოძღვარისა, ვინც ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მიეჩნია და კარგადაც იცის თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ადამიანთა უფლებების პატივისცემის, პიროვნული ღირსების, შიშის გარეშე არსებობის ფასი.

— იგივე მინდა იყოს ჩემს ქვეყანაშიც. გზამკვლევადაც კი ეს წიგნებიც გვეგულდება და პეტრე ხვედელიძის ცხოვრების მაგალითიც — კაცურად, ღირსეულად გამოვლილის.

თუ ვინმეა ბიოგრაფიული რომანი-სათვის შესაფერისი გმირი, რევაზ გაბაშვილიც უთუოდ იგულისხმება მათ შორის და, ვისაც გული ერჩის, აჰა მისი სულის ეს ფარული ხვეულებიც, მართოდ დოკუმენტურ პროზას კი არა, ბელეტრისტიკასაც არანაკლებ რომ დაშვენებო, — გვიბეჯითებს მანანა გაბაშვილი.

დიანა ანფიმიადი

გმირი

ბოლოს მე მოვკალი შიმშილი, მაინც წავაცალე ის თავი (კერძი) ამ თავკერძა გოლიათს, მაინც მე მოვკალი და ყველა ომი, ცხელიც, ცივიც, რომელიც ჩემს მოდგმას ოდესმე ჰქონია (და ყველას გაძლოდა ვითავე), ჩემი მოგებული მგონია.

ვუყურებ ამ კისერს, ნათავარს, ამოსდის ასობით ახალი — ავლესე ჩანგალი, დავთვალე — სადილი, საუზმე, ვახშამი, სამხარი. მაინც მე მოვკალი შიმშილი, შიშით გავეუხეთქე ის გული (ქადის, თუ ღვეზელის), შევქელი. და ისევე, ახალი თავთავი, ამოსდის ახალი თავთავი, ამოსდის... ბევრი მაქვს სამკალი — სადილი, საუზმე, ვახშამი, სამხარი.

ბოლოს მე მოვკალი შიმშილი, მაინც წავაცალე ის თავი — მშიერთა ტირილით გაღვიძლეს. ნისლ-სარჩულ, მთვარე-ლილ ღამეში მოვდივარ შიმშილთან მებრძოლი რაინდი — ახალი გილგამეში.

მერვე დღე (სურათები)

1. კაცნი

ძალისა და მგლის წინაპარი საერთო — კაცი მძინარე ღმერთის სასთუმალთან იდგა დარაჯად, ძილისწინა ცხვრებს პატრონობდა, თანაც ჰპარავდა — თითოს ყოველდღე. ჭამდა, თვლიდა მერე დანარჩენს ზრუნვით, სიფრთხილით, ზოგი მართლა შემოიჩნია — სარეველებად გაუმრავლდა პირში — „ჩიჩია“. ძალისა და მგლის წინაპარი საერთო — კაცი — კომბლებს თლიდა და ჭერში აწყობდა.

2. ქალი

კატის და ვეფხვის წინაპარი საერთო — ქალი უყვარდა ხოლმე იმ ღმერთს, ხოლო ზოგჯერ იმ კაცსაც, გარბოდა, მერე ბრუნდებოდა, მყიფე სიმკაცრით ისევამა სალბუნს დაღურჯებულ-კანქვეშა ტბებზე, (კაცს ჰქონდა ხელი ტალღაზე მძიმე, ღმერთს — ქვაზე მძიმე, ხან კოლოზე უფრო მსუბუქი). საქსოვი ჩხირით მოიშალა მერე მუცელი (ეს ადვილია, მთავარია პირველი თვალი იპოვო). მერე გვირილების თეთრი ფურცლები (ან სისხლის თეთრი ბურთულები) გულდასმით თვალა — შემოეღია — არმოგკვდები? — მოგკვდები? — არა?

კატის და ვეფხვის წინაპარი საერთო — ქალი.

3. ბავშვი

თუმცა არავის შეილი იყო, მაინც გადარჩა, წყურვილმა მისცა ჭიქით წყალი, შიმშილმა — პური, ფეხქვეშ მყარი მიწა — ღრუბელმა, ჭილოფმა — ოქროს ძვირფასი ფარჩა, უძილობამ — შვიდი სიზმარი, სიკვდილმა მისცა დიდხანს ყოფნა, მშვიდობა — ომმა,



ხოლო სურვილმა — არაფრის ნდომა.

ამიტომაც, სცადა — გადარჩა.

4. ენა

ენა მოგვიკვდა, უკვამლო და უფანჯრო სახლის მოხუც, ერთადერთ დიასახლისს გლოვობს სოფელი. რალა სოფელი — სამიოდე ბებერი ძალი, სამტრედეთა გამხმარი სკორე, მარწყვაბალახა და სამყურა — ქარის ბოსტანი. ენა მოგვიკვდა, ზმნაში მღვრიე ჩაგვიდგა წყალი, შიგ მხოლოდ ერთი არსებითი (ბავშვი) ტივტივებს. (ზმნა, ანმყო დრო, მესამე პირი)... იქნებ წყლით სავსე ფილტვებით ტირის (მომავალი დრო) — გამოცურავს?

ენა მოგვიკვდა, მკვდარ სხეულში ჩაეხრჩო სულიც — ისეთი დიდი ძალით მოკვდა, ისე სურვილით.

გეპატივები ჩემი ენის სიკვდილზე, ღმერთო, მოზარედ, მგალობლად, მოზიარედ,

შემოიარე.

5. პოეტი

თქვი, ვინ გასწავლა ჭრილობების გაფერადება ნითლით ან ალაგ ოქროსფერით (ჩირქის ლაქები), ან ვულკანების შეხორცება, ან მოშუშება ნასიტყვარების და ნასოფლარ-ნაქალაქების ჩვენც — დასაკლავი პირუტყვები,სად არ აგვზომე, სად არ აგვწონე, ნატვრის მწვანე სად არ გვაძოვე და მაინც, ჩვენი არსებობის ნიშნებად შერჩა — მხოლოდ და მხოლოდ შარდის სუნი — სადარბაზოებს.

თქვი, ვინ გასწავლა გადატყვევნა საფლავ-ბანების და ყვავილების აბიზინებ-აბაბანება. თქვი.

6. ქორი

ღმერთია — ერთადერთის გამორჩევა სხვისი თმის ძნაში, სხვისი კანის ამ ნარ-ეკლებში და საკუთარი თავის პოვნა სხვის ფოტოებში, ვიტრინების ანარეკლებში და მერე თუნდაც ძალყურძენას მომწარო ღვინო — როგორც უტკბესი ზიარება — დაგაღვიწინო — ღმერთია.

კავშირი

ხმაში თაფლიანი იელი ჩამიხმა, ხორხში — იავნანის სურო, მივდივარ და სიტყვებს მაყოლებ — ჩემი ხარ! იცი, ვბრუნდებოდი სულ რომ. ვუყურებ — გადამფრენი — მეტობის ნიშნები — ჩიტები — ბანალური ქარგა — როდესაც მიდიხარ — სამშობლოს იტოვებ, როდესაც ბრუნდები — კარგავ. გადვივარ ცარიელი, უშენო სახლიდან... გასვლისას ოქროს თევზებს ვაქრობ ჭერზეც და ზღვის ფსკერზეც — მბჟუტავს დავტოვებდი — შენ დაბრუნდებოდე აქ რომ...

დიდხანს ვფიქრობდი, ღირდა თუ არა სამი წლის წინანდელი ჩანაწერების გამოქვეყნება. მაშინ, თავის დროზე, უბრალოდ, შთაბეჭდილებებისთვის ვწერდი, დაბეჭდვა არც მიცდია. ახლა შემთხვევით ნაგანყ-დი, გადავიკითხე და რატომღაც მომეჩვენა, რომ არც მისი შენახვითა და დამ-ველებით მოხდება რამე განსაკუთრებული, ამიტომ ისევ ის ვგობს, დავემშვიდობო.

ჩამოვადი ფრანკფურტში. აერო-პორტში დაგვხვდა მცირე, ჩვენებური ექსცესი - ესკალატორი არ მუშაობდა. ძველი დრო გამახსენდა, როცა ჩვენთან არაფერი არ მუშაობდა და ჰაერით ცხოვრობდა ხალხი, მაგრამ ეტყობა ისე შევეჩვიეთ ელემენტარულ ფუფუნებას, რომ გერმანიის ერთ-ერთ უძველეს და უმშვენიერეს ქალაქში ჩასვლას პირველად სწორედ ის ხინჯი გვხვდება თვალში, ურომლისოდაც ერთ დროს წარმოუდგენელი იყო ჩვენი ცხოვრება. გაქვავებულ რკინის კიბეზე რომ შევდგი ფეხი, ჩემმა დანგრულ-დასახიჩრებულმა ბავშვობამ მომაყვილა თითქოს - სად გარბიხარ, რომ გარბიხარ, ყველგან წამოგიყოფ თავსო. დამალვა არც მიცდია, მაგრამ ასე მოულოდნელად თუ წამომადგებოდა, ვერ წარმოვიდგენდი!

ბავშვი ქართული გამომცემლობა ჩამოვიდა ფრანკფურტში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აქტიური ხალხი ვართ, თუკი ვერავინ გავაკვირვებ, თვალში მაინც მოგვხვდება ვინმეს. თუმცა რუსეთის ჩრდილიდან ჯერაც არ ვართ გამოსული მსოფლიოს თვალში. ერთი ერთი ბიჭი გამომეცნაურა, მობილური ტელეფონების გამყიდველი - თქვენ ის საქართველო არ ხართ, რუსეთთან ახლოს რომ არისო (მახსოვს, სიტყვა Close იხმარა, რაც იმ ნუთას ორი მნიშვნელობით გავიგე: Close-country - ახლობელი ქვეყანა, მეგობარი ხალხი და საკუთრივ Close - დაკეტვა, დახშვა, დასრულება). მე ვუთხარი, შეიძლება ტერიტორიულად ახლოს ვიყო, მაგრამ აზროვნებით სხვა ხალხი ვართმეთქი. გულმა ვერ მომიტიმინა და დავაყოლე - ეგენი ჩვენი დამპყრობლები არიანმეთქი. მანაც, გადაკვრით, ირონიულად: ააა, თქვენ უფრო ამერიკისკენ ხართ, სულ დამავინწყდაო.

ენა ჩავიკვნიტე. რა აზრი ჰქონდა კამათს! პატარა ქვეყნის ბედისწერაა ეტყობა - სულ ვილაცის, დიდისა და ძლიერის ფრთებქვეშ ჰგონიხართ შეყუყული, თუმცა ერთბაშად ხომ პატარა ქვეყანაა?!

სტიმულ ნარწერა: „ბიბლიის საერთაშორისო საზოგადოება“ - უსინათლოები კითხულობენ წმინდა წერილს. უჩვეულო სანახავია, ღმერთმანი, ქრისტეს სასწაული მახსენდება, როგორ აუხილა ბრმა ჩამქრალი თვალები. ამ ნუთასაც, დარწმუნებული ვარ, მისი სხივი აშუქებს გარემო, ჩვენ კი, თვალახილულ ბრმებს, აღარ გვჯერა მისი არსებობის.

ზაზა ბურჭულაძე აღფრთოვანებულია, ხელში ათამაშებს და ფურცლავს იონა მეუნარგიას თხზულებათა I ტომს - აქ წარმოდგენილი ქართული წიგნებიდან საუკეთესოა, ძალიან კარგად არის გამოცემული, წიგნის კულტურა იგრძნობაო.

სასიამოვნოა ასეთი შეფასებები, მითუმეტეს, როცა წიგნის რედაქტორის ამპლუაში ისმენ ქებას. იმედი მაქვს, ხუთტომეული ღირსეულად მივა ბოლომდე.

ძველი ქართული ენის ყველა კუთხიდან მოსული გამომცემლობები ერთად ილუკმებიან შესვენებაზე, ჭამენ უზომოდ, ენევიან, ხმაურობენ, ატლახიანებენ გერმანული სიკოხტავით დანშინდელ საპირფარეშოებს, საუბრობენ დამტკრებული და გაუმართავი ინგლისურით, უკვირთ, უხარიათ, ეიმედებათ - ერთი სიტყვით, სიცოცხლის პრაქტიკული და ინტელექტუალური ძარღვი ფეთქავს ფრანკფურტში.

ინტელექტუალური აღებ-მიცემის ქალაქი სალამოს კახების ხელში გადადის. უბნიდან უბანზე, შუქნიშნებთან, კაფე-ბარებთან, ქუჩის კუთხეში თითო გამომ-

წვევად ჩაცმული ქალი შეგხვდებათ, შემოგლიძობთ თვალეში ყალბად მომწუსხავი მზერით.

მოხელშტრასესა და კაიზერშტრასეზე ბორდელებია ჩამწკრივებული, კიდით კიდემდე გადაჭიმულა კაზინოების, ლამის კლუბების, სტრიპტიზ-ბარების წყება - სოლომის ფილიალივით.

ძარბაზი „ოპერების“ ამბავი - გოგონები, რომლებიც გერმანიაში არიან ჩამოსული ლუკმაპურისთვის, სწავლისთვის. მუშაობენ ოჯახებში და იქიდან აღებულ „თაშენ გელდს“ (ჯიბის ფული) ხარჯავენ საჭიროებისამებრ. მათხოვრული ხელფასიაო, ჩივიან, მაგრამ სულ არაფერს, უქმად ყოფნას ეს ჯობიაო.

ეკლესიიდან მოვდივართო, გვიტხრეს. აქვე ახლოს ქართული, მართმადიდებლური ეკლესია ყოფილა, წირვა თვეში ერთხელ არისო, შაბათობით. ეს ამბავი სასულიერო პირებთან შემომწყრალ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს რომ მოუყვე, სიცილად არ ეყოფა, მაგრამ ცხადია, სამ-

ზვიად კვარაცხელია



შეკრება და გამოკლება

ოვარზე გადმოხვენილ, სხვა ქვეყანას შეხიზნულ ქართველებს არანაკლებ სჭირდებათ სულიერი თავშესაფარი, ვიდრე სამშობლოში დარჩენილებს.

გოგონები კარგი მოსაუბრენი აღმოჩნდნენ. ერთად მოვიარეთ ფრანკფურტის ცენტრალური უბნები, თავიანთი ამბებიც მოგვიყვინენ - იქ, ჩვენთან ჰგონიათ, რადგან გერმანიაში ვცხოვრობთ, არხეინად ვართო. იქიდან იოლად ჩანს ყველაფერი, რასაც ჩვენ აქ სიმწრითა და დამცირების ფასად ვაკეთებთო.

სწავლის დაუკლებელი სურვილი აქვთ. ერთმა ისიც თქვა, უნივერსიტეტში ჩაბარებაზე ვოცნებობ და მთელი ჩემი აქ ყოფნის გამართლება ჩავთვლი, თუ მანდ ჩავირიცხებო.

გერმანიაში ყოფნამ სხვა ცხოვრების რიტმს შეგვარჩვია და უმუშევრად ვერ გავძლებოთ. ლუდზე და ყავაზე დავპატიჟე (გვარიანი შეკამათება მოგვივიდა „ნემეცკი შროტის“ ამბავში - მე აქ ორი დღით ჩამოსული ქართველი ვარ, ამიტომ აქაური წესები ჩემზე არ მოქმედებს-მეთქი) - ათასი რამე გაიხსენეს.

ერთმა: დალი ფანჯიკიძე და ნანა გოგოლაშვილი გვიკითხავდნენ უნივერსიტეტში, ორივე ძალიან გვიყვარსო, და ჩამოთვალა მათ მიერ თარგმნილი მწერლები, რომლებსაც ახლა გერმანულად კითხულობენ. გვიანი იყო, მაგრამ ვერ მოვიტიმინე და ქალბატონ ნანას დავურეკე - იმან ცალკე გაიხარა, მღელვარებისგან უთრთოდა ხმა, აქეთ მისი სტუდენტი იჯდა გატრუნული. არის ამქვეყნად მთლიანი საქართველო - ქვეყ-

ნიერების სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული, დროის ცვალება და ცხოვრების წესი რომ ვერაფერს დააკლებს, სხვა თუ არაფერი, ვერ გააქრობს უკვალოდ, ვერ გააცამტვერებს.

სალამონიანი. „ბუხმესეს“ დღეები იწურება. შევიკრიბეთ რამდენიმე ქართული გამომცემლობა, ლუდი დავლიეთ და უცნაურსახელიანი ერთი გემრიელი კერძიც მივირთვით.

აქეთობისას ერთ ჯაზ-კლუბსაც მივაკითხეთ. ბრაზილიელი ქალი მღეროდა ბენდთან ერთად. ბოლოს სამბა შეასრულეს. დრამერიც ქალი იყო - დაიმხო ბოლომდე და ის-ის იყო, პუბლიკისთვის ტაში უნდა მოეწყვიტა, რომ გვერდით მდგომი გოგო-ბიჭის საუბარი ჩამწვდა ყურში.

- საიდან ხარ?
- ყირგიზეთიდან.
- ყირგიზეთიდან? ჩინგიზ აიტმატოვის ქვეყნიდან? ძალიან მიყვარს აიტმატოვი.

კ. და გ.

ერთიც იმ უცნაურობათაგან, რომლის შემსწრეც ხშირად ვხდები:

ორი ახალგაზრდა პოეტი ხვდება ერთმანეთს ლიტერატურულ საღამოზე.

- იმ დღეს ვნახე თქვენი ჟურნალი და მინდა გულახდილად გითხრა, რომ შესანიშნავი რედაქტორი ხარ, მრავალფეროვანი გახადე და სიცოცხლე შესძინე, თორემ ჭკნობა და ლპობა ჰქონდა შეპარული ფურცლებს, - ეუბნება კ. გ.-ს და თვალეში შესცივინებს. გ. მადლიერია და ერთი სული აქვს, როდის დაუბრუნებს სიკეთის ხურდას:

- რას ამბობ, რასაც შენ მიერ ორგანიზებულ პრეზენტაციებზე ვხედავ, თეთრი შურით მშურს, ასე უშუალოდ და ეფექტურად რომ შეგიძლია წიგნის წარდგინება წარმართო.

კ. უხერხულად იმუშუნება, ვითომ ეს არაფერიაო, მხრებს აიჩქრავს მორიდების ნიშნად.

- საოცარი მოსაუბრე ხარ, ტყუილშიც კი დაარწმუნებ ადამიანს, - არ ეშვება გ., - დიდი შთაბეჭდილების მოხდენა შეგიძლია, ხალხის აყოლიება. ეგ უბრალო ამბავი არ გეგონოს!

- ჰო, ვიცი... - ძუნწად პასუხობს კ., - მაგრამ ნურც შენ დამდაბლებ თავს, არავისზე ნაკლებად არ გამოგდის სხვებზე ზრუნვა, გვერდში დადგომა, შეგულიანება და გამხნეება...

ორივე მოსაუბრე, ორი ახალგაზრდა პოეტი - კ. და გ. - ცდილობენ, რომ სიტყვაც არ დასცდეთ ერთმანეთის ლექსებზე, მათ უმთავრეს საქმეზე - პოეზიაზე და გაუთავებლად ილაპარაკონ ყველა ცხოვრებისეულ, საქმიან გარემოებაზე, რათა შეფარონ და დაცილდნენ მთავარს.

იქნებ მართლაც ასე ჯობდეს და მათი ლექსები არც ღირდეს აღნიშვნად, სიტყვის შენევნად, მაგრამ კაცნი ვართ მაინც, ერთი ჰაერით ვსუნთქავთ, ამიტომ სიმართლის თქმა და კოლეგის თუნდაც უარყოფითად შეფასება უფრო მისაღები საქციელია (მხარდაჭერაც კია - რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს), ვიდრე მისი შემოქმედების საერთოდ იგნორირება.

იკვანავა ჰალ სმიტს

ეს სიტყვები წერია უილიამ ფოლკნერის უკვდავი რომანის - „სული რომ ამომდიოდას“ მესამე გვერდზე, სათაურის შემდეგ, ავტორისეული ტექსტის წინ. სანახავად ლამაზია (სუფთა ფურცელზე მხოლოდ ეს წარწერაა დატანილი) და წასაკითხადაც ლაკონური (ზედმეტი ეპითეტების გარეშე).

იმდენად არ გავთავხედდები, უილიამ ფოლკნერის ვინაობა, სიღრმე, სიმაღლე და მნიშვნელობა შეგახსენოთ, მაგრამ ჰალ სმიტის პიროვნება კი ნამდვილად ითხოვს განმარტებას ფართო საზოგადოების წინაშე.

ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ვინ შეიძლება ყოფილიყო ის, ვისაც ყველა დროის საუკეთესო ამერიკელმა მწერალმა თავისი ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოები უძღვნა?

ნათესავი? ნათესავზე მეტი იყო ფოლკნერებისთვის ქეროლიან ბერი - ბილისა და მისი და-ძმების აღმზრდელი ძიძა, მაგრამ მწერალმა მას სულ სხვა წიგნი - „ჩამოვედ, მოსე“ მიუძღვნა ცოტა მოგვიანებით: „დედიკოს, რომელიც მონად დაიბადა და ჩვენს ოჯახს უსაზღვროდ უერთგულა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ჩემს ბავშვობას კი განუზომელი თავგანწირვა და სიყვარული აჩუქა“.

იქნებ კოლეგა? ფოლკნერს დიდად არ მოსწონდა თანამედროვე მწერლობა, განსმდგომი, საზოგადოებრივ-კულტურული ორომტრიალისგან განაპირებული კაცის კვალობაზე, ცოტა ეჭვითა და ირონიითაც კი უყურებდა. და საერთოდ, კოლეგებისადმი რომანების მიძღვნა ხშირი ნამდვილად არაა ამერიკული ლიტერატურისთვის. ასე სახელდახელოდ, ნაუცვათევად ვინც მახსენდება, ჰერმან მელვილია, რომელმაც ძვირფასი წარწერით შეამკო თავისი გრანდიოზული „მოზი დიკის“ თავფურცელი: „ნათანიელ ჰოთორნს, ნიშნად

მისი გენისადმი თაყვანისცემისა!

...ნათესავი არ გამოდის, არც კოლეგა. მაშინ ვისთვის შეეძლო მიეძღვნა? ჰარისონ (პალ) სმიტი ფოლკენერის გამოცემული იყო და 1929-1935 წლებში ისეთი რომანები გამოცა, რომლის ბადალი არა მხოლოდ ფოლკენერის შემოქმედებაში, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც იშვიათად მოიძებნება: „ხმაური და მძვინვარება“, „ავგისტოს ნათელი“ და „სული რომ ამომდიოდა“. განსაკუთრებით სულისშემძვრელია ერთი ფრაგმენტი ამ უკანასკნელის ავტორისეული ანოტაციიდან: „დავხატე ოჯახი და ორი დიდი კატასტროფა დაავატეხე თავს, რაც ადამიანს გადახდენია, წყალდიდობა და ცეცხლი. აი, სულ ესაა...“


ფოლკენერის ამ რომანის მედეა ზაალ-იშვილისეული თარგმანი რამდენიმე თვის წინ გამოცა „არტანუჯში“, ცოტა ხნის წინ კი, საშუალოზე დაბალი რანგის ქართველმა მწერალმა ერთ-ერთი რეიტინგული რადიოს პირდაპირ ეთერში ქართული გამოცემლობები „წურბლებად“ მოიხსენია.

მიზეზებს ნუ გამოვეკიდებით: რატომ, ვის საამებლად, ვის წინაშე თავის გამოჩენდა, თუ უბრალოდ ვინმეზე (თუნდაც თავის გამოცემულზე) განაწყენების გამო... ადგა და ენის მოჩლექის გარეშე, როგორც გულწრფელ ადამიანს შეეფერება, თქვა, რასაც ფიქრობდა.

მაგრამ ერთია გულწრფელობა და მეორე — საქმეში ჩაუხედავი რომ ხარ! მწერალი, რა თქმა უნდა, არ არის ვალდებული საგამომცემლო პროცესის წვრილმანებში ერკვეოდეს, მაგრამ როცა მის შესახებ საჯაროდ უწევს აზრის (მით უმეტეს, ასეთი მძაფრი ეპითეტის გამოყენებით) გამოთქმა, მეტი წინდახედულება საჭირო: ინტელიგენციის მიერ ხალხის გულის მოსაგებად და ხელისუფლების საამებლად წარმოქმნილი ტირადები საბჭოთა ცნობიერების ნაწილი იქამდეა, სანამ ჩვენ თვითონ არ გავაღვიძებთ მათ, ჩვენივე ნებით არ მივუბრუნდებით და სიცოცხლის უფლებას არ მივანიჭებთ ოცდამეერთე საუკუნეში.

მერე გვწყინს ხოლმე და გაკვირვებით ვიკითხავთ, რატომ უფრო მეტი წიგნი არ გამოდის იმ ქვეყანაში, რომელმაც ოც წელზე მეტია თავისუფლება მოიპოვა და წესით ცივილიზებული სამყაროს განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს; ვეკვირს, რატომ ვერ მიიღო დღემდე ვერც ერთმა ქართველმა მწერალმა უპირველესი ლიტერატურული ჯილდო — ნობელი; ისიც კარგად ვერ გაგვიცნობიერებია, რომ ფრანკ-ფურტის საერთაშორისო ფესტივალის მასპინძლობისთვის დიდი შრომაა ჩასატარებელი: უამრავი ავტორია სათარგმნი, უცხოელი გამოცემლობებისთვის შესათავაზებელი. აქ კი, სახელმწიფო ინსტიტუტების გარდა, უმთავრეს როლს სწორედ ქართული გამოცემლობები ასრულებენ.

ასრულებენ და შესარულებენ კიდევ, ოღონდ საშუალოზე დაბალი რანგის მწერლებმა „წურბლები“ არ უნდა უძახონ ამის გამო, და თუ ფოლკენერით წიგნებს ვერ მიუძღვნიან, ეპითეტებს მაინც დაუკვირდნენ საჯარო გამოსვლებისას, თორემ საბჭოთა ცნობიერება „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“ და როდესაც გაიღვიძებს — გვიანი იქნება!



აპითხვალი

კრისტოფერ კოპოლა

მოდით, ჩვენს რესპოდენტს ისე გაგაცნობთ, როგორც ქართველებს გვიყვარს: ის დიდი რეჟისორის, ფრენსის ფორდ კოპოლას ძმისშვილი და მსახიობ ნიკოლას ქეიჯის ძმაა. მისი მთელი ცხოვრება კინოსამყაროსა და ჰოლივუდს უკავშირდება. თავადაც რეჟისორი და პროდიუსერია, თუმცა ამას გარდა, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვან მისიად მიაჩნია.

„ლიტერატურული გაზეთის“ სტუმარია კრისტოფერ კოპოლა, რომელიც საქართველოს 4 ივნისს თავისი ფესტივალით — ხელმისაწვდომი ჰოლივუდი — ეწვია, ფესტივალის თემად კი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ აირჩია. 8 ივნისს სცენარისტებს საქართველოს მწერალთა სახლში შეხვდა და ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაზეც ბევრი ილაპარაკა. საკუთარ თავს „ქართველი კოპოლა“ უწოდებდა და გადაწყვიტა, რომ სამშობლოში დაბრუნებულმა მსოფლიოსაც ამცნოს არა მარტო ჩვენს ქვეყანასა და კულტურაზე, არამედ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებზე.

მაშას, საზოგადოებისთვის „ყველაზე ხელმისაწვდომი კოპოლა“ ერთგვარ ლიტერატურულ ანკეტას ავსებს.

— ბავშვობით დავინყობ. კითხვისგან მიღებული პირველი შთაბეჭდილებების გახსენება მინდა, გთხოვით...

— მამაჩემი ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი იყო. სწორედ ის მიჩვენდა საკითხავ ლიტერატურას და ახლა ვხვდები, რომ თითოეული წიგნი ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. კითხვის პროცესი ცხოვრებისეულ გაკვეთილებს ჰგავდა. სწორი არჩევანი ყველაზე კარგი საშუალებაა, ბავშვი კითხვას შეაჩვიო და შეაყვარო. რამდენიმე წიგნმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე — ალექსანდრე დიუმას „გრავი მონტე-კრისტო“, პიერ ლაგერკვისტის „ჯუჯა“, იტალი კალივინოს „ბარონი ხეებში“, თომას ჰარდის „შუშუმწველი ჯუდი“, მარკ ტვენის „იანკი მეფე არტურის ეზოში“, ჩარლზ დიკენსის „დიდი პერსპექტივები“... კიდევ ბევრი იყო ისეთი წიგნი, რომელმაც ამაღელვა და ჩემს ცხოვრებას განსაკუთრებული დალი დაასვა.

— რომელი იყო თქვენი პირველი წიგნი?

— ბავშვობის წიგნებიდან განსაკუთრებულად გამოვარჩევიდი ორ წიგნს, რომელსაც მარადიულად, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, სულ ვუბრუნდები ხოლმე — ბიშოფის (ქლევარ ჰუჩეთ ბიშოფი — ამერიკელი საბავშვო მწერალი) „ხუთი ჩინელი ძმა“ და ზდენეკ მილერის (ჩეხი ანიმატორი) „მდელო და ხომალდი“. ორივე წიგნი განსაკუთრებულად მიყვარს. 9-10 წლისა ბერძნულმა მითოლოგიამ გამიტაცა. დაწყებით კლასებში შესვენებების დროს ბიბლიოთეკაში მხოლოდ იმიტომ გავებოდი, რომ თხუცესსა და მინოტავრზე, პერსეუსსა და ჰერკულესზე უფრო მეტი რამ წამეკითხა. ჩემი პირველი სერიოზული რომანი, რომელიც ადრეულ ასაკში დავძლიე, ვოლტერ სკოტის „აივენჰო“ იყო.

— რა ჟანრის ლიტერატურას ანიჭებთ უპირატესობას?

— მნიშვნელობა არ აქვს. ყველა ჟანრისა და ყველა ქვეყნის ლიტერატურას ვკითხულობ. თუ არჩევანი მხატვრულ ლიტერატურასა და სამეცნიერო სახის ნაშრომებს შორის მექნება, უპირატესობას გამოვანიღებ ამბებს მივანიჭებ. მიყვარს იდუმალებით მოცული მწერლების შემოქმედება — ჯიმ თომფსონი (ჯეიმს მაიერს თომფსონი — ამერიკელი მწერალი და სცენარისტი) თუ ფილიპ კ. დიკი (ფილიპ კინდრიდ დიკი — ამერიკელი მწერალი და ესეისტი). ბელეტრისტიკის ჟანრიდან არის ორი შესანიშნავი წიგნი, რომელმაც მომხიბლა და აღმადგინა — იან მარტელის (კანადელი მწერალი) „ფაის ცხოვრება“ და დენის ლეჰანეს (თანამედროვე ამერიკელი მწერალი) „ცხოვრება ლამით“. მიყვარს ბიოგრაფიული და ისტორიული ჟანრის ნაწარმოებებიც.

— ფილმზე მუშაობისას რა ჟანრის ლიტერატურას იყენებთ?

— ჩემი ფილმების სცენარი ერთდროულად ბევრ ჟანრს აერთიანებს — არის კომიქსიც, დრამაც, ცხოვრებისეული ნოველებიც, თეოლოგიაც, ფილოსოფიაც... ჩამონათვალი დიდია.


— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან აიგივებთ თქვენს თავს?

— სულ ვფიქრობ, რატომ მიჩვენდა ბავშვობაში ასე საკულდაკულოდ მამა წიგნებს? ალბათ, ჩემს ხასიათს ითვალისწინებდა. მაშინ საკუთარ თავს ყველა იმ წიგნის პერსონაჟთან ვაიგივებდი, რომელსაც ვკითხულობდი. თუ მხოლოდ ერთი ლიტერატურული პერსონაჟის გამოყოფას მთხოვთ, პასუხი გამიჭირდება. ამოვეთ გმირი, რომელსაც მაკბეტის, დედა ტერეზას, ვილი ვონკისა (ბრიტანელი მწერლის როლ დალის წიგნის — „ჩარლი და შოკოლადის ქარხანა“ — მთავარი გმირი)

და პარციფალის თვისებები აქვს და გეტყვით, რომ სწორედ ის პერსონაჟი მინდა, რომ ვიყო.

— სანამ საქართველოში ჩამოხვიდოდით, იცოდით რამე ქართულ ლიტერატურაზე?

— ბევრი არაფერი. მწირი ინფორმაცია მქონდა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისაზე“, შოთა რუსთაველსა და ჩემი ქართველი მეგობრის, ლევანიკო მაჭარაშვილის ბაბუის, ნოდარ დუმბაძის შემო-



მუსიკას მივანიჭებდი, რადგან მუსიკა ჩემთვის ყველაფერია.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ საქართველოში დაგვემილი ფესტივალი — „ხელმისაწვდომი ჰოლივუდი“ — სულხან-საბა ორბელიანისთვის მიგეძღვნათ და როგორ მოიპოვეთ მისი „სიბრძნე-სიცრუისა“?

— ეს დიდი ქართველი მწერალი ჩემმა ქართველმა მეგობარმა, მას ძმას ვუწოდებ, ლაშა ზამბახიძემ შემეყვარა, რომელმაც ერთხელ მისი ერთ-ერთი იგავი — მეფე და მხატვარი — მიამბო. მას შემდეგ ლაშას ვთხოვე, თარგმანი მომეზღვი. შესანიშნავმა ადამიანმა დიმიტრი ალავიძემ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ თარგმანს თბილისში მიაკვლია, თითოეული გვერდი დამისკანერა და გამომიგზავნა. მართლაც დიდი წიგნია და ძალიან ვაფასებ მის შემოქმედებას.

— როგორია ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალგაზრდების დამოკიდებულება წიგნთან და ზოგადად, კითხვასთან?

— კაცობრიობის არსებობის მანძილზე სულ ასე იყო — იყვნენ ადამიანები, რომლებიც კითხულობდნენ და ისინიც — ვისაც ლიტერატურა არ აინტერესებდა.



ქმედებაზე. მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩამოვედი, დიდი ლიტერატურული გამოცდილება შევიძინე. ბევრი გავიგე იმ ახალგაზრდებისგანაც, რომლებიც ფესტივალში — „ხელმისაწვდომი ჰოლივუდი“ საქართველო 2013“ — თბილისსა და ბათუმში იყვნენ ჩართულნი. მინდა, ჩავურღმავდე ქართველი მწერლების შემოქმედებას. ვაპირებ, წავიკითხო ეკატერინე ტოგონიძის წიგნიც, რომელიც ავტორმა ახლახან მაჩუქა.

— თქვენი აზრით, როდის უფრო წარმატებული გამოდის ფილმი, როდესაც ის წიგნს იფუძნება თუ სპეციალურად შეთხზულ სცენარს?

— ორივე შემთხვევაში დიდი შრომაა გასანევი. ერთის მხრივ, უკვე არსებულის ადაპტირებული სცენარი უნდა შექმნა, მეორეს მხრივ კი ახალი ამბავი უნდა მოიგონო. დიდ კინემატოგრაფიულ ქებაში ერთდროულად ბევრი ინგრედიენტი იხარშება. კარგი სცენარი შეიძლება ცუდ ფილმად აქციონ, მაგრამ ცუდი სცენარისგან კარგი სურათი არასდროს გამოდის. სწორედ სცენარი ეხმარება რეჟისორს, ამბავი დრამატულად და კინემატოგრაფიულად გაამბოთ. მაროი პიუზოს „ნათლია“ კრინინალური დრამაა, რომელიც ოჯახურ პატრიარქალურ ეპოქას, დროს, შიდა კონფლიქტებს ასახავს. ეს ეპიკური ტრაგედიაა, რომელიც სცენარის შექმნის შემდგომ (სცენარზე თავად ფრენსის ფორდ კოპოლამ იმუშავა) დიდმა რეჟისორმა ისეთ სურათად გადააქცია, რომ ის ყველა დროის საუკეთესო ფილმად იქცა. ორიგინალური სცენარის დაწერა დიდი ხელოვნება და ძალიან რთული საქმეა. ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ მხოლოდ 2 საათი გაქვს და ამ დროის მანძილზე კინემატოგრაფიულად უნდა შეძლო ყველაფერის გადმოცემა.

— განსხვავდება გრძნობები, რომელიც კარგი წიგნის ნაკითხვისა და კარგი ფილმის ნახვისგან გეზადებათ?

— ორივე ემოციურად და ინტელექტუალურად მტკივნეულია. ამ დროს საღვთო სხვაგან ვარ და საკუთარ თავს არ ვეკუთვნი. ხელოვნება ჩემი დიდი მეგობარია. თუმცა, ერთი დარგი რომ მქონდეს ასარჩევი, არც ლიტერატურასა და არც კინოს ყურადღებას არ მივაქცევდი და უპირატესობას

ახალი არაფერია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ დღეს მთელი ინფორმაციის მიღება ყველაზე იოლად და სწრაფად ინტერნეტის საშუალებითაა შესაძლებელი. ძველი დროის მთხრობელები, რომელთა ამბებიც და სიბრძნეც თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა, დღეს-დღეობით აღარ არსებობენ და ამიტომ სწორედ ამ სიბრძნის ნაკლებობაა. ყოველ შემთხვევაში, ასეა ამერიკაში. თაობებს შორის კავშირი თითქმის აღარ არსებობს. სოციალურმა სტრუქტურამ და მატერიალიზმმა შემოქმედება შთანთქვა. ხალხს ღირებულის შექმნაზე დროის დაკარგვა აღარ უღირს. შესაძლოა, ყველაფერი ეს დეპრესიონაციის ბრალიც იყოს. ახალგაზრდები თავის დასამკვიდრებლად მატერიალურ ღირებულებებს ამჯობინებენ. თუმცა, ამ ბოლო ხანს, ბევრ ახალგაზრდას ვხვდავ საჯარო ბიბლიოთეკებში წიგნით ხელში. შესაძლოა, დაბრუნდეს სურვილი იმისა, რომ კითხვის არაჩვეულებრივი პროცესის საკუთარ თავში შექმნა ახალი სამყარო, გააღვივო შემოქმედებითი იმპულსები და კვლავ დაამყარო კავშირი შენს მდიდარ წარსულთან.

— ამას წინათ სცენარისტებს საქართველოს მწერალთა სახლში შეხვდით. როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს სახლი, რომელიც მწერლებს ეკუთვნის?

— უპირველესად, უნდა აღვნიშნო, რომ საუცხოო შენობა იყო — მშვიდი და მომწესრიგებული. ვგრძობობდი დიდ ისტორიას, თუმცა ეს წარსული სულს არ მიხოვავდა, არ მთრგუნავდა. ამ ადგილას თითოეულმა შემოქმედმა სულის სიმშვიდე უნდა მოიპოვოს, რადგან სწორედ ასეთ სივრცეში იბადება ყველაზე შემოქმედებითი იდეები. მითხრეს, რომ ხელოვანი სტუმრებისთვის მანსარდაში რეზიდენცია უნდა მოეწყოს. მსოფლიოს აქვს ამის გამოცდილება და ამიტომაც, მეც მივესალმები ამ მართლაც შესანიშნავ იდეას.

— რას უსურვებდით ქართველ მწერლებს?

— დარჩით ქართველებად, ოღონდ ეცადეთ, თქვენი ხმა მსოფლიოს მიანვიწიოთ. ჩვენ თქვენგან ბევრი გვაქვს სასწავლი.

ლალი ავალიანი

მიხვეულმომხვეულობა ანუ თავისუფალი პარიანობი „obOlé“-ს გამო

„საქართველო იქ არის მაგარი, სადაც მიხვეულ-მომხვეულია, საერთოდ, მგონი ეგ არის საქართველო, მიხვეულ-მომხვეულობა“. აკა მორჩილაძე

მომხვეულმომხვეულობის მიღმა, აკა მორჩილაძის თხზულებანი ბევრ თავ-სატყუარს გვიჩვენებს; არც რომანებისა თუ მოთხრობების სათაურებია გამონაკლისი. „მარიაჟულად“ ჟღერდა მადათოვური ტრილოგიის პირველივე რომანის სათაური, — „გადაფრენა მადათოვზე და უკან“. რისთვის იყო საჭირო რუსულის კალკი, მართალი გითხრათ, ვერ გავიგებ. მოგვიანებით წავიკითხე მწერლის ინტერვიუში, — რომანს სხვა სახელწოდება ჰქონდა, გამომცემელმა შემიცვალაო. სათაურს, რასაკვირველია, არ შეუშლია ხელი გამომცემელმა გაოცება და აღტაცება ავტორის დაუოკებელი ფანტაზიისა თუ იუმორის გამო (იხ. „გამოთხოვება ძველ თბილისთან, ძრწოლა ახალი თბილისის წინაშე“, 2000; წიგნში: „ჭაბუა ამირეჯიბიდან აკა მორჩილაძემდე“, 2005).

„obOlé“-ს სახელწოდება (ფრანგულ ყაიდაზე, ბოლოში მახვილით) ან ყურადღების მყისიერად მიქცევასა გათვლილი, ან მწერლის მიერ მკითხველის მისტიფიკაციას ისახავს მიზნად.

რას გაუგებ წიგნის ბაზრის ხრიკებს! მაინც გულს მიკლავს (ძველმოდურად) ფიქრი, რომ წიგნიც ისეთივე „საქონელი“ გახდა, როგორც, მაგალითად, სარეცხი ფხვნილი ან, ბოდიში და, — უნიტაზი.

ეშველება ამას რამე? როგორც აკაკი განერელია იტყობდა, „სომხევიუს ფრიად“.

მართლაც დასაქცევ სსრკ-ს დაქცევას გადაწყვეტა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული გამომცემლობები, აგრეთვე, — ქართული ლიტერატურული პერიოდიკაც, რომლის სიმცირე, დღესდღეობით, ნამდვილად არ ეკადრება ევროპასთან ინტეგრაციის მოსურნე, უძველესი კულტურული ტრადიციის ერს.

„ბაზრის“ (ფართო გაგებით) გაბატონებამ და გაუაზრებელმა, ვითომცდა საგანმანათლებლო „გლობალურმა ინოვაციებმა“ (/ნგრევამ) დააქინა მწერლობის პრესტიჟი; საგრანტო „პროექტების“ გაფეტიშებამ უკიდურესად შეავიწროვა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის არეალი, ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების არნახულმა სიმწირემ ერთობ გააძნეულა თანამედროვე ლიტერატურული პროცესისა და კრიტიკის განვითარება.

ვიმედოვნებ, რომ ახლა მაინც გახდება პრიორიტეტული ქართველოლოგია საქართველოში და ქართველი მწერლებიც არ იქნებიან უცხოეთის დახმარების მომლოდინენი; ვისურვებდი, აკა მორჩილაძეს სამშობლოშიც ისევე იოლად (უზრუნველად) ენერებოდეს, როგორც ინგლისში.

ბიო ახვლედიანის ფსევდონიმიც დამაინტრიგებელია: თვითონვე ნახევრად ხუმრობით განმარტა, — მორჩილაძე ავირჩიე, რადგან, საერთოდ, მორჩილი ადამიანი ვარო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მორჩილ მორჩილაძეს არც დახვეწილი თვითირონიით შეზავებული ამბიციურობა აკლია (აკა — აკაკი). აკაკი მადათოვური ტრილოგიის ერთ-ერთ პერსონაჟად გვევლინება; ამასთან, მისი ბოროტარი სიცოცხლის მიმწუხრზე მწერალს სულის-შემძვრელი მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობა აქვს დანერული.

ხალხში აკაკი უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ილია; ეს ფაქტია. იგი იმ „ბედნიერ ტანჯულთა“ რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ლექსზე ბავშვიც კი გაიფიქრებს, რა კარგია, ასე ხომ მეც დავეწიო; უბირი კაცი გაიხარებს, — თავი გამიყადრაო; მოყვარული მუსიკოსი განცვიფრდება, — ეს პოეზია კი არა, მზამზარეული სიმღერააო; ინტელექტუალი თავს აიტკივებს იგივე ლექსის ქვეტექსტებში ჩასანვდომად, საიდუმლო ბარათის საიდუმლოს ამოსაცნობად.

ასეთი იყო და მუდამ იქნება აკაკი — ჭეშმარიტიც და სახალხოც.

ყველაფერი იქითკენ მიმყავს (თუმცა მავანთა რისხვას ვერ გადავურჩები), რომ იგივე შეიძლება ითქვას აკა მორჩილაძეზეც: იგი ჭეშმარიტი მწერალიც არის და სახალხოც; თუმცა აკაკისა და აკას „წონიანი კატეგორია“ ფრიად განსხვავე-



ბულია (ესეც ტრადიციული კუპრის წვეთი თაფლიან კასრში).

აქვე მიინდა დიდი საყვედურიც გამოეთქვა გიო ახვლედიანის მიმართ, რადგან ერთ-ერთ, არცთუ გამოჩინებულ რომანში მწარედ და დაუნდობლად აქილიკებს „ჭეშმარიტ მწერლებს“ (რომელნიც სრულიად არ არიან „ჭეშმარიტნი“, მაგრამ თავიანთი გაჭირვებაც ეყოფათ); ეს ამბავი რიკოშეტი ვრცელდება მართლაც ჭეშმარიტ მწერლებსა და საკრალურ სიტყვა „ჭეშმარიტზე“, რაც ჩვენს უნიგნურ დროებში აშკარად დამლუპველია.

ბესიკ ხარანაული (ცნობილი ლექსის პერიფრაზს რომ მივმართო, — „სად არიან სიტყვები, სიტყვები სად არიან“?... ისინიც ქარმა წაიღო?)

ეს, რასაკვირველია, ახალი თაობის მწერალთა იმ, საკმაოდ თავხედ და თვითკმაყოფილ, მაგრამ წიგნიერებასთან მწყრალად მყოფ ფრთაზე ითქმის, ილფისა და პეტროვის „ელოჩკა ლიუდოეკასავით“ ოცდაათიოდ სიტყვიანი ანუ უფრო მეცნიერულად, — ლექსიკური მარაგის „მინიმალზაციით“ რომ გადიან ფონს; არადა, მართლაც „გადიან“, რადგან წიგნების გამოცემა, თვითრეკლამა-პრეზენტაცია და თანამაზრეთა (უფრო ზუსტად — კლაკორთა) აქციების გამართვა სრულიად არ უჭირთ.

აკა მორჩილაძის წარატივის დიდი მრავალფეროვნება, შეგნებული სტილიზაცია ყოველთვის გააზრებული და გომივრულია; თუმცა დავემვათ ჩვენს ცოდვილ მინაზე და მივაყურადოთ ჩვენს ყმანცილებს, ანდა ლაშა ბუღაძის „ბოლო ზარისა“ და „ოქროს ხანის“ პერსონაჟების მეტყველება გავისენოთ (ბარაქლა ავტორს, ჩინებულ სატირიკოსს, არცთუ ადვილად მოსახელთებელი „შიშველი“ ნატურალიზმისათვის, მაგრამ ცოტაოდენი სიყვარულიც რომ გაემჟღავნებინა ჩვენს ბედკრულ დროში დაბადებულ-გაზრდილი გოგო-ბიჭების მიმართ, არაფერი დაშავდებოდა).

ამიტომაც შევნიშნავ, რომ მწერლის ტექსტებში გადმოცემული შინაური საუბარი, მაგ., „სკამეიკა“, „შეილება“ და მისთანანი, მართლაც „შეილება“ სამარად-ჟამოდ აღიბეჭდოს თინეიჯერულ ტვინში (საბედნიეროდ, ეს უკანასკნელი აკა მორჩილაძეს კითხულობენ).

ყალბ მალაფარდოვნებასთან ბრძოლაში, რაც თავისთავად მისასაღმებელია, „ინტერნეტთაობის“ ზოგი კალმოსანი ვერბალურ სიღარიბემდე მიიყვანა. სწორედ მათი მისამართით ითქვა, — „ეპატაჟი ეპატაჟად, მაგრამ ჯერ ქართული ისწავლე, ძამიკოო“ (ლაშა თაბუკაშვილის ტელეინტერვიუდან).

ლექსიკის სიმწირე ესთეტიკური თვალსაზრისითაც გაუმართლებელია და, რაც უმთავრესია, — მენტალურადაც.

„დედაენა სულია ეროვნული არსებისა“ — ეს არჩილ ჯორჯაძის სიტყვებია. ხანდახან ზედმეტად პედანტური (იმავე

დროულად აზარტული) ჩაკირკიტებაც მიყვარს: ერთ რეკლამირებულ რომანში (ვულგარულ-ფემინისტურ-მელოდრამატულში) აღმოვაჩინე, რომ ზნეობრივი კატეგორიის აღმნიშვნელი სიტყვები ან გამონათქვამები მწერალს საერთოდ არ გამოუყენებია; მაგალითად, სიტყვა „სირცხვილი“, თუმცა ტექსტში ბევრი რამ იყო უზნეო და სამარცხვინო. ამგვარ სიტყვათა უგულვებელყოფამ, შესაძლოა, თვით ცნებათა გაქრობა გამოიწვიოს, არადა, „მწერალს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომია და, უკეთესად რომ ვსთქვათ, — მწერლის სულია“ (ვაჟა-ფშაველა).

აღამიანისაღამი სიყვარული დულს და გადმოდულს აკა მორჩილაძის თხზულებათა უმეტესობაში; არც „ობოლეა“ გამონაკლისი.

დავით კლიაშვილს ვილიე დე ლილ-ა’დანიტ გატაცებული, იმხანად ცისფერ-ყანწელი სერგო კლდიაშვილისათვის უთქვამს: „შენ სულ „გედების მკვლელზე“ ოცნებობ. მეც გეთანხმები, კარგია, მაგრამ ის მხოლოდ ლამაზი, პატარა სათამაშო ნივთია. აი, სწორედ ისეთი, ჩინელები რომ აკეთებენ ფაიფურიდან. „გედების მკვლელის“ დამწერს ადამიანი არ უყვარს... ამიტომ წურას უკაცრავად მასთან, თუ მას სხვა მწერალი ვარჩიო, ისეთი მწერალი, რომელსაც კაცი უყვარს!... გადავა დრო, სკოლა გაქრება, ნანერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე, გადახედე თუ ასე არაა!“

„ობოლე“ — ოთარ ჭილაძის სხვათაგან მრავალგზის განმეორებული ნათქვამის — „ჩვენ ობოლი ვართ“ — ალუზია ხომ არ არის? ასეთი იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება. შესაძლოა, „ობოლა“ ერთადერთობისა და გამორჩეულობის სიმბოლოდაც გავიზაროთ, რაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს გარდუვალი გლობალიზაციის კარიბჭესთან. ჩვენებრი პატარა ქვეყნისათვის დაუფიქრებელი ატროკება და გლობალიზაციის გოგლი-მოგლში ნებაყოფლობითი გათქვეფა სწორედ რომ დამლუპველია.

„სხვათაშორის, ჩვენ თუ გადავგარჩენს, მხოლოდ განუწყვეტელი ბრძოლა გადარჩენისათვის. საკმარისია დავმშვიდდეთ, დავდუმდეთ, ისე გავითქვიფებით დროჟამის დინებაში, ვერც კი შევამჩნევთ“ (ოთარ ჭილაძე).

მარადიული „დაუმშვიდებლობა“, შფოთი და ფორიატი, გენებში გამჯდარი ფარული სიამაყე ზოგჯერ არცთუ საამაყო წინაპართა მიმართ; „ობოლეს“ გმირის — მთხრობელის თვითირონია, მწარე სიმართლისა თუ ათასგვარი ნაკლის სამზოზე გამოტანა, — სიყვარულიანი იუმორის წყალობით მაინც გვისამტკბილება, რადგან შენია და მხოლოდ შენი. უთავბოლო კუთხური დაპირისპირება წარსულში და არეული თუ გადარეული ყოფა ანმყოში, მამაძალობა თუ უანგარო თავგანწირვისათვის მზაობა, ქალაქური თუ სოფლური შეუვალი სწობიზმი, „ძველი მადლი, ახალი უღმერთობა“ — ამგვარი ამბივალენტურობაც ხომ ჩვენია.

„წარსულის არ მემინია, იმიტომ რომ ქართველი ვარ. მომავლისა არაფერი ვიცი, იმიტომ რომ ქართველი ვარ. სისულელისთვის მოვკვდები, იმიტომ რომ ქართველი ვარ. სისულელისთვის ვიცოცხლებ, იმიტომ რომ ქართველი ვარ. წინდა ვიგორგი მეყვარება, ისე, რომ არ ვიცი ვინ არის, იმიტომ რომ ქართველი ვარ. საშინელ ტყუილებს ვიტყვი, იმიტომ რომ ქართველი ვარ. და უცებ, სიცოცხლის ერთ წამს ვიქნები ყველაზე ოქრო, მართალი და სასურველი, იმიტომ რომ ქართველი ვარ.“

ძნელია ქართველობა, როგორც ქართველები იტყვიან ხოლმე, ძირითადად, მთვრალეები“ („ობოლე“, გვ. 52-53).

არავითარი სწორხაზოვნება, შვიისა და თეთრის მკაფიო გამოჯვანა, „ერთ ხმაზე სიმღერა“ („ყველა ერთ ხმაზე ვამღეროთ, დაკვარგოთ დიდი ლაზათი“? — ვაჟა-ფშაველა)!

„მე პოეტი ვარ. სწორედ ამით ვარ საინტერესო“ — ნერად ავტობიოგრაფიაში ერთ დროს ბალდათელი ბიჭი და ქუთაისელი გიმნაზისტი, ვინ იცის, — წარმოშობითაც ქართველი (ზეპირი ტრადიციით) დიდი რუსი პოეტი-რეფორმატორი ვლადიმერ მაიაკოვსკი.

ჩვენ ქართველები ვართ. სწორედ ამით ვართ საინტერესო. სწორედ ამ გამორჩეულობის, განსხვავებულობის გამო ვართ დღეს ღირსსაცნობი და არა „სხვისი ბაძით“ (ილია).

„მე გორის ტრასა არ მიყვარს. გორის ტრასის გარეშე კი საქართველო არ არსებობს. ეგ კარგა გვიან შევიტყვე ცხოვრებაში. სანამ რუსები არ წამოვიდნენ მორიგ ჯერზე ჩვენს გასათავისუფლებლად, მანამდე მეგონა, რომ უზრალოდ გორის ტრასა არ მიყვარს, რახან ძაან სწორია. საქართველო კიდე სწორი გზები არ უხდება. მომკალი თუ გინდა და არ უხდება. საქართველო იქ არის მაგარი, სადაც მიხვეულ-მომხვეულია. საერთოდ, მგონი ეგ არის საქართველო, მიხვეულ-მომხვეულობა... საქართველო კიდევე მეტი არც არაფერია, თუ არა ბაბუაშენის მამა“ („ობოლე“, გვ. 17-18). ასე და ამგვარად, მოკლედ და კონკრეტულად, უპათეტიკოდ და მარტივად, აკა მორჩილაძე ტკბილ-მწარედ ჩაგვაფიქრებს ქართულ კონტრაპუნქტზე, ხოლო ერთი ძველი ციხის, დაბისა თუ მრავალჭირნახული ოჯახის თავგადასავლის ტრაგიკომიკური გადმოცემით, თითქოს ხელისგულზე გადაგვიშლის სრულიად საქართველოს ისტორიასა და ქართულ ფენომენს.

„ობოლეს“ მთხრობელი — თბილისელი დრამატურგი იკა, ნაბახუსევი და ნამძინარევი, „მარშრუტით“ მიემგზავრება იმერეთში, მიტოვებულ „მამულში“, სახლის ჩამოტეხილი სახურავის მისახედად. ამ სახლში, სადაც ბავშვობაშიც მხოლოდ ზაფხულობით ჩადიდონენ, ახლა აღარავინაა; მაგრამ „სხვანაირი“ ბუნებისა და წარმოსახვის ირაკლი, იმ ორიოდ დღის სიზმარ-ცხადში, რეალობასა თუ გამონაგონში მშობლიური კუთხის სამსაუკუნოვანი ისტორიისა და წინაპართა — შურის ციხისთავთა ცხოვრების, ზოგჯერ გმირული, ზოგჯერ ოლიოპური და სასაცილო თავგადასავლების, ნათესავ-მეზობლებთან ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული ურთიერთობის გადმოცემასაც „ასწრებს“. 259-გვერდიანი რომანი შეუნელებელი სიამოვნებით იკითხება და „დეჟაჟუს“ (ანუ, უკვე განცდილის) შთაბეჭდილებას ბადებს.

მთხრობელმა ყველაფერი იცის თავის წინაპრებზე, რადგან მოხუცების ნაამბობის მოსმენა ბავშვობიდანვე უყვარდა; ირაკლის ახლაც არ ღალატობს „სმენის კულტურა“. ეს კი დიდი იშვიათობაა, რადგან უმეტესობას, მისდა საუბედუროდ, „მონოლოგიზმის“ ჭია აქვს შეჩენილი. დავით კლიაშვილს ხშირად ვახსენებ, რადგან „ობოლეს“ პერსონაჟები ერთობ ნაავანან დიდი მწერლის ცულუტე გმირებს. სწორედ დავით კლიაშვილს აქვს გამოყენებული ფრიად ტყვადი სიტყვა „შესმენილი“ (მცოდნე, შეგნებული, მიხვედრილი, შემწყნარებელი, მიღებული... იხ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. VIII).

ღვთის წყალობით, აკა მორჩილაძე „შესმენილი“ მწერალია.

„ნეტავი თუ რამე სჯობდეს შესმენილსა და განათლებულ კაცს!“ (დ. კლდიაშვილი).

მრავალგზის არის შენიშნული (შესწავლილიც — ფსიქოლოგების მიერ), რომ შვილიშვილები და ბებია-ბაბუები, ზოგადად — ყმანცილები და ბებრები უფრო „რიგდებიან“ ერთმანეთში, ვიდრე „მამათა“ და „შვილთა“ თაობები; ჩემი აზრით, ხანდაზმულთა თაობა ერთგვარი „ბუფერის“, მომრიგებლის ფუნქციით არის აღჭურვილი. ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ბოლო ათწლეულში მათ ძალადობრივად ჩამოერთვათ ეს მისია: „ბებრები — საყარზე“ (ბესიკ ხარანაული). კავკასიური მენტალობისათვის დამახასიათებელი უფროსუმცროსობის მრავალსაუკუნოებრივი ინსტიტუტის „გაუქმება“, თაობათა მკვეთრი დაპირისპირება და „დროთა კავშირის“ ხელოვნური წყვეტა კი კარგს არას გვიქადის.

„თაობა“ — თავად ქმნასაც ნიშნავს (სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“), აგრეთვე, თავზე ადებს, ჩამომავლობას, ნათესაობას (ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი“), მოთავეობას, დასაწყისს, შთამომავლობის თითოეულ საფეხურს, ერთი ასაკის ადამიანთა ჯგუფს („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“). ეს ეტიმოლოგიური ნიუანსები თავად მიგვანიშნებენ დასაწყისზეც, უწყვეტობაზეც, დაუსრულებლობასა თუ მარადიულობაზე. საბოლოოდ კი მასზე, რაც უმთავრესია, —

თაობათა ერთობაზე.
 ყოველივე ის, რაც ასე ენაწყლიანად და „ღვარჭნილად“ გამოვთქვი, აკა მორჩილადის ერთი მახვილგონივრული „აქსიომით“ არის გადმოცემული: „დიდება მოხუცების სმენა ნაკლებად აინტერესებთ და მოხუცებსაც არა აქვთ დიდების ნდობა“.
 თვით რომანი „ობოლე“ კი მარადიული დროთა კავშირისა და თაობათა ერთობის განსახიერებაა.

მშრის ციხე და ძველთაძველი ხირიმის თოფი ობოლე, იმერეთის მეფეს რომ უწუქებია ციხისთავ გოტისთავის, რომანის უტყვი, მაგრამ შუუცვლელი „პერსონაჟები“; ზნორედ მათ ირგვლივ ცოცხლდება ამ კუთხის ძველი, უახლესი თუ სულ ახალთახალი ისტორია. ავტორი ხან დაითქმება ფიქრში საქართველოს ნამყოსა და ანმყოზე, ხანაც, ცინცხალი იუმორით აღბეჭდილი უცხოური რეალიებით რეალობისკენ გვაბრუნებს. ყველაფერი კი ეპიგრაფით იწყება, დიალოგით „შესანიშნავი შვიდეულიდან“, თუმცა, კაცმა არ იცის, მართლაც „ავთენტურია“ ჰენისისა და რობერტის ნაუბარი თუ მისტიფიკაცია. როგორც არ უნდა იყოს, თავზუნელაღებული „მაგარი ბიჭების“ პარალელში ქართველ გმირებთან თუ ანტიგმირებთან, — აშკარაა.

დაუგეგმავი და იძულებითი მოგზაურობისაკენ მოზღვრე კუთხეში, ირაკლის, არც მეტი და არც ნაკლები, ამერიკიდან, სანტა ბარბარადან მიღებული მესიჯი უბიძგებს. მართლაც რომ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს: „გარე მამიდაშვილი“ ვარლამი, რომელიც ირაკლის სახლის ჩანგრეული სახურავის გამო გულწრფელად ნუხს, ამერიკაში მცხოვრებ ირაკლის უფროს ძმას ნიკას ურეკავს, მიუხედავად იმისა, რომ ძველი სახლი ირაკლის ეკუთვნის, უკანა ეზოში კი ნიკას ამერიკიდან გამოგზავნილი კობხა და კომორტული კოტეჯი უდგას. „ვარლამი, სრულიად გაგაოგნებს ქართველი კაცის მონადინებულობა და ლტოლვა სიმალისაკენ. მე კი არ დამირეკა, არამედ — ნიკას სანტა ბარბარაში. მე ვეტიკეთ, რატომ. იმიტომ, რომ შარშან ნიკა იქ დათვრა და თავისი მობილურის ნომერი მისცა, როცა გინდა შემანუხეო. შენ თუნდ წინასწარმეტყველი ისაია იყავი, ვარლამიე მინც ნიკას მისწერს, იმიტომ რომ, ნიკა სადღაც მალდა ჰგონია. „ზაგარანიცა“ ჭრის“ (გვ. 6).

გლობალიზაციის „მადლი“ მარტო სოფელში ჩამოღწეული მობილური ტელეფონებით არ ამიწურება: „ვარლამიეს ეცვა კალოშები ვარდისფერი სარჩულით მიშველ ფეხზე. სექნდჰენის მოულოდნელი შარვალი და შავი მაისური, რომელიცაც ფარმაცევტული ფირმის ლოგოთი“ (გვ. 36).

ნიკა ამერიკაში მცხოვრები წარმატებული მუსიკოსია, ცოლიც მუსიკოსი ჰყავს — ამერიკელი ფლეიტისტი სტივისი. მისმა გადახვეწამ მამამისი ლამის გაალოთა; მრავალჭირნახული და მრავლის მომსწრე, „პროფესიონალი“ ლომი, ხანდაზმული კონოიაც (ალაღ თუ „გარე ბიძა“ რომ ერგება ირაკლის; ბუნედიებისა არ იყოს, ციხისთავების გენეალოგიური შტოც ძნელი გასაშიფრია) ვერ ეგუება ნიკას ამერიკელობას: „მაგი შინაგანად არ ეთანხმება, რომ ნიკა ამერიკაშია. ებრძვის ამ ამბავს. იმიტომ რომ ამერიკა ყოველივე ბოროტის სათავედ მიაჩნია მსოფლიოში“ (გვ. 173); მაგრამ „შეთქმულების“ თეორიების არმცოდნე სოფლისათვის ნიკა მაინც „გლავნია“. არ ირაკლია „ჯაბანი“ — მისი პიესა ედინბურგშია დადგმული, ტელევიზორშიც ორ-სამჯერ გამოჩენილა, ხათრიანია, დამყოლი, კაცს „უსმენს“ და ამიტომაც უყვართ კიდეც, თავისიანად მიაჩნით, მაგრამ „გლავნობას“ ვერ ელირსა.

სოფელი რისი სოფელია, რაიმე სატირალი რომ არ ჰქონდეს. ირაკლიც უდრტვინველად ასრულებს თავის მოვალეობას: კონოსთან ერთად სასაფლაოს სტუმრობს და წინაპრებს ნაუქცევს ჭიქას; ხანმოთავებული ომდარიეს სატირალში მიდის და პატვის მიაგებს მიცვალებულს, თუმცა ბავშვობაში და ისიც ერთხელ ჰყავს ნანახი: „სამძიმარი როგორ უნდა დაინანო კაცმა ან როგორ უნდა გაიფიქრო, წავიდე თუ არაო. თან ეგეთ ვითარებაში“ (გვ. 68). „ეგეთი ვითარება“ კი ის გახლავთ, რომ ნათესავ-მეზობლები გამუდმებით ხან არყით, ხანაც ღვინით უმასპინძლებიან, ისე, რომ

გამოსაფხიზლებლად დრო ვერ გამოუწახავს; სმაში კი აშკარად არ მოისუსტებს, თანაც ხათრიანია, თანაც „მოყვარული“.
 ომდარიეს დაკრძალვა სოფელში ასეთი რეზონანსული არ იქნებოდა თუ არა „პაბეგში“ მყოფი მისი ბანდიტი და მორფინისტი ქალიშვილი მადონე (ერთი „ჰიპერ-სუპერ სტარს“, მომღერალ მადონას შეეფერება ეს სახელი და, მეორე, ომდარიეს განგსტერ შვილს!).

ქურდბაცაცა, მრავალგზის ნაციხარი, ბუნებით „ლიდერი“ მადონე, მის შვიარალებულ რაზმელებთან ერთად ყველა შინაური ომის მონაწილეა (ორჯერ დაჭრილა კიდეც); ომის ნაგების მერე კი იმ კუთხის ფაქტობრივი გამგებელი, „ხარკის“ ამკრეფი, საქმის გამჩრევი, მოსამართლე და ადვოკატიც გამხდარა. ბევრი ძარცვა და მკვლელობაც ყოფილა მის სინდისზე; ერთი ეგ იყო, რომ მშობლიურ კუთხეს ინდობდა; ჩანს, არც ჭკუა აკლდა: „ჰოდა, მოტრი-ალება რომ დაიწყო დროებამ და ომებს და სახალხო სროულობას გადარჩენილ მხედრებს ციხეებში შებრუნება რომ დაუწყეს, მადონეს თავი არ გაუწირავს და ქალაქის გამაგრება არ უცდია. ერთ დილითაც გაქრა, ისევე როგორც ერთ ბიჭების უმრავლესობა. სად წავიდნენ და სადო? და რას გაიგებ, მამამისს კი ანუდენდა ხმას და ფულსაც უგზავნიდა უკეთეს დროებშიო, მაგრამ მერე ხომ გაჭირდა. კი თქვეს რუსეთშიაო, უკვე ჩანყნარებულზე, მაგრამ დანამდივლებით მაინც არავინ იცოდა“ (გვ. 73).

ირაკლიმ ომდარიეს დაკრძალვის ცერემონიასტერის დათულიესაგან მოისმინა სოფლური ბრეაკ ნენს: პოლიცია და პატრული ყაზარმულ რეჟიმზე ყოფილა გადასული, „მიმალვაში მყოფ“ მადონეს გამოჩენის მოლოდინში.

ირაკლის მადონეზე ბევრი რამ აქვს გაგონილი, თუმცა არასოდეს უნახავს; ერთადერთი, რაც აინტერესებს, მისი გარეგნობაა, — „რა სანახავია მაგი, ბრანდი“ — ნამოსცდება დათულიეს, თუმცა ისეა დაშინებული, რომ ყოველი შემთხვევისათვის მიმოიხედავს; მაგრამ მოხრობელს (და მკითხველსაც) მადონეს ხილვის ბედნიერება არ ასცდება, რომანის ყველაზე ფანტასმაგორიულ, „თრილერულ“ თუ დაბოლილ ფინალში.

მიუხედავად იმისა, ძირძველი სოფელი ხარ თუ ქალაქელი, სოფელი ან გიყვარს ან არა. ასეა ეს — როგორც აკა მორჩილადის რომანში ნახსენები დათა თუთაშხია იტყოდა. ირაკლის სოფელი და თავისი ფანტასტიკური წინაპრები მთელი გულით უყვარს. „მე თბილისელი ბიჭი ვარ, როგორც მღერობდა ერთ დროს სულიკო კოროშინაძე, მაგრამ ღმერთო, რატომ არის, რომ როგორც კი რკოთს გადავალ, მიკანკალავს ფეხები, მერე ხელები, მერე გარშემო და მთელი ამ დროის განმავლობაში გულიც? ... რომ გადახვალ და სხვა სუნთქვა რომ მოდის“ (გვ. 19-21).

სახლში განმარტოების მოსურნე ჩახვლისთანავე ნათესავ-მეზობელთა და ხელოსნის გარემოცვაში ხვდება; მხოლოდ კარგად შებინდებულზე შემოაღწევს შინ, წიგნით ხელში გემრიელად მოკალათდება მეორე სართულზე და უცერად ჩაეძინება. ალბათ მზის ამოსვლამდე არც გაეღვიძებოდა, სიცვიც, წყურვილსა და შიმშილს რომ არ შეეწუხებინა; წყურვილი ეზოში მოიკლავს, ხაჭაპურს მიირთმევს, სიგარეტსაც გააბოლებს, მერე კი, „სრულიად ბედნიერი“ (მისივე თქმით), კვლავ წიგნით ხელში პირველი სართულის ზალის კარს შეაღებს.

აქ კი ხიფათიანი გამოცდა ელის: მაგიდასთან უცნობი ქალი (შავოსანი, ადრე დაბერებული, მოუვლელი და მართლაც „ბრანდი“) ხვდება: „ისე შემეშინდა, რომ ის ხაჭაპური კინაღამ სულმთლად ამოვყლაპე. ქალი რა საშიშია, მარა ისე, შენს სახლში, შუა ზალაში დასკუპებული“... (გვ. 218).

დაუპატიჟებელი სტუმარი, იმერული ეტიკეტის დაცვით, დიდი ბოდიშებით დახვდება, იმთავითვე ეტყვის ვინაობას („მე მადონა ვარ“) და, მამამისის დაფასებისათვის დიდ მადლობასაც გადაუხდის. დაბნეულ და არეულ ირაკლის, ისღა დარჩენია, მაგიდასთან მიიწვიოს, ღვინოც ჩამოასხას და ომდარიეს შესანდობარიც დალიოს, თუმც იმის პერსპექტივა, რომ დილის ხუთ საათამდე (სანამ სტუმარს თავისი ხალხი მოაკითხავს) მადონე მის სახლში იქნება (როგორც ყველაზე სანდო თავშესაფარში), — ერთიანად ააფორი-აქებს; მაგრამ მასპინძლის მოვალეობა, ცნობისმოყვარეობა და, ნაწილობრივ ჯენტლმენობა (ქალი ქალია, რა ბანდიტი

იც არ უნდა იყოს), ნაწილობრივ, ბანალური შიში, აიძულებს ყველაფერში მხარი აუბას სტუმარს. ისიც სათქმელია, რომ მადონე მონივნებით მოიხსენიებს მის წინაპრებს, განსაკუთრებით ბაბუამისს (ყველას, — ბრუნდს და მართალს თანაბრად რომ შევლოდა); სხვათა შორის, ირაკლი ბაბუამისის სამოსშია გამოწყობილი და მასთან იდენტიფიკაციაც არ უჭირს.

აკა მორჩილადი, საერთოდ, დიალოგების დიდოსტატია: ერთ რამედ ღირს ირაკლისა და მადონას საკმაოდ გულახდილი, ფამილარული (იმავედროულად ძალზე კომიკური) მუსაიფი...

ღვინო მალევე გაუთავდება და ირაკლი მადონეს შემოთავაზებულ მარისუანაზეც ვერ ამბობს უარს; აქ კი „მწვანე სიფათიანი“ ირაკლის წარმოსახვა მთლად აინყვეტს: თავი ხან ვესტერნის გმირად წარმოუდგენია, ხანაც ობოლეთი „შვიარალებულ“ მამაც ციხისათვთა ღირსეულ მემკვიდრედ, რომელიც მადონას გული-სათვის სპეცნაზს „შეებრძოლება“: „და კარს ნიხილ ვკარი. და შუქი გვეცა თვალებში და ობოლე მოვიმარჯვე და გავცვი-ვიდით... როგორც ბურ კესელი და სანდანს კიდი. აი ეგრე, გადახტომიითი!... ჩემი ობოლე. ჩემი გაუსროლელი, ჩემი ლამაზი. ეჭვევიე!“ (გვ. 258).

როგორც მოსალოდნელი იყო, გამოენისას მადონეს მანქანით მოაკითხეს — „ბოდიში და ღმერთის წყალობა“ — ეგლა უთხრა დამშვიდობებისას და მშვიდობიანად წავიდა თავის გზაზე.

ეიფორიულად ირაკლიმ („Am Georgian, that's why Am Eughorian“ — როგორც ცოლს უთხრა დილით) ველარ დაიძინა, ბაბუის ოთახში წამოწოლილი ობოლეს მანამდე ატრიალებდა ხელში, სანამ ძღვენიანი ჩანთით ნათელიკე არ მოვიდა გასაღვიძებლად.

რომანი, სულ თამამ-თამამით და, ძირითადად, მხიარულად რომ იკითხება, ჩაგვაფიქრებს ჩვენს „გენეტიკურ მახსოვრობაზე“ და საკმაოდ ნალვლიან ფიქრებს აღგვიძრავს „უსარგებლო“ ციხის, უმოქმედო თოფის, მიტოვებული სახლების თუ ზოგადად — „უფუნქციო“, დაკნინებული ცხოვრების გამო.

„ბავშვობა ყოფილა, რაც ყოფილა. იქიდან რაც ისწავლე, მერე გადასწავლა ძნელია. მოდი და გააგებინე. ეგებ მაგ ბავშვობას უფრო დიდი სახელიც დაარქვა — წარსული. წარსულს კიდე კიდევ უფრო დიდი სახელი — მესხიერება“ (გვ. 22).

წინაპრებთან იდენტიფიკაცია გმირს სიამოვნებას ანიჭებს, ნიკასაგან განსხვავებით, რომლის ცოლი ირაკლის კმაყოფილებას (სახლში მომავალი, ზომიერად მიზრული რომ ფიქრობს, — „ავალ მალა, წიგნს ავიღებ, მურსაც შევხედავ, ლამის პუბლებთან ცეკვა-თამაშსაც აიგნის დიდი ნათურის გარშემო“) მხოლოდ „აბორიგენულ“, ადგილობრივ მენტალიტეტად თუ გუნებგანწყობად (თუ სწორად ვთარგმნე — „Certain local mentality“) ჩათვლიდა.

აკა მორჩილადის „ობოლე“ თითქმის მთლიანად (ირაკლის ვრცელი „შიდა“ მონოლოგები გამონაკლისია) დიალექტით არის გამართული, რაც დამაჯერებლობის გარდა, მკითხველში მონატრების, ნოსტალგიის გრძობასაც ბადებს; ჩვენს თანამედროვე საკომუნიკაციო ენის „ბაბილონიზაცია“ თუ „სინგაპურიზაცია“, ყველაზე ხშირად მასმედიაში რომ ჩნდება, შუმი პროვინციალიზმის გამოვლენაა და სხვა არაფერი.

„რად ვეგო სხვას ფიანდაზად, არის ქართული ანდაზა, თურამაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა!“

ინგლისურის — საერთაშორისო ენის — ცოდნა აუცილებელი რომ გახდა, მხოლოდ სასიკეთოა; მაგრამ ქართული სიტყვების უცერემონიო ინგლისურით ჩანაცვლება, არც მეტი და არც ნაკლები, დედაეგნის უპატივცემულობაა. არც სხვა უცხო ენების, მათ შორის რუსულის ცოდნა გვანყენს. რომანში „პარიტეტი“ დაცულია: რომელი თბილისელი არ ურთავს საყველპურო საუბარში რუსულ სიტყვებს, არც ირაკლია გამონაკლისი. აი სოფელში კი მხოლოდ მადონე ლაპარაკობს „უაქცენტო რუსულით“... „ობოლეში“ ინგლისური ფრაზებიც გვხვდება, „ბალაფი“ და სხვა რეალიებიც: ულამაზესი, სადაფით განწყობილი „ობოლე“ პრინცესა დაიანასთანა შედარებული (სადა, მშვენიერი და ჯიშინი).

რომანიც ობოლესავით სადა და მშვენიერია.

„ლიტერატურული გაზეთის“ ანკეტა

დასასრული

თავის ავტორიტეტიანად, თავისი ცრუ და მართალი ღირსებებიანად, თავისი ხიბლიანად და დამთავრდა ის, რაც იყო... მიუხედავად იმისა, დაუბრუნდება თუ არა შენობა ოდესმე რომელიმე კონკრეტულ ორგანიზაციას, აქ არასდროს არ შემობრუნდება წარსული, რადგან იგი მარტო ამ შენობიდან არ გასვენებულა, იგი გავიდა საუკუნეიდან, ათასწლეულიდან, გავიდა სოფლიდან, გავიდა ქალაქიდან და გავიდა დედამიწიდანაც. ახლა სხვა, სრულიად სხვა ცხოვრებაა. და ჩვენ ალბათ კარგა ხნის წინ უნდა გვეფიქრა ამ ორგანიზაციისა და ამ სახლის მოდერნიზაციაზე. ბოლოსდაბოლოს მწერლობა მართლა ჰქონდა დიდი პასუხისმგებლობა და უნდა შეძლებოდა მისი გამოყენება...

2. მწერალთა სახლი, სადაც დღეს უამრავი საღამო ეწყობა. მაგრამ ლიტერატურული ცხოვრება მარტო საღამო როდია? ძალიან კარგი იქნება, აღდგეს და განახლდეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, კაფე, შეიქმნას ლიტერატული სამსახურის ბიურო, მთარგმნელობითი სამსახურის ბიურო. მოეწყოს არა მხოლოდ წარდგინებები, არამედ საჯარო ლექციები, განხილვები, წიგნის გამოფენა-გაყიდვები, თუნდაც მთელი კვირა დაეთმოს ერთი გამომცემლობის პროდუქტსა და ავტორებს. მონესრიგდეს მთელი შენობა. ჩვენ გვჩვევია საქმეების შუა გზაზე მიტოვება, დაფინანსებების შეწყვეტა და ეს ასე არ უნდა მოხდეს. რადგან ჩვენ ვერ შევძელით გადაგვერჩინა და გვექონდა „პრესის სახლი“, „საბავშვო წიგნის სახლი“, იმედია, გადავარჩინო მწერალთა სახლი მაინც. შეიძლება, სხვადასხვა შემოქმედებით შეერთიანებებს დაეთმოს პატარა ფართები. აქვე განთავსდეს მხატვართა გამოფენებიც. ის როიალი, რომელიც დღეს ფოიეში დგას სარემონტო სამუშაოების გამო, სულიერივით მეცოდება. ერთხელ მე პირადად მყავს მოყვანილი მისი ამწყობი აქ. აუცილებელია ასეთ სახლში კარგი ინსტრუმენტი. აუცილებელია, გავაკეთოთ „მწერალთა სახლის“ მეგობართა კლუბი. მათში გაერთიანდებიან ისეთი ფირმები და კერძო პირები, რომლებიც თუნდაც „თვის სპონსორები“ იქნებიან და გარკვეულწილად გაალამაზებენ საღამოებს ან შეიძენენ ბიბლიოთეკისთვის წიგნად ფონდებს. აქ დილით პირველი უნდა შემოდიოდეს ახალი პრესა, უნდა შეეძლოთ მწერლებს აქ გახსნილ კაფეში დაჯდომო და მუსაიფი. ასეთი სახლი ათწლეულების მანძილზე და თუნდაც საუკუნის მანძილზე უნდა აგროვებდეს თავისი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიის საინტერესო ფურცლებს თავისავე კედლებში. ძალიან მინდა ვთხოვო, გაითვალისწინოს კულტურის სამინისტრომ, რომ აქ ებისმიერ თანამედრობაზე მწერალთა დასაქმება შეიძლება, როცა გაიზრდება ინფრასტრუქტურაც. აუთვისებელი არ უნდა დავტოვოთ ამ შენობის არცერთი გოჯიც კი. ეს სამუზეუმი შენობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ფარგლებში ახალი სიტუცხლე უნდა შეიძინოს აქაურობამ. ჩვენ უნდა გვიყვარდეს და გვეძვირფასებოდეს ჩვენი ისტორია, თვალსაც უნდა ვუსწორებდეთ მას. მოვანყოლბი მუდმივმოქმედ გამოფენას აქ მოღვაწე მწერლებს არა მხოლოდ ფოტო, არამედ პირადი ნივთებისას. აქ უნდა ჩანდეს ნამდვილი ისტორია. რამდენი ფოტო და საინტერესო დოკუმენტი, რომლითაც აქ მოსულ ადამიანს შეიძლება წარუდგინო ამ სახლის და მისი პატრონებისა თუ მემკვიდრეების წარსული. ყველაფერს ჭირდება დიდი ფული და სახელმწიფოს მხარდაჭერა. არაფერი ამის გარეშე არ მოხდება. არადა, ეს სახლი შეიძლება ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად ვაქციოთ, შევიტანოთ კულტურული ტურიზმის ობიექტებში, შევავსოთ იმ შინაარსით, რასაც თანამედროვეობისა და ტრადიციის გონივრული ბალანსი ჰქვია.

გაცოცხლებული პოეზია

გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული ვრცელი რეპორტაჟით „მაჩაბლის 13. ისტორია 2“, მკითხველმა საქართველოს მწერალთა სახლში კიდევ ერთხელ შეიხედა, მის ყოველდღიურობასა და სამომავლო გეგმებს გაეცნო. შეიტყო ისიც, რომ „ლიტერატურული გაზეთი“ გასული საუკუნის დასაწყისის „ყველაზე გამორჩეული სივრცის“ ბექდურ გამოცემად, მისი ახალი, მდიდარი ლიტერატურული ცხოვრების მონაწილედ და შეიძლება ითქვას, შემატანედ იქცა. ამიერიდან შევეცდებით, სისტემატურად გავაშუქოთ აქ მიმდინარე პროცესები, ვიამბოთ სხვადასხვა ციკლის ქვეშ გაერთიანებულ ღონისძიებებზე, შეხვედრებზე მწერლებთან, მთარგმნელებთან, გამომცემლებთან, ლიტერატორებთან, „დაგასწროთ“ პრეზენტაციებსა და ლექციებს და ამით ერთგვარად გავაფართოვოთ ახალი წრე, რომელიც მწერალთა სახლსა და საზოგადოებას შორის იკვრება.

ივნისი, ისე როგორც გასული თვეები, მწერალთა სახლში მხატვრული სიტყვითა და საგამომცემლო სიახლეებით იყო დატვირთული. მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორია დაეთმო არა მხოლოდ ორიგინალურ თუ თარგმნილ პოეზიას, მწერლობას, არამედ ლიტერატურულ კრიტიკასაც. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესო ნაშრომი წარმოადგინა კრიტიკოსმა ნონა კუპრეიშვილმა. მისი წიგნი „სიტყვის დეგუსტაცია“ „საუნჯემ“ გამოსცა. პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოების სიმრავლე ერთგვარი დასტური იყო იმისა, თუ რაოდენ დიდია ინტერესი ამ სფეროს მიმართ.

შემდეგ სთხოვეს, ძველი კრებულიდანაც წაგვიკითხე რამეო. ბევრი, ვისაც კარგად ახსოვდა „სიკვდილის ფრთები“, „ბენზინის ყვავილები“, „სანამ დროა“, „შრამი“, „ფანქარი ცაში“, გიორგი ბუნდოვანთან და ზურაბ რთველიაშვილთან ერთად გამოცემული „ანომალიური პოეზია“, დიანა ვანჩაძესთან ერთად დაბეჭდილი კრებული „მსუბუქი, ძალიან მსუბუქი და არც ისე მსუბუქი“, ავტორისგან კონკრეტულად ითხოვდა ამა თუ იმ ლექსის წაკითხვას. მასაც უარი არ უთქვამს. 90-იანი წლების რამდენიმე ლექსი რომ წაკითხა, ახლებსგან თუ განსხვავდებოდა, იკითხა. განსხვავდებოდა — განწყობით,



შემდეგ შოთა იათაშვილის შემოქმედების თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ. პოეტმა, მწერალმა, მთარგმნელმა, ლიტერატურული წერილების ავტორმა ამჯერად პოეზიით „უმასპინძლა“ მათ. სალამოს შვიდისთვის შოთამ სასახლის ვერანდასა და ბაღში გაფანტულ სტუმრებს უხმო, დავინყოთო, და ყველამ დიდ დარბაზში მოიყარა თავი. სალამოს ძირითადი ნაწილი იმ ლექსებს დაეთმო, რომელიც ბოლო კრებულის, „შრამის“ გამოცემის შემდეგ, უკანასკნელ წლებშია შექმნილი. ურითომო და ამავე დროს, არაპოეტებისთვის აუხსნელი გზით, გასაოცრად რიტმიანი, ენერგიული, შეკრული, მოსასმენად მსუბუქი და გასააზრებლად ღრმა, პოზიციით, თვითორონით ხელმონერილი ლექსები, შეთხზული თუ ნამდვილად თავსგადამხდარი ამბების პოეტური თხრობა, სხვადასხვა თემასთან დამოკიდებულების გაზიარება თანაფიქრისთვის, თანაგანცდისთვის ინვევდა მსმენელს და თითქოს, მოოქროვილ სავარძელში მოხრილად, მოშვებულად მჯდომი ავტორის გვერდით, მისივე, თუმცა მაინც განსხვავებულ, შინაგანად ენერგიულ, შემართულ, მემამოხე პოეტის პორტრეტს ხატავდა. სადღაც ნახევარი საათის შემდეგ — არ დავამთავროთ? — შოთამ იკითხა. და სტუმრების ერთსულოვანმა „არა“ — მ ერთი ამდენი დრო კიდევ აკითხა ლექსები.

ენერგეტიკით, თემებით. სალამო ღვინის დაჭაშნიკებით დასრულდა...
 „პიროვნების დაბადება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ ლევან გიგინეიშვილის საუბრის თემა გახლდათ. ადამიანის სრული გარდასახვის, „სინდისში დაბადების“ რთული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესი მეცნიერმა, ძირითადად, „აღუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“, ასევე „ბახტრიონის“ პერსონაჟების მაგალითზე წარმოადგინა. საკითხის უკეთ განსამარტად ბატონმა ლევანმა მხოლოდ პოემების სიუჟეტურ ხაზებს როდი მისდია, მათი კომენტარებით არ შემოიფარგლა, არამედ ბუნებრივად გასცდა ალუდას, მუცალის, ჯოყოლას, ალაზას, ლუხუმის ისტორიებს, მთის საზოგადოების ტრადიციულ, „ადათნესურ“ გარემოს, მთავარ გმირებთან ერთად გაარღვია კლიშეებისა და სტერეოტიპების „კლდით დახურული ცა“ და სხვა ეპოქები, სხვა კულტურული სივრცეებიც მოიცვა. საინტერესოა, რომ საუბრის თემა თითქოს არ გაცდენია ვაჟას შემოქმედების ფარგლებს, მაგრამ ამავე დროს მასში ახალი კაცის, ახალი „მე“-ს დაბადების საკაცობრიო გამოცდილება აისახა. არაჩვეულებრივმა „გადაძახილმა“ სხვადასხვა დროის მოაზროვნეებთან, უხვმა პარალელებმა უკეთ გამოაჩინა დროისა და სივრცის მიღმა არსებული ამ უშინაგანესი პროცესის — დაბადების —



რამდენიმე აუცილებელი პირობა: განმარტოება საკუთარ თავთან, განმარტოება სინდისთან, დაფიქრება, ხედვა, სამოქალაქო გამბედაობა. ამავდროულად გამოაჩინა გარემოზე, კულტურულ სივრცეზე პიროვნების გარდასახვის ზემოქმედება, საზოგადოების სტერეოტიპების, კლიშეების, ადათ-წესების, ტრადიციისა თუ აღიარებულ ღირებულებებთან ნგრევის მიმართ შიში და მას მიდევნებული პროცესები: დაპირისპირება პიროვნებასთან, ახალ ხედვასთან, ახალ აზროვნებასთან.

ლევან გიგინეიშვილის ლექცია-საუბარს ბევრი ახალგაზრდა დაესწრო. თემის განხილვაში ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ, სვამდნენ კითხვებს, გამოთქვამდნენ საკუთარ დამოკიდებულებას საკითხისადმი. სალამო გვიანობამდე გაგრძელდა.

ხალხმრავლობა იყო პოეტისა და პროზაიკოსის, ცირა ყურაშვილის ახალი წიგნის პრეზენტაციაზეც. პოეტური კრებული „სამოთხის სარკმელი“ „საუნჯემ“ გამოსცა. მწერალთა სახლში შეკრებილ საზოგადოებას ლიტერატურული სიახლე თავდაპირველად გამოცემლობის წამომადგენელმა, მარიამ ნიკლაურმა წარუდგინა.

ავტორისთვის ეს პირველი კრებული არ არის. ცირა ყურაშვილმა კალამი როგორც პროზაში, პოეზიაში, ისე საბავშვო ლიტერატურაში მოსინჯა. ფართო მკითხველმა იგი 2002 წელს გაიცნო, როცა მისი მოთხრობა „უკან არ მიიხედო“ „კავკასიური სახლის“ ლიტერატურულ გამოცემაში „ალტერნატივა“ გამოქვეყნდა და წლის საუკეთესო ნაწარმოებად აღიარეს. ერთი წლის თავზე კი წარმატებით აღინიშნა გამოცემლობა „ინტელექტის“ მიერ დაბეჭდილი პროზაული კრებულის „ხიზნები კომანის მონასტერთან“ გამოსვლა. წიგნი ლიტერატურული კონკურსის, „საბას“ ნომინანტი გახდა. პრეზენტაციაზე „ინტელექტის“ წარმომადგენელმა, ზვიად კვარაცხელიამ ქალბატონი ცირას შემოქმედებითი გზა გაიხსენა და ახალი კრებულის გამოცემა მიულოცა ავტორს. საკუთარი დამოკიდებულება მან „უკან არ მიიხედოს“ მიმართაც გამოხატა და მოთხრობას 90-იან წლებზე დაწერილი ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოები უწოდა.

ცირა ყურაშვილის პოეზიის დახასიათებისას, გამომსვლელებმა განსაკუთრებული ემოციით ისაუბრეს ლექსზე „რაბი“, როგორც თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეულ ნიმუშზე და ავტორის შინაგანი სამყაროს, მისი ხედვის გამომხატველ ნაწარმოებზე. მთელი სალამოს განმავლობაში ლექსი რამდენჯერმე წაკითხეს. თუმცა თავად ავტორის მიერ გაყდერებული „რაბი“ სულ სხვაგვარი მოსასმენი იყო.

შემდეგ ქალბატონმა ცირამ „სამოთხის სარკმელი“ „გახსნა“ და საოცრად შინაგან, გულსმეორ, სამოქალაქო პოზიციით

თა და ურყევი ღირებულებებით აღბეჭდილ, დიდი ოსტატობით გასიტყვებულ სამყაროში შეგვახედა. ლექსების დიდი ნაწილი რელიგიურ თემებზეა. სარწმუნოებრივი და სულიერი მოტივების დომინირება იმ ადამიანის შემოქმედებაში, რომელიც რელიგიურ გარემოში აღიზარდა, რომლის დედამამშვილები ბერ-მონაზონთა დასს წარმოადგენენ, ხოლო ერთ-ერთი ძმა, ბერი ანდრია ყურაშვილი აფხაზეთის ომის დროს სოფელ კომანში წამებით აღესრულა, ალბათ ბუნებრივიცაა. როგორც ლიტერატორმა ვი არგანაშვილმა აღნიშნა, ქალბატონი ცირა ჩინებულად ახერხებს ღვთის სიტყვის თარგმნას დროის ენაზე, ეს მისი შემოქმედების განსაკუთრებული ღირებულებაა.

შემოქმედის ინვიდუალიზმსა და განსხვავებულ ხელწერაზე ისაუბრეს პოეტმა მარსიანმა, მწერალმა და ლიტერატორმა გიორგი კაკაბაძემ და სხვებმა. თავად ავტორს კი სტუმრებისთვის სიტყვით არ მიუმართავს. თქვა, მსურს, დღეს მხოლოდ ლექსებით გესაუბროთო.

ძალზე საინტერესო იყო ციკლის „მთარგმნელები მწერალთა სახლში“ ფარგლებში სხვადასხვა დროს გამარული შეხვედრები ზელა შალვაშვილთან და ჟორჟ ეკიზაშვილთან. მთარგმნელებმა სტუმრების წინაშე აღმოსავლური და დასავლური, კერძოდ ირანული და ფრანგული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები გააცოცხლეს. „ლიტერატურული თანაცხოვრება“ კი ლელა სამინაშვილისა და რეზო გეთიაშვილის პოეტურმა წყვილმა წარმოადგინა. ახალი გამოცემით გაახარა თავისი მკითხველი ჯარჯი ფხოველმაც. მწერალთა სახლში გამართულ ამ და სხვა ლიტერატურულ ღონისძიებებს მომდევნო ნომერში მიმოვიხილავთ.

მოამზადა თამარ ჟურულმა



ლიტერატურული გაზეთი
 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
 საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
 რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
 ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com